

მუშათა ძალა და ესპანეთის რევოლუცია

ტომ უეტბელი



ანარქისტული ბიბლიოთეკა

www.a-library.org

მუშათა ძალა და ესპანეთის რევოლუცია

1936 წლის ესპანეთის ეროვნულ არჩევნებში, მემარჯვენე მთავრობა დაამარცხა ლიბერალებისა და სოციალისტებისგან შემდგარმა კოალიციამ. მუშებმა ისარგებლეს ამ გარემოებით და ესპანეთს თავს დაატყვევეს ქვეყნის ისტორიაში გაფიცვათა ყველაზე დიდი ტალღა. იგულისხმება როგორც ათობით ქალაქს მოდებული საჯარო გაფიცვა, ასევე ასობით გაფიცვა ცალკეულ სანარმოებში.

არჩევნებიდან ერთი თვის შემდეგ, «მინათმოქმედთა ფედერაციამ» 80 000 უსახლკარო მშრომელის თაოსნობით ხელში ჩაიგდო „ესპანურ ციმბირში“ - რეგიონ ესტემადურაში მდებარე სამი ათასი ფერმა¹. მთელი ესპანეთი მოცული იყო ცხარე დებატებით ქვეყნის მომავლის შესახებ, მემარცხენე და მემარჯვენე აქტივისტების პერიოდული მკვლევლობები კი უფრო და უფრო აჩქარებდა ქვეყნის პოლიტიკური პოლარიზაციის პროცესს. მემარჯვენე პოლიტიკოსები უკვე დიდი ხნის განმავლობაში მოითხოვდნენ სახელმწიფო ხელიუფლების ძალადობრივ აღებას ესპანური ჯარის მიერ. 1936 წლის 19 ივლისს ესპანეთის არმიამ დაიწყო სახელმწიფო გადატრიალება.

პირველად ესპანეთის ისტორიაში, ჩვეულებრივი მოქალაქეები წინ აღუდგნენ ჯარს. სამხედრო აჯანყება დაამარცხდა ესპანეთის ორ მესამედ ნაწილში. პროფკავშირები დაეუფლნენ კაპიტალისტების ქონების უმეტეს ნაწილს, რის შედეგადაც ესპანეთის ეკონომიკის უდიდესი ნაწილი მუშათა კონტროლის ქვეშ მოექცა. პროფკავშირებმა შექმნეს საკუთარი რევოლუციური მშრომელთა არმია, ესპანეთის სამხედრო ძალებთან საბრძოლველად. ესპანური სამხედროების მცდელობას გაენადგურებინათ მშრომელთა მოძრაობა, შედეგად მოჰყვა მუშათა კლასის რევოლუცია, რომელსაც ესპანური ელიტები დიდი ხანი უფრთხოდნენ. კლასობრივი ბრძოლა, სამოქალაქო ომად გარდაიქმნა.

ამ დრამის მთავარი გმირები იყვნენ ქვეყნის უდიდესი შრომითი ფედერაციები. შრომის ნაციონალურ კონფედერაციაში (*Confederación Nacional del Trabajo — CNT*) 1936 წლის დამდეგს 1.6 მილიონი ადამიანი იყო განვერიანებული (სახელმწიფოს მონაცემების თანახმად). CNT წარმოადგენდა ანარქისტების მიერ შრომის სამოცდაათწლიანი ორგანიზაციის პროდუქტს. 1919 წლიდან მოყოლებული, CNT-ს საყრდენს წარმოადგენდა მრავალი *sindicato unico* (“საერთო პროფკავშირი”) - ადგილობრივი ავტონომიური პროფკავშირი. 1936 წლის დასაწყისში, ბარსელონაში, CNT-ს სამშენებლო და მეტალურგიული *sindicato unico*-ებს სათითაოდ 30 000 წევრი ჰყავდათ.

ყოველი *sindicato unico* იყოფოდა „სექციებად“, რომლებიც საბჭოზე ირჩევდნენ საკუთარ წარმომადგენლებს (*delegados*). ისეთ მსხვილ ინდუსტრიებში, როგორებიცაა მეტალურგია ან ტექსტილის მრეწველობა, თითო ფირმა ან საწარმო წარმოადგენდა ცალკეულ „სექციას“. მშენებლობაში თითო სექცია შეესაბამებოდა გარკვეული სახის საქმიანობას. ერთი ქალაქის ან რეგიონის (*comarca*) ყველა ავტონომიური პროფკავშირი ერთიანდებოდა ადგილოვრივ შრომით ფედერაციაში (*federación local*).

პროფკავშირები ანარქისტული მოძრაობის ინსტიტუტების მხოლოდ ნაწილს წარმოადგენდნენ. ესპანულ ლიბერტარულ მემარცხენეებს მოწყობილი ჰქონდათ მრავალი ალტერნატიული სკოლა და საზოგადოებრივი ცენტრი (*ateneos*). *Ateneos*-ებში იმართებოდა დებატები და სხვადასხვა კულტურული ღონისძიებები, ისწავლებოდა წერა-კითხვა (30-იან წლებში მოსახლეობის 30-50 პროცენტმა წერა-კითხვა არ იცოდა) და ა.შ. ესპანური ანარქიზმისთვის მთავარი დამახასიათებელი ნიშანი იყო ჩვეულებრივი ხალხის ჩართვა საზოგადო საკითხების გადაჭრაში, რაც მათ ამზადებდა საზოგადოებრივი ტრანსფორმაციისთვის ბრძოლაში მუდმივი მონაწილეობის მისაღებად.

CNT-ს ლიბერტარული სინდიკალიზმის პოლიტიკა ატარებდა “პრეფიგურატიულ” სახეს. CNT-ს მებრძოლეები თვლიდნენ, რომ საბჭოებისა და მათი წარმომადგენლების მეშვეობით პროფკავშირის მართვაში მონაწილეობის მიღება წარმოადგენდა ორგანიზების ისეთ ფორმას, რომელიც თავის თავში ატარებდა ახალი საზოგადოების ჩანასახს, რომელშიც მთელ წარმოებას განაგებენ მუშები და საზოგადოების მართვა მონაწილეობითი დემოკრატიის პრინციპებზეა დამყარებული.

ხმელთაშუა ზღვის სანაპიროს გასწვრივ გადაჭიმული ტერიტორია, ქალაქ მურსიიდან კატალონიამდე და არაგონამდე, მეტ-ნაკლებად შეესაბამება არაგონის და კატალონიის სამეფოებს, რომლებიც მე-15 საუკუნეში შეუერთდნენ კასტილიას, თანამედროვე ესპანური სახელმწიფოს შექმნის მიზნით. 1930-იანებში ეს რეგიონი წარმოადგენდა CNT-ს მთავარ დასაყრდენს. არაგონსა და მურსიაში პროფკავშირების წევრების 80 პროცენტი მიეკუთვნებოდა CNT-ს. ვალენციაში-70 პროცენტი. კატალონიის ინდუსტრიულ ნაწილებში 900 000 მშრომელის 60 პროცენტი იყო CNT-ს წევრი.

ესპანეთის მეორე ძირითადი შრომითი ორგანიზაცია იყო მუშათა გენერალური კავშირი (*Union General de Trabajadores — UGT*) რომელსაც 1936 წლის დასაწყისში ჰყავდა 1.4 მილიონი წევრი. UGT მხარს უჭერდა ესპანეთის სოციალისტურ მუშათა პარტიას (*Partido Socialista Obrero Español — PSOE*), თუმცა კომუნისტური პარტიაც სარგებლობდა

გარკვეული პოპულარობით. ესპანეთის ცენტრალურ რეგიონებში, მათ შორის მადრიდსა და ქვანახშირის საბადოებით მდიდარ ასტურიის ჩრდილოეთ სანაპიროზე პროფკავშირთა უმეტესობა ეკუთვნოდა UGT-ს. UGT-ს მიწის მუშათა ფედერაცია (*Federación Nacional de Trabajadores de la Tierra — FNTT*) 1936 წლის გაზაფხულში ნახევარი მილიონი წევრისაგან შედგებოდა. FNTT-მ წამოაყენა მოთხოვნა აგრარული რეფორმის შესახებ და მალევე გადაიბარდა ესპანური სოფლების მასობრივ რევოლუციურ მოძრაობაში.

ეკონომიკური ზრდა და სასიკვდილო რაზმები

სამოქალაქო ომის წინანდელი მასობრივი მობილიზაციები და საზოგადოების პოლარიზაცია ათწლეულების განმავლობაში მიმდინარე სოციალური კრიზისის პიკს წარმოადგენდა. კრიზისმა გამოვლინება დაიწყო პირველი მსოფლიო ომის დროს. ესპანეთმა ომში ნეიტრალიტეტი შეინარჩუნა, რამაც მას საშუალება მისცა ევაჭრა კონფლიქტის ორივე მხარესთან. ამას შედეგად მოჰყვა კატალონიის მასობრივი ინდუსტრიალიზაცია და ურბანიზაცია. ამ პროცესმა თავისი გაგრძელება ჰპოვა 20-იანი წლების მსოფლიო ეკონომიკური ბუმის დროს. ამ პერიოდში ბარსელონა იყო ყველაზე სწრაფად განვითარებადი ქალაქი დასავლეთ ევროპის ტერიტორიაზე. ახალი ფაბრიკების გარშემო მუდმივად სახლდებოდა ხალხი და ქმნიდა ახალ გარეუბნებს. შუა საუკუნეებიდან მოყოლებული, ბარსელონა ყოველთვის იყო ხმელთაშუა ზღვის აუზის უმნიშვნელოვანესი სავაჭრო ცენტრი, ამიტომაც, ესპანეთის კაპიტალისტთა კლასის უდიდესი ნაწილი აქ იყო თავმოყრილი.

პირველი მსოფლიო ომის დროს მომხდარ ეკონომიკურ ბუმს მოჰყვა ესპანეთის ორი უმთავრესი შრომითი ფედერაციის ზრდაც. 1917 წლის რუსეთის თებერვლის რევოლუციამ წააქეზა ესპანეთში რადიკალური ტენდენციები. ომის პერიოდში, მშრომელთა ბრძოლამ თავის პიკს მიაღწია 1917 წლის ნაციონალური საჯარო გაფიცვის დროს. გაფიცვას მხარს უჭერდა როგორც CNT, ასევე UGT-ც. ბარსელონაში, CNT-მ მოახერხა მთელი ქალაქის ხელში ჩაგდება სანამ ესპანეთის ჯარმა გაფიცვა ძალით არ ჩაშალა. (ვიქტორ სერჟის იმპრესიონისტული ნოველა “ჩვენი ძალაუფლების დასაბამი“, წარმოადგენს 1917 წლის ბარსელონის საჯარო გაფიცვის აღწერას)

CNT-სგან შექმნილ საფრთხესთან გასამკლავებლად კატალონიის პოლიციის უფროსმა, სევერიანო მარტინებ ანიდომ, დაიწყო მებრძოლეების დაქირავება, რათა ისინი დახმარებოდნენ პოლიციას CNT-ს ოფიციალური პირების მოკვლაში. სასიკვდილო რაზმებს

აფინანსებდნენ კათოლიკური ეკლესიის დამსაქმებლები და წარმომადგენლები. ამ პერიოდის განმავლობაში, კატალონიაში მუშების მკვლელობის 440 მცდელობა განხორციელდა². მუშებს იარაღის მუქარით აძალებდნენ „ყვითელ“ პროფკავშირში - *Sindicatos Libres-ში* გაწევრიანებას. *Sindicatos Libres* („თავისუფალი პროფკავშირები“) დააარსა კარლისტი მუშების პატარა რელიგიურმა ჯგუფმა. კარლიზმი იყო მემარჯვენე კათოლიკური მოძრაობა ესპანეთში. ამის საპასუხოდ, ახალგაზრდა ანარქისტებმა ჩამოაყალიბეს შეიარაღებული ჯგუფები, რომელთა მიზანიც, სასიკვდილო რაზმების დამფინანსებელი კაპიტალისტებისა და ეკლესიის ხელმძღვანელების მკვლელობით შურისძიება იყო.

წლების განმავლობაში ესპანეთის იმპერია ცდილობდა მაროკოზე თავისი ბატონობა შეენარჩუნებინა. 1923 წელს მეფე ალფონსოს მიერ წამოწყებული სამხედრო კამპანია მაროკოში საშინელი კატასტროფით - 10 000 ესპანელი მეომრის დაღუპვით დასრულდა. ამ ინციდენტით გამოწვეულ საზოგადო ალჟოთებასთან გასამკლავებლად ესპანურმა ჯარმა ქვეყანაში დიქტატურა დაამყარა, რომელსაც თავში ჩაუდგა გენერალი მიგელ პრიმო დე რივერა. CNT კანონგარეშე ორგანიზაციად იქნა გამოცხადებული. პრიმო დე რივერამ შეიმუშავა საარბიტრაჟო დაფების საშუალებით პროფკავშირების სახელმწიფოში ინკორპორაციის გეგმა. იგი აქებებდა UGT-ს, როგორც CNT-ზე უფრო „პასუხისმგებელ“ ალტერნატივას, მონაწილეობა მიეღო მის პროგრამაში. კათოლიკური „თავისუფალი პროფკავშირები“, რომლებიც ქადაგებდნენ ჰარმონიას შრომასა და კაპიტალს შორის როგორც პროლეტარულ-კლერიკალური ფაშიზმის ფორმას, ეჯიბრებოდნენ UGT -ს საარბიტრაჟო დაფებზე წარმოდგენისათვის. სახელმწიფოსა და დამსაქმებლების მხარდაჭერით, „თავისუფალმა პროფკავშირებმა“ 1925 წლისთვის შეძლეს საკუთარი ნაციონალური ორგანიზაციის ჩამოყალიბება (*Federación Nacional de Sindicatos Libres — FNSL*), რომელსაც 200 000 წევრი ჰყავდა³, თითქმის იმდენი, რამდენიც UGT-ს.

მასობრივი გაფიცვა ქირის გამო

1930 წელს დიქტატურა დაინგრა და მეფე იძულებული გახდა ქვეყნიდან გაქცეულიყო. არჩევნების გზით, ახალ რესპუბლიკას სათავეში ჩაუდგა ლიბერალებისა და სოციალისტების კოალიცია. CNT-ს პროფკავშირებს დაუბრუნდათ ორგანიზების უფლება.

უმუშევრობის დონის ზრდის წინაშე მდგარმა, და თავისი ორგანიზაციის აღდგენის სურვილით შებრყობილმა, CNT-ს მშენებელთა *sindicato unico*-მ წამოიწყო კამპანია, რომელშიც პროფკავშირის წევრები იჭრებოდნენ სამშენებლო მოედნებზე,

არეგისტრირებდნენ ახალ წევრებს და კონტრაქტორებისგან მოითხოვდნენ 15%-ით მეტი მუშის დაქირავებას. სამშენებლო პროფკავშირი ამტკიცებდა, რომ კატალონიის საბინაო სექტორმა დიდი მოგება ნახა 20-იანი წლების ბუმის დროს, მაგრამ ამ მოგებას საფუძვლად ედო არაპროდუქტიული ინვესტიციათა მთელი რიგი. ამ დარგში მომუშავე პირთა რიცხვის გაზრდით მიმოქცევაში ფულის მასა იმატებდა, რაც შეამსუბუქებდა სიღარიბეს. მუშათა უმეტესობის CNT-ში დაბრუნებამ გამოიწვია კათოლიკური FNSL-ის სამშენებლო პროფკავშირების დაშლა .

'20-იანი წლების მიწურულს, CNT-ში დაიწყო მწვავე დებატები იმის შესახებ, თუ რა მიმართულებით უნდა განვითარებულიყო პროფკავშირი მომავალში. დებატებზე განხილვის ერთ-ერთ საგანს წარმოადგენდა ადგილობრივი პროფკავშირების გაერთიანება ნაციონალურ-ინდუსტრიულ პროფკავშირებში, რომელთა მიზანი იქნებოდა მრეწველობის გარკვეულ დარგში დამსაქმებელთა საწინააღმდეგო მოქმედებათა კოორდინაცია მთლიანი ქვეყნის მასშტაბით. 1931 წელს, თვითნასწავლმა მინის მუშამ და გავლენიანმა სინდიკალისტმა თეორეტიკოსმა, ხუან პეირომ, შეძლო დაერწმუნებინა CNT-ს კონგრესი დაეშვა ნაციონალურ-ინდუსტრიული პროფკავშირების შექმნა. თუმცა, ზოგი ანარქისტი მას წინ აღუდგა იმ არგუმენტით, რომ ეს ჩამოაყალიბებდა ოფიციალურ პირთა ახალ ბიუროკრატias, რომელიც გასცდებოდა ადგილობრივი პროფკავშირების კონტროლს. ამ წინააღმდეგობის გამო, 1936 წლისთვის ნაციონალურ-ინდუსტრიული პროფკავშირი შეიქმნა ეკონომიკის მხოლოდ რამდენიმე დარგში. ერთ-ერთი ასეთი პროფკავშირი შეიქმნა ნაციონალურ სატელეფონო კომპანიაში. 1931 წელს , CNT-მ მთელი ქვეყნის მასშტაბით დაიწყო სატელეფონო კომპანიის წინააღმდეგ მიმართული გაფიცვა. ეს იყო სატელეფონო ოპერატორების, რომელთა უმეტესობას ქალები შეადგენდნენ, პირველი ინიციაცია საპროფკავშირო ბრძოლაში.

მეორე ასპექტი დებატებისა იყო ის, თუ როგორ დაეღწიათ თავი ინდუსტრიული ბრძოლს ფარგლებისაგან, რომელიც ფოკუსირებული იყო მხოლოდ სამუშაო პირობებსა და ხელფასებზე. ყველა გრძნობდა, რომ CNT-ს უნდა გაეზრცელებინა თავისი გავლენა შრომითი ბრძოლის მიღმა, საზოგადო ცხოვრების სხვა ასპექტებზეც. ხუან პეირომ შემოიტანა სხვადასხვა საზოგადო საკითხის გარშემო ხალხის ორგანიზებისთვის განკუთვნილი სამეზობლო კომიტეტების შექმნის იდეა.

20-იანი წლების განმავლობაში, ბარსელონაში ბინის ქირამ 150%-ით იმატა. ხალხით გადაჭედული ბინები, არაკეთილსინდისიერი მეიჯარეების მიერ აშენებული ქოხები, ძირითად კეთილმოწყობას (მაგ. წყლის გაყვანილობას) მოკლებული საცხოვრებლები და

სხვა უკვე ჩვეულებრივ მოვლენებად იყო ქცეული. 1931 წლის დასაწყისში, CNT-ს აქტივისტებმა დაიწყეს მსჯელობა ქირის გარშემო ბრძოლის მობილიზების შესაძლებლობაზე. ამასთან ერთად, CNT-ს ყოველდღიურ გაზეთში - *Solidaridad Obrera*-ში გამოჩენა დაიწყო საბინაო კრიზისისთვის მიძღვნილმა სტატიებმა.

ბრძოლა ქირის წინააღმდეგ დაიწყო CNT-ს სამშენებლო პროფკავშირის შეხვედრით. ამ შეხვედრაზე, არტურო პარერამ და სანტიაგო ბილბაომ ხალხს შესთავაზეს სხვა პროფკავშირების დახმარებით, „ეკონომიკური თავდაცვის კომისიის“ შექმნა. პარერა და ბილბაო იყვნენ იბერიულ ანარქისტთა ფედერაციის (*Federación Anarquista Iberica — FAI*) გამოჩენილი წევრები. FAI წარმოადგენდა CNT-ში მომუშავე ანარქისტული ჯგუფებისგან შემდგარ თავისუფალ „შენადნობს“.

რიგ სამეზობლო შეხვედრათა შემდეგ, ხელოვნების სასახლეში მოწყობილ მასობრივ კრებაზე ჩამოყალიბებული იქნა ქირის კამპანიის მთავარი მოთხოვნა: ქირის ფასის დაკლება 40%-ით. ასევე გადაწყდა, რომ მოიჯარეების მიერ უკვე გადახდილი თანხა უნდა მოხმარებოდა შემდეგი თვის გადასახადის დაფარვას. თუ მეიჯარეები არ დათანხმდებოდნენ ქირის ფასის დაკლებაზე, მობინავეები მათ სულაც აღარ გადაუხდიდნენ. მეიჯარეთა ორგანიზაციამ, „ურბანული ქონების პალატამ“ დაგმო ეს კამპანია და იგი მათი უფლებების კრიმინალურ დარღვევად გამოაცხადა. ისინი მოითხოვდნენ პოლიციის მიერ ქირის კამპანიის ჩახშობას. აგვისტოს მიწურულს, ეკონომიკური თავდაცვის კომისიამ გამოაცხადა, რომ 100 000 ადამიანი არ აპირებდა ქირის გადახდას.

„ქირის ბრძოლის“ უნარი, გასცდომოდა CNT-ს წევრებს, კარგად ჩანდა ბრძოლაში ჩართული ქალების რაოდენობაში. იყო შემთხვევა, როდესაც მობინავის გამოსასახლებლად გაგზავნილი *asaltos*-ის (რესპუბლიკელი პოლიტიკოსების მიერ 30-იანებში შექმნილი პარამილიტარული პოლიცია) რაზმი იძულებული გახდა უკან დაეხია იმის შემდეგ, რაც მას დაუპირისპირდა ქალებისა და ბავშვებისგან შემდგარი უზარმაზარი ბრბო. რადგან იმ მუშებიდან, ვისაც ევალათ ხალხის გამოსახლება, ზოგი ბრბოს მიერ იყო დაშინებული, ზოგიც კი გაფიცვის მონაწილეებს თანაუგრძობდა, ბინების მესაკუთრეებმა დაიწყეს საკუთარი პოლიციის დაქირავება ხალხის გამოსასახლებლად. მეიჯარეების ორგანიზაციამ მიმართა სახელმწიფოს, რათა მას ზომები მიეღო გაფიცვის ჩასახშობად. ლიბერალურ-სოციალისტური კოალიციური მთავრობის ერთ-ერთი წევრი გახლდათ UGT -ს აღმასრულებელი მდივანი და PSOE-ს ლიდერი, ლარგო კაბალერო (*Largo Caballero*). კაბალერო გამოდიოდა გაფიცვის წინააღმდეგ და მას „აბსურდულს“ უწოდებდა. ამავე

დროს, UGT აგზავნიდა შტრაიკბრეხერებს (გერმ. Streikbrecher - პირი, რომელიც გაფიცვის დროს მუშაობას აგრძელებს სანარმოში) CNT-ს სატელეფონო გაფიცვის ჩასაშლელად.

ქირის გაფიცვის დროს, ბარსელონაში დიდი აფეთქება მოხდა. აფეთქების შედეგად არავინ დაშავებულა, მაგრამ დიდი ზიანი მიადგა სატელეფონო მონოპოლიობებს. იმისდა მიუხედავად, რომ ამ აფეთქებას არანაირი კავშირი არ ჰქონდა ქირის გაფიცვასთან, მთავრობამ იგი მაინც გამოიყენა, როგორც საბაბი „ეკონომიკური თავდაცვის კომისიის“ ყრილობების აკრძალვისთვის. ასევე აკრძალულ იქნა CNT-ს სატელეფონო პროფკავშირის შეხვედრებიც.

მთავრობამ კატალონიის გამგებლად დანიშნა კონსერვატორი ადვოკატი, რომელმაც განაცხადა, რომ იგი გაფიცვის გაგრძელებას არ დაუშვებდა. ხელისუფლებამ განახორციელა სანტიაგო ბილბაოს და CNT-ს 52 სხვა აქტივისტის პრევენციული დაკავება, რაც ნიშნავდა ადამიანის განუსაზღვრელი ვადით დაკავებას რაიმე ბრალდების წაყენების გარეშე. ეს წარმოადგენდა სამხედრო დიქტატურის საყვარელ [ანარქისტების საძულველ] მეთოდს. ხალხს ეგონა, რომ ახალ რესპუბლიკაში მსგავსი მეთოდები წარსულს მიეცემოდა.

ბოლოს და ბოლოს, პოლიციამ მოახერხა გაფიცვის ჩაშლა ბინებში დაბრუნებული მოიჯარეების დაკავების გზით. მიუხედავად ამისა, ქალაქის ბევრ ნაწილში მეიჯარეები ინდივიდუალურად დათანხმდნენ თავის მობინავეებს ქირის ფასის დაკლებაში. ამან ბევრ ადამიანს აგრძნობინა, რომ მათ რაღაც მოიგეს. CNT-ს ახალგაზრდა აქტივისტებისთვის ეს გაფიცვა იყო პირველი მონაწილეობა პირდაპირი მოქმედების მასობრივ აქციაში. ხოლო მუშათა კლასს ამ გაფიცვამ ნათლად დაანახა ის, რომ არსებობდა ჯგუფების ფართო სპექტრი, მეიჯარეებით დაწყებული პოლიტიკოსებით დამთავრებული, როლებიც მუდამ მათ წინააღმდეგ იყვნენ განწყობილნი⁴.

მინა და ეკლესია

30-იან წლებში ესპანეთის ეკონომიკა ძალიან არათანაბრად იყო განვითარებული. იმისდა მიუხედავად, რომ მდიდარი, ინდუსტრიალიზებული კატალონია დასავლეთ ევროპის სხვა განვითარებულ ქვეყნებს წააგავდა, ესპანეთის სხვა ნაწილებში სრულიად განსხვავებული სიტუაცია სუფევდა. ესპანეთი უმეტესწილად აგრარული ქვეყანა იყო. მისი „ეკონომიკურად აქტიური“ მოსახლეობის 45.5% სოფლის მეურნეობაში იყო ჩართული. აგრარულ ქვეყანაში, სიმდიდრის დიდი ნაწილი მოქცეული არის მინის საკუთრებაში. გვადარამას მთების სამხრეთით მდებარეობდა ლატიფუნდიათა ზონა - რეგიონი, რომელიც შუა

საუკუნეებში კასტილიურმა არმიამ მავრებს წაართვა. როდესაც მე-19 საუკუნეში ფეოდალური შეზღუდვები მიწით ვაჭრობაზე გაუქმდა, კაპიტალისტმა ინვესტორებმა აქ დააარსეს თავიანთი უზარმაზარი მამულები - ლათიფუნდიები. ამ რეგიონში 2 000 ოჯახი ფლობდა მიწის 90%-ს, ხოლო 750 000 უსახლკარო მშრომელი იძულებული იყო ემუშავა ხელფასისთვის, რომელიც თავის გამოსაკვებადაც კი არ იყო საკმარისი.

გვადარამას ჩრდილოეთით მდებარე ტერიტორიაზე, *campesinos*-ები (გლეხები) ფლობდნენ პატარა ან საშუალო ზომის ფერმებს, თუმცა ჩრდილოეთის ზოგ ნაწილში მათი მიწის ნაკვეთები არ იყვნენ ოჯახის სარჩენლად საკმარისი ზომისა, რის გამოც გლეხები იძულებულნი ხდებოდნენ თავისი საშუალო ძალა გაექირავებინათ, ან იჯარით აეღოთ და სანახევროდ ემუშავათ.

ულტრა მემარჯვენე პოლიტიკური პარტიების მთავარ სოციალურ ბაზას წარმოადგენდნენ ჩრდილოეთ რეგიონებში - ძველ კასტილიასა და ნავარაში მცხოვრები რელიგიური მიწათმფლობელები; ასევე პროვინციული ქალაქების რელიგიური საშუალო ფენა - პატარა ბიზნესების მფლობელები, ადვოკატები და ა.შ. სანაპიროებზე და დიდ ქალაქებში მცხოვრები იგივე საშუალო კლასი კი ლიბერალურ-რესპუბლიკურ პარტიებს ემხრობოდა.

ესპანური ელიტებისთვის, რომაული კათოლიკური ეკლესია წარმოადგენდა სახელმწიფო წყობილების აუცილებელ იდეოლოგიურ საყრდენს. მუშათა კლასის წრეებში კი ფართოდ იყო გავრცელებული ეკლესიისადმი სიძულვილი იმ მიზეზით, რომ ეკლესია ქადაგებდა სიღარიბესთან შეგუებას, ხოლო ამასობაში თავისი დაგროვებული დიდძალი ქონებით საზოგადოების მდიდარ ფენებს ამარაგებდა. 1930 წელს ესპანეთზე დიდი სამღვდელთა მხოლოდ იტალიაში არსებობდა. ესპანეთს ჰყავდა 35 000 მღვდელი და 80 000 ბერ-მონაზონი. მიუხედავად ამისა, წირვაზე რეგულარული დასწრების დონე საკმაოდ დაბალი იყო. მაგალითად, გვარადამას სამხრეთ რეგიონებში წირვებს ესწრებოდა მოსახლეობის მხოლოდ 5 პროცენტი⁵. ეკლესიის ოპოზიცია მეცნიერების მიმართ ნიშნავდა იმას, რომ ბევრი მასწავლებელი და ექიმი ანტიკლერიკალურ შეხედულებებს ატარებდა. ანტიკლერიკალიზმი ფართოდ იყო გავრცელებული ესპანელი მემარცხენეების შორისაც, მუშა ანარქისტებიდან დაწყებული საშუალო ფენის ლიბერალი რესპუბლიკელებით დამთავრებული.

1931 წელს, პირველმა რესპუბლიკურმა მთავრობამ იერიში მიიტანა ეკლესიის ძალაუფლებაზე განათლებაში ეკლესიის ყოველგვარი ჩარევის აკრძალვითა და ძლიერი

„იეზუიტური ორდენის“ დაშლით. სამოქალაქო ქორწინება და გაყრის უფლება კი დაკანონდა.

აჯანყებები და შიდაფრაქციული ბრძოლები

ლიბერალურ-სოციალისტური კოალიცია ასევე ერთვებოდა CNT-ს პროფკავშირების მიმართ რეპრესიულ ქმედებებში. კაბალერომ ისარგებლა ხელისუფლების ამ ღონისძიებებით UGT-ს გასანვითარებლად CNT-ს ხარჯზე. ამგვარი რეპრესიული გარემოება აიძულებდა CNT-ს წევრებს შესულიყვნენ ფიზიკურ დაპირისპირებაში ხელისუფლებასთან. ანარქისტებმა აიყოლიეს დანარჩენი პროფკავშირი საყოველთაო გაფიცვებსა და აჯანყებებზე. ჩვეულებისამებრ, ანარქისტების პატარა ჯგუფი შეიჭრებოდა ადგილობრივ მუნიციპალიტეტში, აღმართავდა შავ-წითელ დროშას და გამოაცხადებდა „ლიბერტარულ კომუნიზმს“ მთლიან ქალაქში. ამ მეთოდის მხარდამჭერები მას „რევოლუციურ გიმნასტიკას“ უწოდებდნენ. აჯანყების ეს მცდელობები წარმოადგენდა მე-19 საუკუნეში ანარქისტების მიერ შემუშავებული „მოქმედებით პროპაგანდის“ კონცეფციასთან დაბრუნებას, რომლის თანახმად პატარა ჯგუფის მიერ განხორციელებულ სამაგალითო მოქმედებას შეუძლია სპონტანური მასობრივი აჯანყების გამოწვევა. ამ მცდელობებიდან ყველაზე წარუმატებელი იყო 1933 წლის იანვარში წარუმატებელი გაფიცვა ანდალუსის სოფელ „Casas Viejas“-ში, სადაც გასამხედროებულმა პოლიციამ (*asaltos*) კონტრშეტევის დროს მოაწყო ხოცვა-ჟლეტა, რომლის დრისაც პოლიციელებმა მთელი ოჯახი საკუთარ სახლში ამოწვეს და ესროდნენ იმათაც კი, ვინც ნებდებოდა.

სინდიკალისტების ყველაზე დიდი შიში რეალობად იქცა 1933 წლის იანვრის აჯანყების დროს: „ნაციონალური კონფედერაცია და რეგიონალები მოექცნენ მებრძოლებისგან შემდგარი პატარა ჯგუფის გავლენის ქვეშ, რომელიც უბიძგებდნენ კონფედერაციის წევრებს სახიფათო და გაუაზრებელი მოქმედებებისაკენ.“ წერს ჯერემი მინტზი, „ამას შედეგად მოჰყვა პროფკავშირის წევრთა უმეტესობის ქუჩაში ცემა, მათი ლიდერების დაპატიმრება და პროფკავშირების დახურვა.“⁶

სინდიკალისტური ხედვის თანახმად, სოციალურ ტრანსფორმაციას წინ უნდა უძღოდეს მუშათა კლასის ორგანიზაცია და განათლება, მისი უნარებისა და თავდაჯერებულობის განვითარება და თანმიმდევრული რევოლუციური სტრატეგიის შემუშავება, და არა წმინდა სპონტანურონაზე იმედების დამყარება. 1933 წელს დაწერილ წიგნში „*Sindicalismo*“, ხუან პეირო ამას შემდეგნაირად გადმოგვცემს:

„ჩვენთვის სოციალური რევოლუცია არ არის მხოლოდ და მხოლოდ სახელმწიფოს წინააღმდეგ ბრძოლა... სოციალური რევოლუცია ძირითადად მდგომარეობს ფაბრიკებისა და მაღაროების, მიწისა და რკინიგზების დაპყრობაში. მაგრამ საზოგადოებრივი სიმდიდრის მხოლოდ ხელში ჩაგდება საკმარისი არაა, საჭიროა შეგვეძლოს მისი დროული გამოყენება, ყოველგვარი შეფერხების გარეშე.“[7]

პროცესის „შეუფერხებლობა“ გარანტირებული იქნებოდა იმ გარემოებით, რომ საზოგადოების ტრანსფორმაციას წარმართავდნენ თვითონ მუშები, რომლებსაც შესწევთ წარმოების გაგრძელების უნარი, ყოველგვარი ზემოდან მიღებული დირექტივების გარეშე.

CNT-ში მიმდინარე შიდა ბრძოლა უფრო გამძაფრდა იმის შემდეგ, რაც ოცდაათი აქტივისტისგან შემდგარმა ჯგუფმა კაპიტალისტურ პრესაში გააგზავნა წერილი, რომელშიც აკრიტიკებდა FAI-ს მიერ CNT-ში დამყარებულ „დიქტატურას“. ეს ოცდაათი აქტივისტი და მათი მხარდამჭერები ცნობილები გახდნენ *treintista*-ს („ოცდაათიანლები“) სახელით. *Treintistas* არ იყო ერთადერთი ჯგუფი, რომელიც გამოდიოდა კატალონიური FAI-ს ქმედებების წინააღმდეგ. კატალონიის გარეთ მოქმედი FAI-ს ჯგუფებიც კრიტიკულად უყურებდნენ კატალონიელების საქმიანობას. არჩევნებში რესპუბლიკელების გამარჯვებისთანავე, ერთ ერთმა წამყვანმა *treintista*-მ, ანხელ პესტანამ მოითხოვა მშრომელთა პარტიის შექმნა. მან მალევე დააარსა „სინდიკალისტთა პარტია“ (*Partido Sindicalista*) პარლამენტარულ არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად. თუმცა *Treintistas*-ების უმეტესობა პესტანას მხარს არ უჭერდა, ბევრი ანარქისტი მაინც შიშობდა, რომ *Treintistas* საარჩევნო პოლიტიკის გზას მიყვებოდა.

კატალონიურ FAI-ს აგრეთვე აღელვებდა ლენინისტური დაჯგუფებები CNT-ს პროფკავშირებში. 1930 წელს კატალონიური მუშათა ფედერაცია შეუერთდა კატალონიურ კომუნისტურ პარტიას (*Partit Comunista Catala — PCC*) მუშათა და გლეხთა ბლოკის (*Bloc Obrer i Camperol — BOC*) შექმნის მიზნით. BOC იყო ანტისტალინისტური ჯგუფი, რომელიც, მიუხედავად ამისა, ემხრობოდა „ავანგარდული პარტიის“ ლენინისტურ მოდელს. ქალაქ ლეიდაში BOC განსაკუთრებით ძლიერი იყო. ლეიდას CNT-ს ერთ-ერთი წამყვანი ფიგურა, ცნობილი მასწავლებელი, ხოაკინ მაურიანი ასევე იყო BOC-ის ლიდერიც.

BOC ასევე ცდილობდა ლიბერტარული *ateneos*-ების თავის ხელში ჩაგდებას. *Ateneos*-ების მთავარ გადაწყვეტილებების მიმღებ ორგანოებს წარმოადგენდნენ პერიოდული საბჭოები, რომლებმაც ირჩევდნენ ადმინისტრაციულ კომიტეტებს. BOC-ის წევრები ხშირად

ძალით იჭრებოდნენ საბჭოებზე და ცდილობდნენ ადმინისტრაციული კომიტეტი თავიანთი კონტროლის ქვეშ მოექციათ.

1932 წლისთვის, FAI-მ მოიპოვა საკმარისი ჰეგემონია CNT-ში იმისათვის, რომ შესძლებოდა *Treintistas*-სა და BOC-ის მიერ მართული პროფკავშირების [კონფედერაციიდან] გამოძევება. ამის შედეგად, CNT-მ დაკარგა პროფკავშირული ორგანიზაციების დიდი ნაწილი ლეიდაში. 1934 წელს BOC-ის პროფკავშირებმა შექმნეს ახალი შრომითი ფედერაცია - „პროფკავშირთა ერთობის მუშათა ფედერაცია“ (*Federación Obrera de Unidad Sindical — FOUS*). 1935 წელს BOC-ი შეურთდა პატარა ლენინისტურ ჯგუფებს და ახალი სახელი დაირქვა - „მარქსისტული გაერთიანების მუშათა პარტია“ (*Partido Obrero de Unificación Marxista — POUM*).⁸

1933 წლის არჩევნებზე მემარჯვენე პარტიების გამარჯვებით ესპანეთში დაიწყო რეპრესიული სახელმწიფოს პერიოდი, რომელიც ცნობილია როგორც „*biennio negro*“ (ორი შავი წელი). ამ დროს ლარგო კაბალერო და სოციალისტური პარტიის უმეტესი ნაწილი მიემხრო მემარცხენე პოლიტიკას. კაბალერომ დაიწყო ლაპარაკი „პროლეტარული რევოლუციისა“ და „მუშათა სახელმწიფოს“ აუცილებლობაზე.

PSOE-ს დაბრუნება მემარცხენე პოლიტიკისკენ განპირობებული იყო მოვლენათა გარკვეული თანმიმდევრობით: ჰიტლერის ხელისუფლებაში მოსვლით გერმანიაში და კლერიკალურ-ფაშისტური ქრისტიანული სოციალური პარტიის - ავსტრიაში, უმუშევრობის დონის ზრდით, *Casas Viejas*-ში მომხდარი ხოცვით გამოწვეული აღშფოთებით და ესპანელი დამსაქმებლების შეურიგებლობით. მთავრობის მიერ უსახლკარო გლეხების მიწით უზრუნველყოფისთვის გამოყოფილი თანხები სრულაიდ არ იყო საკმარისი მიწის რეფორმის საჭიროებასთან გასამკლავებლად. PSOE-სა და ლიბერალების 1931-33 წლების კოალიციისაგან აღარაფერი იყო დარჩენილი.

სოციალისტების „მარცხნივ“ გადანაცვლებას კარგად ასახავს ნაციონალური საჯარო გაფიცვის მოწყობის მცდელობა 1934 წლის ოქტომბერში. სოციალისტებს ჯერ კიდევ ცუდი ურთიერთობა ჰქონდათ CNT-სთან და ქვეყნის უმეტეს ნაწილებში გაფიცვა თავიდანვე განწირული იყო ცუდი კოორდინაციის გამო. სიტუაცია განსხვავდებოდა მხოლოდ ასტურიაში, სადაც CNT და UGT რამდენიმე თვის განმავლობაში თანამშრომლობდნენ „მუშათა ალიანსის“ შესაქმნელად. ამგვარად, ორმა პროფკავშირმა საერთო აჯანყების გზით შეძლო მთელი რეგიონის ხელში ჩაგდება ორი კვირით. მაგრამ მეამბოხეები იზოლირებულნი იყვნენ და როდესაც ხელისუფლებამ ჯარი გაგზავნა აჯანყების ჩასახშობად,

შედეგად ათასობით ადამიანი მოკვდა და ციხეში გაიგზავნა. მეამბოხეების ცოლები და ქალიშვილები გააუპატიურეს და დაასახინრეს, „უცხოური ლეგიონის“ - სხვადასხვა ქვეყნებიდან ჩამოსული კრიმინალებისა და ბანდიტებისგან შემდგარმა სამხედრო დაჯგუფებებმა. ამ აჯანყებამ შიშის ზარი დასცა მაღალ კლასებს, ხოლო მისმა ჩახშობამ ხელი შეუწყო მუშათა კლასის გაუცხოებას.

მემარცხენე-ლიბერტარიანული ხედვა

1936 წლისთვის UGT-სა და CNT-ს პროფკავშირების წევრთა რაოდენობამ პიკს მიაღწია. მომავლის შესახებ ინტენსიური დებატებით შეპყრობილ ესპანეთში გავრცელდა გაფიცვათა უზარმაზარი ტალღა, მათ შორის იყო რამდენიმე გენერალური გაფიცვაც. თებერვლის არჩევნებზე ლიბერალურ-სოციალისტური კოალიციის გამარჯვებასთან ერთად, მუშებს მიეცათ თავისუფალი სივრცე, სადაც შეეძლოთ გაფიცვების ორგანიზება და ცვლილებების მოთხოვნა. გლეხების პროფკავშირები თვითონ ახორციელებდნენ მიწის რეფორმას მიწების ხელში ჩაგდების გზით. *Treintista*-ს თეორეტიკოსმა, ხუან პეირომ, მაისში ერთ ჟურნალისტს მოახსენა: „მასები რევოლუციისკენ მიისწრაფვიან.“

მემარჯვენე აქტივისტები ღიად მოუწოდებდნენ ჯარს ხელისუფლების ხელში ჩაგდებისკენ, რის გამოც ხალხის უმრავლესობა მოელოდა სამხედრო coup d'etat-ს. მობილიზაციითა და კრიზისით მოცულ ატმოსფეროში, სარაგოსაში გაიმართა CNT-ს ნაციონალური კონგრესი. 1935 წლისთვის კატალონიელმა ანარქისტულმა ჯგუფებმა თავიანთ ადრინდელ [მილიტანტურ] მეთოდებზე უარი სთქვეს და *Treintistas*-თან გარიგებაზე წავიდნენ. მომავალი ბრძოლებისთვის მაქსიმალური ერთიანობის მისაღწევად, FAI-ს წევრებმა *Treintistas*-ები CNT-ში უკან მიიღეს.

კონგრესზე განხილვის ერთ-ერთ თემას წარმოადგენდა CNT-ს ხედვა ახალი საზოგადოებისა, რომელსაც შემდგომ „ლიბერტარული კომუნიზმი“ დაერქვა. სარაგოსის კონგრესზე შემუშავებული დოკუმენტი წარმოადგენდა ესპანურ მემარცხენე-ლიბერტარიანულ მოძრაობაზე გავლენის მქონე ანარქო-კომუნისტური და სინდიკალისტური იდეების სინთეზის მცდელობას.

შემუშავებულ იქნა საზოგადოების თვითმართველობის ორმაგი სტრუქტურა, რომელსაც საფუძვლად ედო როგორც სამუშაო ადგილებზე მოქმედი საბჭოები, ასევე სოფლის ან ქალაქის მცხოვრებთა საბჭოებიც. სამუშაო ადგილების საბჭოები აირჩევდნენ

წარმომადგენლებს და გაერთიანდებოდნენ ნაციონალურ- ინდუსტრიულ ფედერაციებში სხვადასხვა წარმოების დარგის კოორდინებული მართვის მიზნით.

დიდი ყურადღება ექცეოდა „თავისუფალ მუნიციპალიტეტებს“ და მათ ავტონომიასაც, რაც წარმომადგენდა ანარქო-კომუნისტური გავლენის ნაყოფს. მუნიციპალიტეტი იქნებოდა სოფლების ან ქალაქის უბნების მცხოვრებთა ასამბლეებისგან შემდგარი დაწესებულება. ყოველ ასამბლეაზე აირჩევდნენ „მუნიციპალურ საბჭოს“. ამ საბჭოების წევრები ჩვეულებრივ გააგრძელებდნენ მუშაობას თავიანთ სამუშაო ადგილებზე, ხოლო მნიშვნელოვანი საკითხების გადაჭრის დროს გადაწყვეტილების მისაღებად მიმართავდნენ ასამბლეებს.

დიეგო აბად-დე-სანტილანის⁹ შემოთავაზების თანახმად, სხვადასხვა ნაციონალურ- ინდუსტრიული ფედერაცია გაერთიანდებოდა „ეკონომიკურ საბჭოში“, როგორც მათ საკოორდინაციო ორგანოში. ხოლო საწარმოო გეგმები შემუშავებული იქნებოდა ინდუსტრიული ფედერაციების წარმომადგენლებისაგან შემდგარ რეგიონულ და ნაციონალურ კონგრესებზე, დამხმარე პერსონალის მეოხებით. პრაქტიკაში, ეს სისტემა წარმომადგენდა ცენტრალური დაგეგმვის დემოკრატიულ, სინდიკალისტურ ვერსიას.

სარაგოსის კონგრესის დოკუმენტში აბად დე სანტილანის შემოთავაზება შეცვლილია. საცხოვრებელ ასამბლეებს და მათ გეოგრაფიულ ფედერაციებს პოლიტიკური თვითმართველობის ფუნქციის გარდა, მიენიჭათ ასევე მომხმარებლის წარმოებაში ჩამრთველი მექანიზმის ფუნქციაც, რომელსაც დაეკისრებოდა ისეთ საზოგადოებრივ საქონელთან დაკავშირებული შემოთავაზებების გახმოვანება, როგორცაა ჯანდაცვა, მედია, ქალაქების გალამაზება და საცხოვრებელი ადგილები. მაგრამ როგორ მოხდებოდა მომხმარებლის ჩართვა საზოგადო დაგეგმვის პროცესში? სარაგოსის დოკუმენტში ამის შესახებ არაფერი წერია. ტრადიციული ანარქიზმი მოკლებულია მონაწილეობითი დაგეგმვის¹⁰ - მომხმარებლისა და მუშას შორის მოლაპარაკების გზით საწარმოო გეგმის შედგენის კონცეფციას.

სარაგოსის დოკუმენტში ნახსენებია თავისუფალი მუნიციპალიტეტების გაერთიანება რეგიონულ და ნაციონალურ „სახალხო კონგრესებში“. ამის რეალიზაცია მოგვეცემდა ადგილობრივ, რეგიონულ და ნაციონალურ საკანონმდებლოს. დოკუმენტში ასევე გათვალისწინებულია „სახალხო მილიცია“ -სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ჯარი - როგორც ახალი საზოგადოებრივი წყობილების დაცვის საშუალება¹¹. დაწესებულება, რომელსაც შეუძლია საზოგადოებისათვის წესების შედგენა და ამ წესების შედგენის შესაძლებლობის

სამხედრო ძალით დაცვა ფაქტიურად წარმოადგენს პოლიტიკურ ორგანიზაციას. თუ მემარცხენე-ლიბერტარიანული ორგანიზაცია სახელმწიფო **არაა**, მაშინ საჭიროა განვასხვავოთ ეს ორგანიზაცია (თვითმართველობის სტრუქტურა) და სახელმწიფო. ტრადიციულ ანარქისტულ ლიტერატურაში ეს თემა ნათლად განხილული არ არის.

პეტრე კროპოტკინის მცდელობას, ეს განხვავება წარმოეჩინა, მივყავართ ესპანური ანარქისტული კომუნისტების დამახასიათებელი ადგილობრივ ავტონომიისა და დეცენტრალიზაციისკენ. კროპოტკინისთვის, რადგან „სახელმწიფოს შექმნის მიზანი იყო დომინანტური კლასების ძალაუფლების შენარჩუნება“, ეკონომიკის სოციალიზაცია და „შრომის გათავისუფლება“ მოითხოვს „პოლიტიკური ორგანიზაციის ახალ ფორმას“, რომელიც „უფრო პოპულარული და დეცენტრალიზებულია და უფრო ახლოსაა სათემო საბჭოსთან“ ვიდრე კაპიტალიზმისთვის დამახასიათებელ წარმომადგენლობითი სახელმწიფოს ფორმასთან.¹²

მიუხედავად იმისა, რომ სარაგოსის კინგრესზე UGT-ს პროფკავშირებთან „რევოლუციური მუშათა ალიანსის“ შექმნის შემოთავაზება კარგად იყო მიღებული, არ იყო შემუშავებული არანაირი სტრატეგია ან პროგრამა იმ სიტუაციისთვის, რომლის წინაშეც აღმოჩნდა CNT. ამის გამო, CNT-ს მოუწია „სრულიად არათანმიმდევრული იმპროვიზაცია“(ცეზარ მ. ლორენცოს სიტყვები¹³) კონგრესიდან ორი თვის შემდეგ, სამხედრო coup d'etat-ის მომდევნო პერიოდში.

სახელმწიფო გადატრიალება

19 ივლისის დილას, ესპანეთში დაიწყო სახელმწიფო გადატრიალება. ბარსელონაში, დილის 5 საათზე ფაბრიკების სირენები აყვირდნენ. ეს ხმა CNT-ს თავდაცვითი ორგანიზაციებისთვის იყო ნიშანი იმისა, რომ ჯარისკაცებმა დაიწყეს თავიანთი ყაზარმებიდან გამოსვლა. CNT-მ ბარსელონაში შექმნა ორასამდე სამეზობლო თავდაცვითი ჯგუფი, რომლებიც ორი ათასამდე შეიარაღებულ აქტივისტს აერთიანებდნენ; ასევე შეიქმნა მუშათა რეგიონული თავდაცვის კომიტეტი, შეიარაღებული ჯგუფების კოორდინირებისთვის. გადატრიალების წინა ღამეს, მუშებმა ხელში ჩაიგდეს ბარსელონის პორტში ერთ-ერთ გემზე მდებარე იარაღით სავსე კონტეინერი.

როდესაც CNT-მ თავისი ძალების კონცენტრაცია ერთ-ერთ სამხედრო ბაზაზე მოახდინა, ერთმა კაპრალმა მოკლა თავისი ფაშისტი ოფიცერი და დაარწმუნა დანარჩენი ჯარისკაცები დანებებულიყვნენ. ამის შედეგად CNT-ს ხელში ჩაუვარდა იარაღის უზარმაზარი მარაგი.

საავტომობილო კომპანიის მუშებმა ხელში ჩაიგდეს და საბრძოლველად გამოიყენეს ჯავშნიანი მანქანა, რომელსაც კომპანია ფულის გადაზიდვისთვის იყენებდა. როგორც კი CNT-მ ჯარის საწინააღმდეგო მოქმედებები დაიწყო, ბრძოლაში ჩაერთვნენ იერარქიულად ორგანიზებული *asaltos*-ებიც. ბარსელონაში, დოკებთან მდებარე მუშათა კლასის სამეზობლოში, პოლიციის უფროსი იარაღს ურიგებდა ყველას, ვისაც შეეძლო პროფკავშირის წევრობის ბარათის წარდგენა. ესპანური ავიაციის პილოტებმა დაიწყეს ბარსელონის გარშემო მდებარე ჯარის პოზიციების დაბომბვა და სტრაფინგი.

არსად ესპანეთში პოლიციის წევრებს თავისით არ გამოუჩენიათ ჯარის წინააღმდეგ ბრძოლის ინიციატივა. ყველგან, სადაც მუშებმა უარი თქვეს აგრესიულ, შეიარაღებულ მოქმედებაზე და ენდნენ მთავრობის ლიბერალ წარმომადგენლებს, პოლიცია უმოქმედოდ იყო. CNT-ს ერთ-ერთ მთავარ დასაყრდენში, სარაგოსაში, ადგილობრივი CNT-ს ლიდერი ენდო რესპუბლიკელ პოლიტიკოსს, რასაც შედეგად მოყვა მუშების საშინელი ხოცვა აჯანყებული ჯარის მიერ. 1979 წელს, სარაგოსის ახლობლად აღმოჩენილი იქნა მასობრივი საფლავი, რომელშიც იყო 7000 ცხედარი.

თითქმის ყველგან, სადაც პროფკავშირების აქტივისტები პოლიციის დახმარებით აგრესიულად გამოვიდნენ სამხედროების წინააღმდეგ, ჯარი დამარცხდა. მადრიდში, პოლიციელთა უმეტესობა სოციალისტი იყო. ისეთი ადგილი, სადაც ხალხმა პოლიციის დახმარების გარეშე შეძლო ჯარის დამარცხება, ძალიან ცოტა მოიძებნება. არსად ესპანეთში ჯარისკაცები არ აჯანყებულან თავისი ოფიცრების წინააღმდეგ სანამ გაბრაზებული მუშებისა და პოლიციელების ალყაში არ მოექცეოდნენ.

ესპანური ფლოტის ოფიცრების უმრავლესობა მინათმფლობელი ოლიგარქების ცისფერ სისხლიანი შვილები იყვნენ. მათ დაბალი წარმოდგენა ჰქონდათ დაბალი რანგის მებღვაურებზე. ბევრ ესპანელ მებღვაურს უმუშავია ესპანური კომერციული გადაზიდვის ინდუსტრიაში, სადაც მათ ხშირად უწევდათ CNT-ს ან UGT-ს პროფკავშირების წევრობა. არც ისინი იყვნენ კარგი აზრისა თავიანთ ოფიცრებზე. 19 ივლისის წინა ღამეს, ესპანური ფლოტის მებღვაურებმა მოაწყვეს საიდუმლო შეხვედრა, აირჩიეს გემების კომიტეტები და დაიწყეს თავისი ფაშისტი ოფიცრების დატყვევება და ლიკვიდაცია.

ორი კვირის შემდეგ, ფაშისტმა გენერლებმა დაკარგეს ესპანური სამხედრო პერსონალის ნახევარი, პოლიციელების 40 პროცენტი, ფლოტის ორი მესამედი და თითქმის მთლიანი საჰაერო ძალა. სამხედრო სახელმწიფო გადატრიალება დამარცხებული იყო ესპანეთის ორ მესამედ ნაწილში, ინდუსტრიული ტერტორიებისა და დიდი ქალაქების ჩათვლით.

ფაშისტი გენერლების განკარგულებაში მყოფ მთავარ ძალას წარმოადგენდა 25 000 კაციანი „აფრიკული ჯარი“- ბრძოლაში გამოცდილი დაქირავებული მეომრებისა და ბანდიტებისგან შემდგარი კოლონიური ჯარი. გიბრალტარის სრუტეში მოხეტიალე, ესპანელი მეზღვაურების კონტროლის ქვეშ მყოფი სამხედრო გემების გამო „აფრიკული ჯარის“ მაროკოდან ესპანეთში წყლით გადაყვანა შეუძლებელი გახდა. ამ დროს ესპანელი გენერლების დასახმარებლად მოვიდა ნაცისტური გერმანია. მათ გამოაგზავნეს თვითმფრინავი და პილოტები „აფრიკული ჯარის“ ესპანეთში გადასაყვანად - ეს იყო პირველი შემთხვევა ისტორიაში, როდესაც მოხდა მთლიანი ჯარის მოქმედების ზონაში ჰაერით გადაყვანა. ნავთობის გადამამუშავებელი ქარხნები და ბენზინის მარაგები ესპანელ მუშებს ქპონდათ დააპყრობილი, რის გამოც ფაშისტებს სანჯავის ამონურვა ემუქრებოდათ. ფაშისტებმა საერთაშორისო დახმარება კიდევ ერთი ფორმით მიიღეს ამერიკული კომპანია „ტექსაკოსგან“ (Texaco). კომპანიის უფროსმა ზღვაში მყოფ ტანკერებს ფაშისტების პორტებში გაჩერება უბრძანა. კომპანიამ ესპანური ჯარი უზრუნველყო 5 მილიონი დოლარის ღირებულების ბენზინით.

ამ დროს გიბრალტარის სრუტეში განთავსებული ბრიტანული ფლოტის ოფიცრებს შიშის ზარს სცემდა იმის დანახვა, რომ ესპანური საბრძოლო ხომალდები იმართებოდა დაბალი რანგის მეზღვაურების მიერ, რომლებიც არაფრად აგდებდნენ უნიფორმის ტარების ტრადიციულ წესებს და ერთმანეთს ჰაერში აღმართული მუშტით ესალმებოდნენ. ბრიტანელმა საზღვაო ოფიცრებმა პირდაპირი დახმარება გაუწიეს ფაშისტებს. როდესაც ჯარმა ხმელეთის მხრიდან ალყა შემოარტყა სანაპირო ქალაქ ალხესირასს, ესპანელი მეზღვაურები შეეცადნენ დაეცვათ ქალაქი თავისი გემების ზარბაზნების ჯარის წინააღმდეგ გამოყენებით, მაგრამ ბრიტანელებმა თავისი გემები ქალაქის წინ განათავსეს, რითაც ესპანურ ფლოტს არ მისცეს გასროლის საშუალება.

ჯარის მიერ აღებულ ქალაქებში დაარსდა იყო „წმენდის“ კომიტეტები. ჩვეულებრივ, კომიტეტი შედგებოდა პოლიციის ოფიცრის, მღვდლის, ფაშისტური ფალანგის წარმომადგენლისა და ადგილობრივი მემამულისაგან. კომიტეტები ადგენდნენ ცნობილი მემარცხენეების სიებს და სისტემატურად სჯიდნენ მათ სიკვდილით. ფალანგის ერთ-ერთი წევრის ნაამბობის თანახმად: „სიკვდილით დასჯილების 80%-ს შეადგენდნენ მუშები. რეპრესიების მიზანი იყო მუშათა კლასის ძალაუფლების შესუსტება. ეს იყო ნამდვილი კლასობრივი ომი.“¹⁴ დადგენილი იქნა, რომ სამოქალაქო ომის პერიოდში ფაშისტების ზონაში ხელისუფლების მიერ სიკვდილით დაისაჯა 100 000-დან 200 000-მდე ადამიანი.

20 ივლისს, ბარსელონაში ჯარის დამარცხებისთანავე ასი ათასობით ადამიანი გამოვიდა ქუჩებში გამარჯვების აღსანიშნავად. CNT-ს ძალების ზრდით შეშფოთებულმა პოლიციის უფროსმა, ფედერიკო ესკოფეტმა, გაგზავნა პოლიციელები სან ანდრეუს სამხედრო იარაღის საწყობში, რომელშიც ინახებოდა 30 000 თოფი. მაგრამ პოლიციელებს დააგვიანდათ - თოფები უკვე CNT-ს ჰქონდა ხელში ჩაგდებული¹⁵. CNT-მ ასევე დაიპყრო გორაკ მონჟიკზე მდებარე ციხე-სიმაგრეები, რომლებიც მთელ ბარსელონას გადმოჰყურებდნენ.

სამეზობლო თავდაცვითი ჯგუფებისთვის იარაღის მიწოდებასთან ერთად, CNT-მ მყისიერად დაიწყო თავისი საკუთარი ჯარის შექმნა. ახალ ჯარში აყვანილი იყო ასი ათასობით CNT-ს წევრი ქალი და კაცი. CNT-ს თავდაცვის კომიტეტმა მოახდინა სატრანსპორტო საშუალებების - ტაქსების, მდიდარი ხალხის პირადი ავტომობილების, ავტობუსებისა და სატვირთო მანქანების რეკვიზიცია. ჩამოყალიბებული იყო მოტორიზებული მებრძოლი ერთეულები, კოლონები, რომელთა დანიშნულება იყო სახელმწიფოს ჯარის განდევნა კატალონიისა და მის ახლო რეგიონებიდან. ტიპური კოლონა იყო დაახლოებით სამხედრო განყოფილების ხელა. ყოველ კოლონაში გადაწყვეტილებების მიმღებ ორგანოს წარმომადგენდა კოლონის წევრთა ასამბლეა. ასამბლეა ირჩევდა კოლონის მეთაურ ოფიცერს („მთავარ დელეგატს“). ყოველი ქვედანაყოფი ირჩევდა „საომარ კომიტეტზე“- კოლონის ადმინისტრაციულ კომიტეტზე თავის წარმომადგენელს. ყველა კოლონას ტექნიკურ მრჩეველად ჰყავდა მხარდამჭერი უნტერ-ოფიცერი ან ესპანური არმიის ოფიცერი. კოლონების კოორდინირება წარმოადგენდა CNT-ს პროფკავშირების თავდაცვითი კომიტეტის მოვალეობას.

1936 წლის ზაფხულში, ვალენსიისა და კატალონიის მშრომელთა მილიციის კოლონებმა შეძლეს ფაშიტური ჯარის კატალონიისა და არაგონის საზღვრიდან 100 კილომეტრზე გამოდევნება. ეს იყო ყველაზე დიდი ტერიტორია, რაც კი ეკავათ ანტიფაშისტურ ძალებს სამოქალაქო ომის პერიოდში.

ბარსელონა ესპანური საავტომობილო ინდუსტრიის ცენტრს წარმოადგენდა. 19 ივლისის შემდეგ, CNT-ს მეტალურგიული პროფკავშირი დაუყოვნებლივ დაეუფლა ამ ინდუსტრიის აქტივებს და პროფკავშირული მილიციის მომარაგების მიზნით ისინი სამხედრო წარმოების საშუალებებად გარდაქმნა. CNT -ს მეოხებით, უკვე რამდენიმე კვირაში ოცდაოთხმა მეტალურგიულმა და ქიმიურმა ქარხანამ დაიწყო ტყვიების, ასაფეთქებლებისა და ჯავშნიანი მანქანების წარმოება მშრომელთა რევოლუციური არმიისთვის.

დებატები პოლიტიკური ძალაუფლების შესახებ CNT-ში

მისი ახლობლების თანახმად, ლუის კომპანისი 20 ივლისს შეშფოთებული და ანერვიულებული იყო. პოლიციის უფროსმა, ესკოფეტმა, იგი გააფთხილა, რომ პოლიციას აღარ შეეძლო სახელმწიფოს ავტორიტეტის აღდგენის გარანტირება¹⁶. შეიარაღებული ძალაუფლება კატალონიაში დე ფაქტო CNT-ს ეპყრო. კომპანისი იყო *Generalitat de Catalunya*-ს („კატალონიური თანამეგობრობის“ - ავტონომიური რეგიონული პარლამენტის) პრეზიდენტი და კატალონიელი ნაციონალისტების პოპულისტი მემარცხენე-რესპუბლიკული პარტიის (*Partit Esquerra Republicana de Catalunya*; შემოკლებით-*Esquerra*) უფროსი. 1936 წლის თებერვლის არჩევნებზე *Esquerra*-მ დაამარცხა კატალონიური ლიგა (*Lliga Catalana*)- კატალონიელი მსხვილი ბიზნესმენების პარტია. კატალონიის საშუალო ფენა - სავაჭრო და სანარმოო მცირე ბიზნესების მფლობელები, წვრილი მემამულეები, ადვოკატები, მენეჯერები, ფერმერები - წარმოადგენდნენ *Esquerra*-ს სოციალურ ბაზისს.

კომპანისი იყო CNT-ს ყოფილი ადვოკატი და ამიტომაც ბევრ ანარქისტს იცნობდა. მისთვის საჭირო იყო როგორმე შეთანხმებოდა ანარქისტებს, რომ თავიდან აერიდებინა თავისი მთავრობის დამხობა.

რიკარდო სანზი, ბუენავენტურა დურუტი და ხუან გარსია ოლივერი იყვნენ CNT-ს რეგიონული თავდაცვის კომიტეტის წამყვანი აქტივისტები და *Nosotros*-ის („ჩვენ“, FAI-ს ჯგუფი) წევრები. 20 ივლისს კომპანისმა ისინი თავის ოფისში მიიწვია. კომპანისმა მათ შემდეგი რამ მოახსენა: „პირველ რიგში, მე მინდა გითხრათ, რომ CNT და FAI არასოდეს სარგებლობდნენ იმ პატივისცემით, რომელსაც ისინი იმსახურებდნენ. ხელისუფლება თქვენ ყოველთვის დაუნდობლად გდევნიდათ. მეც კი - ადამიანი, რომელიც წარსულში თქვენთან ერთად იდგა, პოლიტიკურმა რეალობამ მაუძულა თქვენს წინააღმდეგ გამოვსულიყავი და თქვენს შევიწროებაში მიმელო მონაწილეობა. ახლა კი მთელი ქალაქი და მთელი კატალონია თქვენს ხელშია, რადგან მარტო თქვენ შეძელით ფაშისტი მილიტარისტების აქედან განდევნა. მაგრამ, ნება მიბოძეთ შეგახსენოთ, რომ თქვენ არ მოგკლებიათ არც ჩემი პარტიის წევრთა, და არც ჩემი სამხედრო პოლიციის დახმარება... თქვენ გაიმარჯვეთ და ძალაუფლებაც თქვენს ხელშია, თუ მე თქვენ არ გჭირდებით და არ გსურთ ჩემი პრეზიდენტად დარჩენა, ახლავე მითხარით და მე ამ წამსვე უბრალო ჯარისკაცი გავხდები... თქვენ შეგიძლიათ ჩემი, როგორც კაცისა და პარტიის ლიდერის, რომელსაც სჯერა, რომ ამ დღეს ჩვენმა სამარცხვინო წარსულმა თავის დასასრულს მიაღწია, ერთგულების იმედი

იქონიოთ. მე გულწრფელად ვიმედოვნებ, რომ კატალონია გახდება ავანგარდი ყველა პროგრესული ქვეყნისა¹⁷.”

ამის შემდეგ კომპანიისმა შესთავაზა CNT-ს განწევრიანებულიყო პოპულარული ფრონტის პარტიებისგან შემდგარ ანტიფაშისტურ მილიციების კომიტეტში, ფაშისტური ჯარის საწინააღმდეგო შეიარაღებული ღონისძიებების ჩატარების მიზნით. ეს გონიერი სვლა იყო, რადგან სახელმწიფოს ნომინალური დამოუკიდებლობა, ანარქისტებს საშუალებას მისცემდა ეთქვათ, რომ არანაირად არ მონაწილეობდნენ სახელმწიფოს მართვაში და ამავე დროს ჩართავდა მათ პოპულარული ფრონტის ლიდერების მიერ წარმართულ ღონისძიებებში.

სანზის, დურუტის და გარსია ოლივერის აზრით, CNT-ს ჟენერალიდადი უნდა დაემხო¹⁸, მაგრამ მათ ეს აზრი კომპანიისთვის არ გაუზიარებიათ. მათ უთხრეს, რომ CNT-ს გადაწყვეტილება უნდა მიეღო იმის შესახებ თუ როგორ ემოქმედა. იმ დამით, CNT-ს ადგილობრივ შრომით საბჭოზე ბარსელონაში გაიმართა შეხვედრა, სადაც უნდა გადამწყდარიყო ორგანიზაციის პოზიცია. შეხვედრაზე გარსია ოლივერი ამტკიცებდა, რომ „მოძრაობამ ძალაუფლება თავის ხელში უნდა აიღოს“. სკოლის პედაგოგი, ფელიქს კარასქუერი და დიეგო აბად-დე-სანტილანი, ორივე FAI-ს წარმომადგენელი, მას არ ეთანხმებოდნენ. თუმცა დებატების მთავარი საკითხი წარმოდგენილი იყო შემდეგნაირად: „უნდა დავამყაროთ თუ არა ლიბერტარული კომუნისტური ჩვენებური მოდელი? საჭიროა თუ არა ამისთვის მთელი ძალაუფლება მხოლოდ CNT-ს ხელში მოექცეს?“ კარასქუერი და აბად დე სანტილანი თვლიდნენ, რომ ეს იქნებოდა უმცირესობის მიერ დამყარებული დიქტატურა. ცხარე დებატების შედეგად, ბარსელონის მშრომელთა საბჭომ გადაწყვიტა ძალაუფლება თავის ხელში არ აეღო¹⁹.

თუმცა ამით საკითხი არ გადაწყდარა. საბოლოო გადაწყვეტილება მიიღებოდა კატალონიის ყველა მშრომელთა საბჭოსგან შემდგარ პლენარულ სხდომაზე. რეგიონულმა მდივანმა სხდომა 23 ივლისს დანიშნა. პლენარული სხდომა წარმოადგენდა 500-ზე მეტი მშრომელთა საბჭოს წარმომადგენლის შეხვედრას. შეხვედრა გაიმართა Casa de Cambó-ში - დამქირავებელთა ასოციაციის ყოფილ შტაბ-ბინაში. ეს უზარმაზარი შენობა ოკუპირებული იყო CNT-ს, FAI-ს და *Mujeres Libres*-ის („თავისუფალი ქალების“ - ანარქისტი ქალების ორგანიზაციის) სივრცით უძრუნველყოფის მიზნით. ბაშ-ლობრეგატის (Bajo Llobregat) მშრომელთა საბჭოს დელეგაციის შემოთავაზების თანახმად, პროფკავშირებს უნდა აეღოთ ძალაუფლება თავიანთ ხელში და დაემხოთ ჟენერალიდადი. მათი აზრით, ეს იყო ყველაზე ხელსაყრელი მომენტი CNT-ს რევოლუციური პროგრამის

განხორციელებისთვის. ბაშ-ლობრეგატი იყო ბარსელონის სამხრეთ ნაწილში მდებარე ინდუსტრიული გარეუბანი, რომელიც აშენდა 1920-იანი წლების ეკონომიკური აფეთქების დროს. ბაშ-ლობრეგატის დელეგაციამ თავისი პოზიციის გახმოვანება გარსია ოლივერს სთხოვა. ქარიზმატული ორატორი, გარსია ოლივერი, თავისი ცხოვრების უმეტეს ნაწილს, ციხეში ჯდომის პერიოდის გამოკლებით, ოფიციალტად მუშაობდა. კლასობრივ ბრძოლაში მონაწილეობის მისი მდიდარი გამოცდილებიდან გამომდინარე, იგი თვლიდა, რომ თუ მუშათა კლასს ოდესმე მიეცემოდა განთავისუფლების შესაძლებლობა, მას მოუწევდა თავისი სურვილის საზოგადოების დანარჩენ ნაწილზე მოხვევა.

გარსია ოლივერი ყურადღებას ამახვილებდა იმაზე, რომ რევოლუციური პროცესი უნდა იყოს გაკონტროლებული, არ შეიძლება მისი „ძალაუფლების ვაკუუმში“ დატოვება, რომელსაც შეუძლია „სხვადასხვა მარქსისტულ ტენდენციებს მისცეს შესაძლებლობა მოიპოვონ კონტროლი და გაგვანადგურონ.“ რეგიონული სეკრეტარი, ბოშური წარმომავლობის მშენებელი, მარიანო ვაზკეზი თვლიდა, რომ საჭირო იყო ანტიფაშისტურ მილიციათა კომიტეტში დროებით შესვლა და ამასთან ერთად რევოლუციის „ქუჩებიდან მართვის“ გაგრძელება.

გარსია ოლივერის წინააღმდეგ მთავარი გამომსვლელები იყვნენ ფედერიკა მონცენი და დიეგო აბად-დე-სანტილანი. მონცენი იყო ანარქისტი ნოველისტი და ქარიზმატული ორატორი. ისიც და აბად დე-სანტილანიც იყვნენ ერთ-ერთი FAI-ს ჯგუფის, *Nervio*-ს წევრები. ორივე მუშაობდა მონცენის მშობლების მიერ დაარსებულ ანარქისტულ საგამომცემლო კოოპერატივში. მონცენი იყო FAI-ს ნახევარკუნძულოვანი კომიტეტის წევრი და ისიც და დე-სანტილანიც შეხვედრებზე FAI-ს წარმომადგენლებს.

მონცენის აზრით, გარსია ოლივერის შემოთავაზების თანახმად CNT-ს „ლიბერტარული-კომუნისტური“ პროგრამის განხორციელება ნიშნავდა „ანარქისტული დიქტატურის“ დამყარებას. აბად დე-სანტილანი კი თავის ყურადღებას ამახვილებდა უცხოური ინტერვენციის საშიშროებაზე და ნაპირთან ახლოს მყოფ ბრიტანულ საბრძოლო გემებზე მიუთითებდა.

ამის საპასუხოდ, გარსია ოლივერმა აღნიშნა, რომ მას არაფერი უთქვამს ანარქისტების ან CNT-ს დიქტატურაზე. იგი უარს ამბობდა მუშათა პროფკავშირების მმართველობისათვის „დიქტატურა“ დაერქვა. მისი აზრით, CNT, როგორც მუშათა უდუდესი ორგანიზაცია, ვალდებული იყო რევოლუციის სათავეში ჩამდგარიყო; მას სჯეროდა, რომ CNT-ს პროფკავშირების ლიბერტარიანული, დემოკრატიული პრაქტიკა და იდეოლოგია იქნებოდა

გარანტია იმისა, რომ პროფკავშირების მიერ საზოგადოების მართვა ვერ გადაიქცეოდა ავტორიტარულ რეჟიმად. აბად დე-სანტილანის შენიშვნები, მისი აზრით, მხოლოდ და მხოლოდ შიშზე აპელირებას წარმოადგენდნენ. ვაზკების საპასუხოდ მან თქვა, რომ კიდევ კარგი რეგიონული მდივანი იმას მაინც აღიარებდა, რომ რევოლუცია გაკონტროლებული უნდა ყოფილიყო. მაგრამ იგი მოითხოვდა, რომ რევოლუცია CNT-ს უნდა ემართა.

ლაპარაკის დროს გარსია ოლივერმა შეამჩნია, რომ ფიდელ მურო - *Nervio*-ს კიდევ ერთი ნევრი და „ლიბერტარული ახალგაზრდობის“ აქტივისტი - დელეგაციიდან დელეგაციამდე დაიარებოდა და ხმებს აგროვებდა. არჩევნების დამთავრებისას აღმოჩნდა, რომ უმრავლესობამ აირჩია პოპულარული ფრონტის პარტიებთან და ანტიფაშისტური მილიციების კომიტეტთან კოლაბორაცია²⁰.

თავის მეშუარეობში, გარსია ოლივერი აღნიშნავს, რომ დელეგატები ნამეტან აჩქარებულად იყვნენ მოწვეულნი, მათ არ ჰქონდათ პროფკავშირების აქტივისტებთან კონსულტაციისა ან მიღებული გადაწყვეტილების შედეგების განხილვისთვის საკმარისი დრო. გარსია ოლივერს სჯეროდა, რომ შეხვედრა მოექცა მონცენისა და აბად-დე-სანტილანის მაგვარი „წვრილ-ბურჟუაზიული ანარქისტი ინტელექტუალების“ გავლენის ქვეშ, რომლებსაც, ანარქისტული პრესის საშუალებით, დიდი გავლენა ჰქონდათ მთელ კატალონიაზე.

მაგრამ რატომ მიემხრნენ მშრომელთა საბჭოების დელეგატები მონცენისა და სანტილანს? პროფკავშირების პოლიტიკური ძალაუფლების „CNT-ს დიქტატურად“ წარმოჩენის მიზეზი შეიძლება ყოფილიყო „პრეფიგურატიული“ პოლიტიკის სინდიკალისტური კონცეფციის არაერთგვაროვნება. იმ იდეას, რომ ლიბერტარიანული პროფკავშირები იძლევიან თვითმმართველობაზე აგებული საზოგადოების ხედვას, შეიძლება ჰქონოდა ისეთი ინტერპრეტაცია, რომლის მიხედვითაც საზოგადოების პოლიტიკური და ეკონომიკური მართვის ძალაუფლება თვით პროფკავშირს უნდა მინიჭებოდა. ამას შეეძლო ხალხი მიეყვანა იმ დასკვნამდე, რომ თვითონ CNT უნდა გადაქცეულიყო ეკონომიკურ და პოლიტიკურ მმართველობის სტრუქტურად, ანუ უნდა დამყარებულიყო „CNT-ს დიქტატურა“.

მაგრამ აუცილებელი არაა „პრეფიგურატიული პოლიტიკის“ კონცეფციის, რომელიც გულისხმობს „ძველ ჩარჩოში ახალი საზოგადოების შენებას“ - ესეთი ინტერპრეტაცია. მისი გაგება უნდა მოხდეს შემდეგნაირად: მასობრივი პროფკავშირული ორგანიზაციები ხალხში ნერგავს მონაწილეობითი დემოკრატიის პრაქტიკასა და ჩვევებს, რაც შემდეგ აისახება მუშათა ეკონომიკური და პოლიტიკური თვითმმართველობის **ახალ** სტრუქტურებში,

რომლებიც განცალკევებული იქნება პროფკავშირებისგან. სარაგოსის დოკუმენტი შეიცავს რეგიონული და ნაციონალური მშრომელთა კონგრესების, როგორც ეკონომიკური დაგეგმვის ორგანოების, შექმნის შემოთავაზებას. კონგრესები შემდგარი იქნებდნენ საპროფკავშირო ან სამუშაო ადგილის ასამბლეებზე არჩეული დელეგატებისაგან. მშრომელთა რეგიონული კონგრესი შეიძლება ასევე ყოფილიყო საშუალება CNT-ს, UGT-ს და FOUS-ის კატალონიური პროფკავშირების გაერთიანებისთვის. 350 000 წევრიანი CNT იყო უდიდესი პროფკავშირული ორგანიზაცია კატალონიაში და მოახდენდა მნიშვნელოვან გავლენას ყოველგვარ პოლიტიკური მმართველობის ორგანოებზე, სადაც მონაწილეობას მიიღებდნენ UGT-სა და FOUS-ის პროფკავშირებიც.

მონცენი „CNT-ს დიქტატურაზე“ საუბრის დროს აპელირებდა ანარქისტების ცრურწმენებზე. მან ვერ მოახერხა სწორად წარმოეჩინა ის სიტუაცია, რომლის წინაშეც CNT იდგა. მომავალ თვეებში CNT აცხადებდა, რომ მისი მიზანი იყო „პროლეტარული რევოლუციის ტრიუმფი“. ამ მიზნის მიღწევა კი მუშათა კლასისგან მოითხოვდა ექსპლუატატორი კლასების ძალაუფლების ინსტიტუციური ბაზისის მოშლას.

ესპანეთის რესპუბლიკური პარტიის სოციალურ ბაზისს წარმოადგენდნენ პატარა ბიზნესები და ბიუროკრატებისა და მენეჯერთა კლასები. გარდაუვალი იყო, რომ ეს კლასები წინააღმდეგობას გაუწევდნენ პროლეტარულ რევოლუციას, რადგან იგი ემუქრებოდა მათ პრივილეგიებსა და ძალაუფლებას. ყოველგვარი ძალაუფლება, რომელსაც შეინარჩუნებდნენ რესპუბლიკური ან ბასკური ნაციონალისტური პარტიების ლიდერები, გამოყენებული იქნებოდა მუშათა გაძლიერების პროცესის საწინააღმდეგოდ. გარდა ამისა, კომუნისტური პარტია, რომელმაც პირი იბრუნა «სახალხო ფრონტისკენ», და PSOE-ს სოციალ-დემოკრატიული ფრთა მოკავშირეობდნენ კიდევაც ანტიფაშისტურ საშუალო კლასთან.

მეორე მხრივ, ნათელი იყო ისიც, რომ მუშათა კლასის გამარჯვება მოითხოვდა კლასის მაქსიმალურ ერთიანობას. CNT უყურადღებოდ ვერ დატოვებდა UGT-ში შემავალ 1,4 მილიონ მუშას. ასევე 70 000 კატალონიელი მუშა შედიოდა POUM-ის მიერ მართულ FOUS-ის პროფკავშირებში. ფაშისტურ ჯართან სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში ჩართული CNT-ს წევრთა დიდი რაოდენობა მოითხოვდა სხვა მუშათა ორგანიზაციებთან ალიანსის შექმნას. მაისის კონგრესზე CNT-ს უკვე შემუშავებული ჰქონდა „მუშათა რევოლუციური ალიანსი“ UGT-სთან. CNT- UGT-ს გაერთიანების მაგალითი 1934 წლის ოქტომბერს ასტურიაში აჯანყების დროს ყველასთვის იყო ცნობილი.

იმ შემთხვევაში, თუ CNT ვერ მოახერხებდა გაერთიანებული მუშათა კლასისთვის პრაქტიკული პოლიტიკური პროგრამის შედგენას, დარჩებოდა მხოლოდ კომუნისტური და სახალხო ფრონტის სხვა პარტიების მიერ შემოთავაზებული ალტერნატივა: სახალხო ფრონტის ლიდერების გაერთიანება ალდგენილ რესპუბლიკურ სამთავრობოში. სხვა ვარიანტი არ არსებობდა. ან CNT, სხვა პროფკავშირებთან ერთად, პოლიტიკურ ძალაუფლებას თავის ხელში აიღებდა, ან ფაშისტებთან ბრძოლისთვის ერთობის მიღწევის საჭიროება მიიყვანდა სახალხო ფრონტის ალტერნატივასთან. ბოლოს შემთხვევაში, ალდგებოდა ესპანური სახელმწიფო - იერარქიული აპარატი, რომელიც გამოყენებული იქნებოდა მუშათა კლასის დამმორჩილებელი კლასების ინტერესების დასაცავად.

იმის მიუხედავად, რომ რესპუბლიკური მთავრობა დროებით განიარაღებული იყო, ძველი ჯარის და პოლიციის აჯანყების, და მშრომელთა რევოლუციური მილიციის შექმნის გამო, სახელმწიფო აპარატი, სანამ იგი ხელუხლებელი იყო, მაინც ფლობდა რესურსების მნიშვნელოვან მარაგს. რესპუბლიკელი საშუალო ფენების თვალში იგი სრულიად ლეგიტიმური იყო. იგი აკონტროლებდა ქვეყნის ფინანსურ სისტემას, ოქროს რეზერვებს და სავაჭრო ურთიერთობებს უცხოეთთან. აჯანყების დასრულებისთანავე, კომუნისტურმა პარტიამ მაშინვე დაიწყო კამპანია რესპუბლიკური სახელმწიფოს ალდგენისათვის.

ეს იმას ნიშნავდა, რომ მთავარი საკითხი, რომლის წინაშეც CNT იდგა იყო ის, თუ როგორ შეექმნა სხვა პროფკავშირებთან ერთად ქვეყნის მართვის საერთო სისტემა, როგორ გაენადგურებინა ძველი სახელმწიფო აპარატი და როგორ დაემყარებინა მუშათა კლასის ძალაუფლება.

CNT ამ დასკვნამდე მაშინვე არ მივიდა. ამას დასჭირდა ცხარე დისკუსიების კიდევ ექვსი კვირა.

ანტიფაშისტურ მილიციათა კომიტეტი არ იყო „დუალური ძალაუფლების“ მქონე ორგანო. კომიტეტს, ისევე როგორც სახელმწიფოს, მართავდნენ სახალხო ფრონტის ლიდერები. 350 000 წევრიან CNT-ს კომიტეტზე ეკავა მხოლოდ სამი ადგილი თხუთმეტიდან, 2 ადგილი ეკავა FAI-ს. UGT-ს, რომელსაც კატალონიაში მხოლოდ 100 000 წევრი ჰყავდა, ასევე ეკავა სამი ადგილი. *Esquerra*-ს ფერმერეთა პროფკავშირს - ერთი ადგილი. საშუალო კლასის რესპუბლიკურ პარტიებს ოთხი წარმომადგენელი ჰყავდათ.

აჯანყების დღეებში, კატალონიაში შეიქმნა ახალი პოლიტიკური ორგანიზაცია - „კატალონიის გაერთიანებული სოციალისტური პარტია“ (*Partit Socialista Unificat de*

Catalunya — PSUC). იგი შეიქმნა 4 პატარა პარტიის: PSOE კატალონიური სექციის, კატალონიური კომუნისტური პარტიის (PCC), „პროლეტარული პარტიის“ (კატალონელი ნაციონალისტი მუშების ჯგუფის) და „სოციალისტური კავშირის“ (სოციალ-დემოკრატების ჯგუფის) შერწყმის გზით. PSUC-ს ანტიფაშისტურ მილიციათა კომიტეტზე ეკავა ორი ადგილი იმის მიუხედავად, რომ მასზე დიდ POUM-ს ეკავა მხოლოდ ერთი.

70 000 წევრიან FOUS-ს საერთოდ არ ჰყავდა წარმომადგენლები. აგვისტოში CNT-ს კატალონიის რეგიონული ლიდერის UGT-სთან შეთანხმების მოხედვით, ფაშისტური აჯანყების დროს შექმნილ კვების ტალონების მიღება შეეძლოთ მხოლოდ CNT-სა ან UGT-ს საპროფკავშირო ბარათების მფლობელებს. ამან გამოიწვია FOUS-ის დაშლა. ეს იყო წამყვანი ანარქო-სინდიკალისტების სექტანტური შეცდომა. POUM-ის პოლიტიკა უფრო ახლოს იყო CNT-სასთან, ვიდრე მოსკოვის მხარდამჭერი კომუნისტების. კატალონიური UGT მალევე მოექცა კომუნისტების კონტროლის ქვეშ, FOUS-ის ხელუხლებლად დატოვებით კი CNT შეეძლო მოეპოვა მნიშვნელოვანი მოკავშირე.

ანტიფაშისტურ მილიციათა კომიტეტმა ბევრჯერ დაამტკიცა თავისი არაეფექტურობა. მას არ ჰქონდა ერთიანი პოლიტიკა ან ნამდვილი კოორდინაცია. ყოველი ორგანიზაცია თავის პოზიციას იყენებდა ისე, როგორც მას სურდა. CNT-ს პროფკავშირების უზარმაზარი მილიციის გარდა, Esquerra-ს, PSUC-ს და POUM-ს ყველას ცალ-ცალკე ჰყავდათ თავიანთი მილიციები. ოთხივე ორგანიზაცია თავის მილიციებს თვითონ მართავდა და თითოეულს ჰქონდა მილიციის მომარაგების ცალკე სისტემა. ესეთი სიტუაცია მეორდებოდა მთელ ესპანეთში. ზოგადი კოორდინაციის არარსებობის გამო, ფაშისტური ჯარის წინააღმდეგ შეიარაღებული ბრძოლა წარიმართებოდა ძალზე არაეფექტურად.

CNT მოითხოვს მუშათა მმართველობას

CNT-ს წამყვანმა აქტივისტებმა და მილიციების ლიდერებმა დაინახეს, რომ საჭირო იყო ბრძანებენის ერთიანად გაცემა და წვრთნისა და მომარაგების საერთო სისტემების შექმნა. იმ შემთხვევაში, თუ ისინი მილიციებისთვის ამას ვერ გააკეთებდნენ, მათ ჩვეულებრივი, რესპუბლიკური მთავრობის მიერ მართული ჯარის აღდგენის გარდა სხვა ვარიანტი არ დარჩებოდათ. კომუნისტური პარტია აჯანყების დაწყებიდანვე მოითხოვდა ჩვეულებრივი, იერარქიული ჯარის დაბრუნებას.

რევოლუციურ მილიციათა სისტემის გადარჩენა მხოლოდ ერთიანი მილიციის შექმნით შეიძლებოდა. ამის განხორციელების ერთადერთი გზა იყო მშრომელთა ერთიანი

მმართველობის სტრუქტურის შემოღება. პროფკავშირებს ძალაუფლება თავიანთ ხელში უნდა აეღოთ.

ძველი, იერარქიული ჯარის აღდგენის მზარდ მოთხოვნებთან გასამკლავებლად, გარსია ოლივერმა 10 აგვისტოს თავის სიტყვით გამოსვლაში მოუწოდა რევოლუციური სახალხო ჯარის შექმნისკენ:

„მილიციებისგან შემდგარი სახალხო ჯარი აგებული უნდა იყოს ახალ პრინციპებზე. ჩვენ შევქმნით რევოლუციურ სამხედრო სასწავლებელს, სადაც გაწვრთნით ტექნიკურ ოფიცრებს, რომლებიც ძველებური ოფიცრების ასლები კი არ იქნებიან, არამედ მათ მიენიჭებათ უბრალო ტექნიკოსების როლი და ისინი მითითებებს მიიღებენ ოფიცრებისგან, რომლებსაც დამტკიცებული ექნებათ ხალხისა და პროლეტარიატისადმი თავისი ერთგულება“²².

აგვისტოს ბოლო დღეებში გამართულ CNT-ს კიდევ ერთ პლენარულ საბჭოზე, ანტიფაშისტურ მილიციათა კომიტეტის არაეფექტურობით აღშფოთებულმა გარსია ოლივერმა კიდევ ერთხელ მოუწოდა CNT-ს თავის ხელში აეღო ძალაუფლება და დაემხო უენერალიდადი, რაც პარტიების ლიდერებს წაართმევდა ყოველგვარ ძალაუფლებას, ხოლო UGT-ს როლს, კატალონიაში მისი სიდიდის შესაბამისად, დაიყვანდა მინიმუმზე²³.

31 აგვისტოს, მადრიდის რესპუბლიკელმა პრემიერ მინისტრმა, ხოსე ხირალმა, შემდეგი რამ უთხრა CNT-ს ნაციონალური კომიტეტის ერთ-ერთ წევრს: „ყველაფერი CNT-ს ხელშია! თქვენ წარმართავთ ომს ისე, როგორც თქვენ გაგიხარდებათ, მაგრამ ქვეყნის მართვაში მონაწილეობის მიღებაზე უარს ამბობთ. მართეთ! დაიპყარით ძალაუფლება!“²⁴

3 სექტემბერს გამართულ CNT-ს ნაციონალურ პლენარიუმზე, კატალონიის რეგიონული დელეგაციის დაჟინების მეოხებით, კონფედერაციამ გადაწყვიტა სახალხო ფრონტის შესაცვლელად წამოეყენებინა მშრომელთა რევოლუციური მმართველობის შექმნის მოთხოვნა: ნაციონალური თავდაცვის კომიტეტი (*Junta Nacional de Defensa*) შედგებოდა შვიდი CNT-ს და შვიდი UGT-ს დელეგატისგან, მასი პრეზიდენტი კი ლარგო კაბალერო იყო²⁵. ნაციონალური საბჭო, რეგიონულ თავდაცვის საბჭოებთან ერთად, იქნებოდა ფედერალისტური სისტემის ნაწილი. საბჭოების ავტორიტეტი გავრცელდებოდა მხოლოდ

თავდაცვის ორგანოებზე - „სახალხო სასამართლოებზე“, პოლიციაზე და ერთიან სახალხო მილიციაზე. თავდაცვის საბჭოებს საზოგადოებრივი წარმოების პროცესში ჩარევის არანაირი უფლება არ ექნებოდათ; წარმოება მთლიანად მუშების ხელში იქნებოდა. ესპანეთში მყოფი რუსი აგენტი თავის წერილში საბჭოთა ხელისუფლებას სწერდა: „ამგვარი საბჭოს შექმნის იდეა მხადრაჭერას პოულობს ხალხის იმ მასებშიც კი, რომლებიც არ იმყოფებიან ანარქისტების გავლენის ქვეშ“²⁶. CNT-ს შემოთავაზების თანახმად, ერთიან სახალხო მილიციას გააკონტროლებდა „CNT-UGT-ს საერთო კომისია“. ამ გზით, ორგანიზებული შრომა მოიპოვებდა შეიარაღებული ძალაზე მონოპოლიას ესპანეთში.

სამწუხაროდ, CNT-მ ცუდი დრო აირჩია. სახელმწიფო გადატრიალების პირველი ექვსი კვირის განმავლობაში მადრიდის მთავრობაში ისხდნენ არაეფექტური ლიბერალები. სექტემბრის დასაწყისში კი პრემიერ მინისტრი გახდა ლარგო კაბალერო, UGT-ს აღმასრულებელი მდივანი. მან საჯაროდ გამოაცხადა, რომ ფაშისტური ჯარის დამარცხება მოითხოვდა რევოლუციის შეჩერებას. საბჭოთა კავშირის ელჩმა, მარსელ როსენბერგმა, გააფრთხილა იგი, რომ CNT-ს შემოთავაზება გაანადგურებდა ესპანეთის რესპუბლიკის „საერთაშორისო ლეგიტიმურობას“. რესპუბლიკის პრეზიდენტი, მანუელ აბანა გადადგომით იმუქრებოდა. კომუნისტების დასაწყნარებლად, CNT-ს წარმომადგენლები შეხვდნენ PCE-ს ცენტრალურ საბჭოს და დაარწმუნეს ისინი, რომ პარტია მაინც იქნებოდა წარმოდგენილი თავისი საპროფკავშირო კადრების მიერ UGT-ში.

ლარგო კაბალეროსა და სხვა სოციალისტებს ახასიათებდათ გადაუწყვეტელობა. მათ შეეძლოთ ერთ მომენტში „პროლეტარულ რევოლუციაზე“ ელაპარაკათ, ხოლო შემდეგ მომენტში ზომიერ, სოციალ-დემოკრატიულ პოზიციაზე დაბრუნებულიყვნენ. კაბალეროსთვის ცოტა ნებისყოფის მოსამატებლად საჭირო იყო CNT-ს იგი არჩევნის საშუალების გარეშე დაეტოვებინა. კატალონიაში ისინი ფლობდნენ იმხელა ძალაუფლებას, რომ ადვილად შეეძლოთ ჟენერალიდადის მთავრობის გაქრობა და სხვა პროფკავშირებთან ერთად წინათ შემუშავებული ერთიანი მმართველობის იდეის განხორციელება. ამას შეეძლო აეძულებინა UGT დათანხმებოდა ამ პრაქტიკის გავრცელებას ესპანეთის მთლიან ტერიტორიაზე.

რეგიონული თავდაცვის საბჭოები შექმნილი იყო ასტურიასა და არაგონშიც. ასტურიის საბჭოში შედიოდა 15 მილიონი წევრი, რომელთაგან უმეტესობა ეკუთვნოდა UGT-ს. ამ საბჭოში საშუალო კლასის რესპუბლიკელებს ჰყავდათ მხოლოდ ორი წარმომადგენელი. არაგონში, CNT-ს კონტროლის ქვეშ მყოფი რეგიონული თავდაცვის საბჭოს შექმნის

ინიციატივა გამოავლინეს მშრომელთა მილიციის მიერ განთავისუფლებულ არაგონის ნაწილში მდებარე CNT-ს სასოფლო პროფკავშირებმა.

მაგრამ კატალონია იყო ბევრად უფრო მნიშვნელოვანი იყო ვიდრე არაგონი და ასთურია. კატალონიაში თავმოყრილი იყო ესპანეთის ინდუსტრიის სამი მეოთხედი და იქვე მდებარეობდა ქვეყნის უდუდესი ქალაქი. თუ ჟენერალიდადი შეიცვლებოდა მუშათა კლასის მმართველობის სტრუქტურით, კაბალერო ამას იგნორირებას ვერ გაუწევდა. მაგრამ ამის ნაცვლად კატალონიის CNT საპირისპირო მიმართულებით წავიდა. 26 სექტემბერს იგი შეუერთდა ჟენერალიდადის მთავრობას. ამან CNT-ს ფეხიდან გამოსცალა ყოველგვარი დასაყრდენი კაბალეროსთან მოლაპარაკებების დროს, რადგან მან დაინახა, რომ CNT სერიოზულად არ აღიქვამდა თავის მოთხოვნას თავდაცვის საბჭოს შექმნის შესახებ.

ედუარდ დე-გუმბანი იყო CNT-ს გაზეთის, *Castilla Libre*-ს, რედაქტორი როდესაც იმ პერიოდში, მადრიდში UGT-სთან მიმდინარეობდა მოლაპარაკებები ნაციონალურ თავდაცვის საბჭოს შექმნის თაობაზე. მისი აზრით, მადრიდში მუშათა კლასის მმართველობას ხელი შეუშალა იმან, რომ CNT-მ ვერ შეძლო ბარსელონაში ძალაუფლების დაპყრობა. მაშინაც კი, თუ „ლიბერტარული კომუნიზმის“ დამყარება იმ მომენტში შეუძლებელი იყო, მათ შეეძლოთ შეექმნათ „პროლეტარული მთავრობა - მუშათა კლასის ტოტალური დემოკრატია, სადაც წარმოდგენილი იქნებოდა პროლეტარიატის, და მხოლოდ პროლეტარიატის, ყველა ნაწილი... რევოლუციის განხორციელებისთვის აუცილებელი არის ძალაუფლების დაპყრობა. თუ CNT შეძლებდა კატალონიაში ამის გაკეთებას, ჩვენი პოზიცია მადრიდში, რომელსაც მხოლოდ უმცირესობა ემხრობა, ამით მხოლოდ გამყარდებოდა. მაგრამ მათ ეგონათ რომ ქუჩების დაკავება და იარაღის ხელში ჩაგდება საკმარისი იყო. მათ არაფრად ჩააგდეს სახელმწიფო აპარატის მნიშვნელობა.“

გუმბანის თანახმად „წვრილი ბურჟუაზია პროლეტარიატის წინააღმდეგ იყო განწყობილი. კომუნისტები კი სწორედ ამ კლასში ეწოდნენ აგიტაციას; ჟენერალიდადისა და ცენტრალური სახელმწიფოს აღდგენის შემთხვევაში, მათი და წვრილ-ბურჟუაზიული რესპუბლიკელების გაძლიერება გარდაუვალი იქნებოდა.“ მას სჯეროდა, რომ CNT-მ ძალიან დიდი შეცდომა დაუშვა, როდესაც უარი თქვა მუშათა კლასის სახელმწიფოს შექმნაზე სულ თავიდან, როდესაც მადრიდში ჯერ კიდევ არ არსებობდა ეფექტური მთავრობა. მისი აზრით, „უზარმაზარი პოტენციალის მქონე რევოლუციური მომენტი ხელიდან იყო გაშვებული“²⁷.

დე-გუმბანის ვარაუდით, CNT-ში სუფევდა დიდი გაურკვევლობა „აპოლიტიკურობის“ ცნების შესახებ. მისი აზრით, იგი გაგებული უნდა იყოს როგორც „პარლამენტარული არჩევნების ფარსში მონაწილეობის მიღებაზე უბრალო უარის თქმა“. იგი არ უნდა ნიშნავდეს იმას, რომ პოლიტიკა- [და] სახალხო მმართველობის სტრუქტურა, რომელმაც სახელმწიფოს ადგილი უნდა დაიკავოს, საჭირო არ არის. სინდიკალისტები ყოველთვის ამახვილებდნენ ყურადღებას წარმოების პროცესის შეუფერხებლობაზე სოციალური ტრანსფორმაციის პერიოდში; იგივე არგუმენტები შეიძლება გაკეთდეს პოლიტიკური ფუნქციების - საზოგადოებისთვის ძირითადი წესების შედგენის და აღსრულების შესახებაც. ეს ფუნქციებიც ძალიან მნიშვნელოვანია.

“ანტიფაშისტური წვრილი ბურჟუაზიის“ ერთგულების შენარჩუნებით შეშფოთებული სოციალისტების საპასუხოდ, CNT-მ სექტემბრის შუა რიცხვებში ჩატარებულ ეროვნულ პლენარეუმზე ნაციონალური თავდაცვის კომიტეტის მოდელში ცვლილება შეიტანა - საბჭო უნდა შემდგარიყო ხუთი CNT-ს, ხუთი UGT, და ოთხი რესპუბლიკური პარტიის წარმომადგენლისაგან. ამ ცვლილების შემდეგ, პატარა რესპუბლიკური პარტიებიდან ერთ-ერთმა - „ფედერალურმა რესპუბლიკელებმა“ - მიიღო CNT-ს შემოთავაზება. მაგრამ ლარგო კაბალერო მაინც უარს ამბობდა „კონსტიტუციის ფარგლებს გარეთ გასვლაზე“. CNT-ს გენერალიტატში შესვლის შემდეგ მან იცოდა, რომ CNT არ იყო სერიოზულად განწყობილი. კაბალერომ გააკეთა საპასუხო შეთავაზება: CNT შევიდოდა სახალხო ფრონტის მთავრობაში.

ბოლოს, 28 ექტემბერს გამართულ კიდევ ერთ პლენარეუმზე, *treintista*-ს წევრმა და CNT-ს ნაციონალურმა მდივანმა, ჰორაციო პრიეტომ წინ წამოწია კაბალეროს შემოთავაზების მიღების ვარიანტი. კატალონიური დელეგაცია ამას კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდა. კატალონიის რეგიონული ორგანიზაცია მოწინააღმდეგე იყო იმისა, რომ CNT-ს ნაციონალურ დონეზე გაეკეთებინა ის, რაც მან კატალონიაში გააკეთა.

რესპუბლიკური სახელმწიფოს შემცვლელი მმართველობის ახალი სტრუქტურების შექმნასა და მუშათა კლასის გაერთიანებაში წარუმატებლობის გამო, 4 ნოემბერს, CNT ბოლოს და ბოლოს იძულებული გახდა შესულიყო სახალხო ფრონტის მთავრობაში. მას მიენიჭა სამინისტროში ოთხი ადგილი თვრამეტიდან²⁸. ახალი მთავრობის პირველ სხდომაზე, ხოან პეირო ესპანეთის ეკონომიკის სრული კოლექტივიზაციის შემოთავაზებით გამოვიდა. ამ ინიციატივაზე უარი ითქვა საშუალო კლასის რესპუბლიკელების, ბასკური ნაციონალისტების, და მათი სოციალ-დემოკრატი და კომუნისტი მოკავშირეების პროტესტის გამო.

მთლიანი ოქტომბრის განმავლობაში CNT საყოველღეო გაზეთს, *Solidaridad Obrera*-ს წამოწყებული ჰქონდა დიდი კამპანია CNT-UGT-ს ერთიან ნაციონალურ თავდაცვის საბჭოს შექმნის მოთხოვნით. ახლა, როდესაც CNT-მ აირჩია სახალხო ფრონტთან კოლაბორაცია, CNT-ს რეგიონულ კომიტეტისთვის საჭირო იყო *Solidaridad Obrera*-ში ჰყოლოდა „ნაკლებად რევოლუციური“ რედაქცია. სახალხო ფრონტთან კოლაბორაციის წინააღმდეგ გამოსვლისთვის სამსახურიდან დათხოვილ რედაქციის წევრებს შორის იყვნენ ჟურნალისტი ჯიმ ბალიუსი²⁹ და გაზეთის მთავარი რედაქტორი, ლიბერტო კალაიასი. ბალიუსი და კალაიასი მოგვიანებით, 1937 წლის გაზაფხულზე, კიდევ ერთხელ ამოვიდნენ ზედაპირზე მშრომელთა თავდაცვის საბჭოს აღდგენის მოთხოვნით.

პროფკავშირები იწყებენ ქვემოდან სოციალიზაციას

არ არსებობს CNT-ს რევოლუციური განწყობის უკეთესი მაგალითი, ვიდრე 1936 წლის გაზაფხულში მომხდარი კაპიტალისტური ინდუსტრიის მასობრივი ექსპროპრიაცია და მუშების მიერ წარმოების პირდაპირი მართვა სამოქალაქო ომის პერიოდში. მხოლოდ ბარსელონის ტერიტორიაზე, პროფკავშირების მიერ ხელში ჩაგდებული იყო 3000-ზე მეტი საწარმო. CNT-ს არც რეგიონულ და არც ნაციონალურ კომიტეტებს არანაირი ბრძანება არ გაუციათ ამ დაპყრობების შესახებ. ექსპროპრიაცია ჩატარებული იყო ადგილობრივი საპროფკავშირო აქტივისტების ინიციატივით. ექსპროპრიაციები განსაკუთრებით გავრცელებული იყო კატალონიაში, სადაც CNT-ს დეფაქტო ხელთ ეპყრო შეიარაღებული ძალაუფლება.

ბარნეტ ბოლოტენი იყო ამერიკელი UPI-ს რეპორტიორი, რომელიც იმ დროს ესპანეთში იმყოფებოდა. ბოლოტენის „პროფკავშირების მიერ დაპყრობილ და მუშათა კომიტეტების მიერ მართულ“ წარმოების დარგების ჩამონათვალში შედიოდნენ: რკინიგზები, ტვირთის გადაზიდვა, ტრამვაები და ავტობუსები, ტაქსები, ელექტროენერჯის კომპანიები, გაზისა და წყლის სისტემები, შუშის ბოთლების და პარფიუმერიის საწარმოები, მალაროები და ცემენტის დამამზადებელი ქარხნები, საკვების გადამამუშავებელი საწარმოები და ლუდსახარშები, კინოთეატრები, თეატრები და ოპერა, გაზეთები და ტიპოგრაფია, სუპერმარკეტები და სასტუმროები, რესტორნები და ბარები³⁰. ამასთან ერთად მოხდა საავტომობილო გადაზიდვის კომპანიების, საცხოვების, საპარიკმახეროების, შუშისა და სარკეების დამამზადებელი ინდუსტრიების, პირენეის მთებში მდებარე ხე-ტყის ინდუსტრიის, ავჯის საწარმოებისა და საავადმყოფოების ექსპროპრიაციაც. CNT-ს სატელეფონო ნაციონალურ-ინდუსტრიულმა პროფკავშირმა ხელში ჩაიგდო „ესპანეთის ნაციონალური

სატელეფონო კომპანია“- ამერიკული მულტინაციონალური კორპორაცია „ITT“-ს შვილობილი კომპანია. ვალენსიაში CNT-მ შექმნა ორგანიზაცია, რომელსაც ევალებოდა ციტრუსის მოსავლის შესყიდვა, შეფუთვა და ექსპორტი. 30-იან წლებში ციტრუსი წარმოადგენდა უცხოური ვალუტაში მოგების ყველაზე დიდ წყაროს ესპანეთისთვის.

ათასობით მდიდარი პირის სახლი, დიდ საბინაო კომპლექსებთან ერთად, ასევე იყვნენ ექსპროპრიებულნი. ანტიფაშისტური ზონაში შექმნილი იყო მინიმუმ ორი ათასამდე კოლექტივიზირებული სასოფლო-სამეურნეო საზოგადოება.

პროფკავშირების მიერ შექმნილ მუშათა თვითმართველობის დეტალების განხილვამდე მნიშვნელოვანია გავითვალისწინოთ CNT-ს მიზნები. სამოქალაქო ომამდე, CNT არასოდეს არ მოუთხოვია საწარმოების გადაცემა იქ მომუშავეთა კოლექტიურ კერძო საკუთრებაში. დიეგო აბად დე-სანტილანმა შემდეგნაირად ახსნა CNT-ს კერძო საკუთრებისადმი დაპირისპირების ლოგიკა: „ჩვენ ვართ ანტიკაპიტალისტური მოძრაობა. სამუშაო იარაღებზე, ქარხნებზე და სატრანსპორტო საშუალებებზე კერძო საკუთრებასა და განაწილების კაპიტალისტურ მეთოდში ჩვენ ვხედავდით სიღარიბისა და უსამართლობის მთავარ გამომწვევ ფაქტორებს. ჩვენ გვინდოდა ყოველი სიმდიდრის სოციალიზაცია, რათა არც ერთი ინდივიდი არ დარჩენილიყო ცხოვრების ლხინის საზღვრებს გარეთ³¹.“

აქედან გამომდინარე, CNT მოითხოვდა საზოგადო საკუთრების შემოღებას. წარმოების ერთი დარგის ყველა საწარმო გაერთიანებული იქნებოდა ინდუსტრიულ ფედერაციაში, რომელიც იქნებოდა პასუხისმგებელი ინდუსტრიის მართვაზე. ინდუსტრიული ფედერაციების კოორდინაციას მოახდენდნენ რეგიონული და ნაციონალური ეკონომიკური საბჭოები. საზოგადო საკუთრების არსებობა აისახებოდა საწარმოო გეგმების შედგენაზე, რომელთა შესრულება დაეკისრებოდათ სხვადასხვა ინდუსტრიულ ფედერაციებს. ინდუსტრიული ფედერაციები, წერს სანტილანი, წარმოების „მესაკუთრეები“ კი არ არიან, არამედ „მთელი საზოგადოების სამსახურში მყოფი მისი ადმინისტრატორები.“ ეკონომიკური საბჭოები „დავალებებს მიიღებდნენ ქვემოდან და იმოქმედებდნენ რეგიონული და ნაციონალური კონგრესების მიხედვით.“

ხოან ფერერის, ბუღალტერისა და CNT-ს კომერციულ მშრომელთა პროფკავშირის მდივანის თანახმად:

„CNT-ში, ჩვენი იდეა იყო ის, რომ ყველაფერი უნდა დაწყებულიყო მუშით, და არა სახელმწიფოთი როგორც თვლიდნენ კომუნისტები. ამის რეალიზაციისთვის ჩვენ გვინდოდა ინდუსტრიული ფედერაციების შექმნა ტექსტილის წარმოებაში, მეტალურგიაში, მაღაზიებში

და ა.შ. - რომლებიც წარმოდგენილი იქნებოდნენ ერთიან ეკონომიკურ საბჭოზე, რომელიც წარმართავდა ეკონომიკას. ამგვარად, ყველაფერი, ეკონომიკური დაგეგმვის ჩათვლით, აღმოჩნდებოდა მუშების ხელში“³².

სარაგოსის კონგრესზე დადგენილი იქნა, რომ საზოგადო დაგეგმვაში მონაწილეობა უნდა მიეღოთ სამეზობლოების ან სოფლებში მცხოვრებთა საბჭოებს რეგიონულ და ნაციონალურ სახალხო კონგრესებზე, რომლებიც ამ საბჭოებს ერთმანეთთან დააკავშირებდნენ, ისინი გადანწყვეტდნენ თუ რისი წარმოება იქნებოდა საჭირო.

ლიბერტარიანული-სინდიკალისტური ხედვის თანახმად, ეკონომიკის სოციალიზაცია უნდა განხორციელდებოდეს „ქვემოდან“, მუშების პირდაპირი მოქმედების გზით.

სინდიკალისტური სოციალიზაცია შედგება ორი ფაზისგან: პირველ ფაზაზე ხდება კაპიტალისტური აქტივების ექსპროპრიაცია და ინდუსტრიული ფედერაციების შექმნა, რაც ბოლოს უღებს საბაზრო კონკურენციას ფირმებს შორის. მეორე ფაზა უნდა ყოფილიყო ერთიანი საზოგადოებრივი დაგეგმვის შექმნა, მაგრამ ესპანეთში ეს ფაზა ვერ იქნა მიღწეული.

რამდენიმე წარმოების დარგში, პროფკავშირებმა მალევე დაიწყეს ინდუსტრიული ფედერაციების შექმნა, რითაც ერთმანეთთან დააკავშირეს ერთი დარგის საწარმოთა აქტივები. ინდუსტრიული ფედერაციები ძირითადად არსებობდნენ ორი ტიპის: პირველ შემთხვევაში CNT-ს პროფკავშირი თვითონ გარდაიქმნებოდა ფედერაციად და მართავდა წარმოების დარგს. ზოგჯერ კი ინდუსტრიალური ფედერაცია წარმოადგენდა ახალ სტრუქტურას, რომელიც არ იყო დაკავშირებული პროფკავშირებთან. ფედერაციების მეორე ტიპი უფრო ხშირად ჩნდებოდა იმ ადგილებში, სადაც არსებობდა UGT-ს ძლიერი პროფკავშირი. ფორმალურად, ინდუსტრიული ფედერაციები წარმოადგენდნენ პროფკავშირებისგან განცალკევებულ სტრუქტურებს, რომლებშიც CNT-ც და UGT-ც ფლობდნენ თანასწორ ძალაუფლებას.

მადრიდი-სარაგოსა-ალიკანტე (MZA) იყო უზარმაზარი კერძო სარკინიგზო კომპანია, რომელიც ოპერირებდა ხმელთაშუა ზღვის ნაპირის გასწვრივ მდებარე და ბერსელონიდან ვალენსიაში გამავალ მაგისტრალეებზე. 20 ივლისს, სანამ ბარსელონის ქუჩებში ბრძოლა ჯერ კიდევ არ იყო დამთავრებული, CNT-ს სარკინიგზო ნაციონალურ-ინდუსტრიულ პროფკავშირის მებრძოლებმა „სამსახურიდან დაითხოვეს“ MZA-ს მენეჯმენტი. კომპანია მუშებმა დაიპყრეს. ასევე მოხდა ბარსელონიდან მართული საელმავლო გზის ექსპროპრიაციაც და ყველა რკინიგზის ერთიან ქსელში გაერთიანება. რკინიგზის აღება

წარმოადგენდა CNT-ს ინიციატივას, თუმცა მას მალევე UGT-ც შეუერთდა. ორივე პროფკავშირს რკინიგზის პერსონალის ერთნაირი რაოდენობა ჰყავდათ. მატარებლის ეკიპაჟების წევრები, რომლებსაც ჰქონდათ უფრო მილიტანტური ტრადიცია, უმეტესად მიეკუთვნებოდნენ CNT-ს. ხოლო სადგურებზე მომუშავეები, სარკინიგზო მუშები და დისპეტჩერები მიეკუთვნებოდნენ UGT-ს.

რკინიგზის ოპერირებისთვის შექმნილ ახალ ორგანიზაციას დაერქვა „რევოლუციური სარკინიგზო ფედერაცია“. მისი საკოორდინაციო საბჭო, „რევოლუციური საბჭო“, შედგებოდა ექვსი UGT-ს და ექვსი CNT-ს წარმომადგენლისაგან, რომელთაგან ყველა, სრულ განაკვეთზე მომუშავე აღმასრულებელი დირექტორის გარდა, პარალელურად აგრძელებდა მუშაობას თავის ჩვეულებრივ სამუშაო ადგილზე. სარკინიგზო ხაზის ყოველ განყოფილებაში და ყოველ სადგურში შეიქმნა ადგილობრივ ასამბლეებზე არჩეული დელეგატებისაგან შემდგარი საბჭოები. კვირაში ორჯერ გამართულ სხდომებზე მუშების მიერ განიხილებოდა საბჭოების შემოთავაზებები.

ავტომობილების მოხმარების ზრდის გამო, რკინიგზა ომის დაწყებამდეც მუდამ წაგებაში იყო. სატრანსპორტო ქსელის ეფექტურობის გაზრდის მიზნით, სარკინიგზო ფედერაციამ, CNT-ს სატრანსპორტო პროფკავშირების დახმარებით, ჩაატარა ვრცელი გამოკვლევა სატრანსპორტო მომსახურების სფეროში. მან რუკაზე აღნიშნა სხვადასხვა საავტობუსო, სახმელეთო და საზღვაო გადაზიდვის სერვისები. აღმოჩნდა, რომ ბევრ ღარიბ სასოფლო უბანში არ არსებობდა არანაირი სატრანსპორტო მომსახურება იმ დროს, როდესაც სანაპირო ტერიტორიებზე რამდენიმე სერვისი ერთმანეთს იმეორებოდა. ამის შედეგად, CNT-ს სატრანსპორტო პროფკავშირებმა გადაწყვიტეს რკინიგზისთვის კონკურენციის შემქმნელი ზოგი სერვისის, მაგალითად, სანაპიროსთან გამავალი სატვირთო გემების მარშრუტის გაუქმება და სასოფლო ტერიტორიების ავტობუსებითა და სახმელეთო გადაზიდვის სერვისებით მომსახურების დაწყება. სარკინიგზო ფედერაციამ არაგონის სასოფლო ტერიტორიაზე გაიყვანა ახალი სარკინიგზო ხაზი, რომელიც ემსახურებოდა როგორც სოფლებს, ასევე არაგონის ფრონტზე განთავსებულ მშრომელთა მილიციასაც³³.

CNT-ს და UGT-ს კომუნალური მომსახურების პროფკავშირებმა მოახდინეს რამდენიმე ათეული ელექტროენერჯის, გაზისა და წყლის კომპანიის ექსპროპრიაცია.

თავდაპირველად, 19 ივლისის შემდეგ, პროფკავშირებმა სხვადასხვა კომპანიებში შექნეს „კონტროლის კომიტეტები“, რომლებშიც ჯერ კიდევ არსებობდა ძველი მენეჯმენტი. სრული ექსპროპრიაცია არ მომხდარა აგვისტოს ბოლომდე. რკინიგზის მსგავსად, წარმოების ამ

დარგების სამართავადაც შექმნილი იყო პროფკავშირებისგან განცალკევებული ინდუსტრიული ფედერაცია. CNT-სა და UGT-ს კომუნალური მომსახურების პროფკავშირებს წევრების მეტ-ნაკლებად თანაბარი რაოდენობა ჰყავდათ - კატალონიაში თითო მათგანი შედგებოდა დაახლოებით 8 000 წევრისგან. გაზის, წყლის და ელექტროენერჯის განყოფილებების ანდინისტრაციული საბჭოები, რომლებიც შედგებოდნენ CNT-სა და UGT-ს დელეგატების თანაბარი რაოდენობისგან, პასუხს აგებდნენ პერიოდულად გამართულ მუშათა რეგიონულ ასამბლეების წინაშე³⁴.

არსებობდა ბევრი დარგი, სადაც CNT-ს პროფკავშირი თვითონ ასრულებდა მუშათა თვითმმართველობის ორგანოს - ინდუსტრიული ფედერაციის როლს.

CNT-ს ხე-ტყის კატალონიურმა პროფკავშირმა ხელში ჩაიგდო და დახურა ავეჯის დამამზადებელი პატარა სახელოსნოები, რომლებშიც ხშირ შემთხვევაში იყო ვინრო, არაეფექტური და სახიფათო პირობები. სახელოსნოების მაგივრად გაიხსნა ახალში ქარხანა სახელად Double X. პროფკავშირმა შემოიტანა უსაფრთხოების უახლესი მოწყობილობებით აღჭურვილი ფრანგული ტექნიკა. ასევე მოხდა უკვე არსებული ავეჯის დამამზადებელი ქარხანის ექსპროპრიაცია და მისი გაფართოება ორი ახალი სართულის დამატებით. თითო ქარხანაში მუშაობდა 200-მდე ადამიანი.

ხე-ტყის პროფკავშირში მოქმედი FAI-ს ჯგუფი ეწინააღმდეგებოდა მთლიანი ინდუსტრიის გაერთიანებას პროფკავშირის მიერ მართულ ერთიან ორგანოში. ისინი მხარს უჭერდნენ პატარა, ავტონომიური საწარმოო ცენტრების შექმნას. მათმა მონინააღმდეგებმა ეს შემოთავაზება შეამკეს როგორც პრე-კაპიტალისტური პერიოდის თვითდასაქმებელი ოსტატების სისტემასთან დაბრუნება. FAI-ს შემოთავაზება მიღებული არ იყო.

ამასთან ერთად, პროფკავშირმა მოახერხა ავეჯის მაღაზიებისა და პირენეის მთებში ხეების მოჭრის ოპერაციების ხელში ჩაგდებაც. პროფკავშირი დაეუფლა წარმოების მთლიან დარგს, ნედლი მასალის მოპოვებით დაწყებული, მზა პროდუქტის მაღაზიებში გაყიდვით დამთავრებული,

პროფკავშირს სჯეროდა, რომ მას უნდა ეზრუნა თავისი წევრების საერთო კეთილდღეობაზე. ამისთვის, პროფკავშირმა ააშენა ოლიმპიური ზომის საცურაო აუზის მქონე სპორტული დარბაზი Double X ქარხანაში. პროფკავშირის წევრთა ოჯახების გამოკვების მიზნით, მთის ხეობაში პროფკავშირმა წამოიწყო აგრიკულტურული საქმიანობა.

„ჩვენი კონცეფცია“, იხსენებს პროფკავშირის ერთ-ერთი წევრი, „იყო ის, რომ მუშათა კლასს უნდა ჰქონოდა ხარისხიანი ავეჯი დაბალ ფასებად³⁵.“

იმ დროს, როდესაც პროფკავშირის წევრების უმეტესობა მილიციებში იბრძოდა, პროფკავშირში გაჩნდა ტენდენცია ყოფილი მეპატრონეები ან მათი შვილები სექციების ადმინისტრატორებად დაენიშნათ. მაღალ პოზიციებზე ისეთი ხალხის დანიშვა, რომლებიც მიჩვეულნი იყვნენ იმას, რომ მათ ბრძანებებს ყველა ემორჩილებოდა, გარკვეული დონით სახიფათოც იყო. ამავე დროს პროფკავშირის კომიტეტები გადაიქცნენ ორგანიზაციის ადმინისტრაციულ საბჭოებად, რომლებიც მართავდნენ ინდუსტრიას. პროფკავშირის ერთი წევრის მონათხრობის თანახმად, უკმაყოფილება სულ უფრო და უფრო იზრდებოდა, პროფკავშირის წევრები გრძნობდნენ, რომ თითქოს ისინი გადაწვეტილებების მიღებაში ჩართულნი არ იყვნენ, „ხოლო ყველაფრის განხილვა და შემოწმება წარმოადგენდა CNT-ს ტრადიციას.“ მისი აზრით, ერთ-ერთი პრობლემა იყო მუშების ინფორმირების მიზნით რაიმე სახის საინფორმაციო ბიულეტენის არ არსებობა.

ხე-ტყის პროფკავშირის კომიტეტების ინდუსტრიის მმართველ ადმინისტრაციულ საბჭოებად გადაქცევის შემდეგ, როგორც მუშათა თვითმმართველობის უმეტესობა შემთხვევაში, ახალი დელეგატები არ არჩეულა. რონალდ ფრეიზერის მიერ „*Blood of Spain*“-ისთვის დაკითხულ CNT-ს ვეტერანებს სჯერათ, რომ ცალკე პროფკავშირული ორგანიზაციის შექმნის წარუმატებლობა დიდ შეცდომას წარმოადგენდა.

კლასობრივი სისტემის აღმოფხვრა არ არის მხოლოდ და მხოლოდ ექსპროპრიაციის და ახალი ორგანიზაციების შექმნის ფორმალური პროცესი. საჭირო არის სამუშაოების ახალი განსაზღვრებების შემოღება და ძალაუფლებების გათანაბრება მუშების მიერ ახალი ხელობების შესწავლისა და წინათ “პროფესიონალების” მიერ შესრულებული დავალებების თავის თავზე აღების გზით. ხალხში ღრმად ჩამჯდარი ბრძანებების მიღებისა და გაცემის ჩვეულებები უნდა განადგურდეს. რადგან ახალი სისტემა ძველი, იერარქიული წყობილებისგან მემკვიდრეობით იღებს სხვაობას უნარ-ჩვევებში, განათლებაში და ჩვეულებებში, არსებობს საშიშროება იმისა, რომ გადაწყვეტილებების მიღება და ექსპერტიზა ახლიდან მოექცევიან რაიმე იერარქიულ სტრუქტურაში. სოციალური გარდაქმნის პროცესში მუშათა ინტერესების დასაცავად ალბად საჭირო იყო ეკონომიკური თვითმმართველობის სტრუქტურისაგან ცალკე მდგომი პროფკავშირული ორგანიზაციების შენარჩუნება.

კიდევ ერთი დარგი, რომელიც სრულიად იქნა რეორგანიზებული, იყო თმის შეჭრა. 19 ივლისამდე, ბარსელონაში არსებობდა 1100 საპარიკმახერო სალონი, მათი უმეტესობა სრულიად მარგინალური იყო. 5000 პარიკმახერი შედიოდა ბარსელონის ყველაზე დაბალ ანაზღაურებადი მუშების რიცხვში. 19 ივლისიდან გენერალიტატმა დააწესა პარიკმახერებისთვის 40 საათიანი სამუშაო კვირა და 15%-ით გაუზარდა ხელფასი, ეს იყო *Esquerra*-ს ერთ-ერთი მცდელობა მოეპოვებინა მუშათა მხარდაჭერა. მაგრამ საპარიკმახეროების უმეტესობისთვის ამას არფერი მოუტანია. ამ მიზეზით გამართული იქნა გენერალური ასამბლეა, სადაც გადაწყდა ყველა წაგებაში მყოფი სალონის დახურვა. 1 100 სალონი შეცვლილი იქნა უკეთესი აღჭურვილობისა და უკეთესი განათების მქონე 235 სამეზობლო თმის საჭრელი ცენტრისგან შემდგარი ქსელით. ეფექტურობის გაზრდამ შესაძლებელი გახადა ხელფასის აწევა 40%-ით. მთლიან ქსელი იმართებოდა CNT-ს პარიკმახერთა პროფკავშირის ასამბლეების მიერ. ხოლო სალონების ყოფილი მესაკუთრეები გახდნენ პროფკავშირის რიგითი წევრები³⁷.

ზოგ კრიტიკოსს საპარიკმახერო დარგის სოციალიზაცია შეცდომად მიაჩნდა: “რისი კოლექტივიზაცია ხდებოდა სინამდვილეში?” კითხულობდა კატალონიური მთვარობის წევრი *treintista*, სებასტიან კლარა, „მაკრატლის, საპარსის, რამდენიმე საპარიკმახერო სავარძლის. და რა მოყვა ამას შედეგად? ყველა ეს წვრილი მეპატრონე... ახლა ჩვენს წინააღმდეგაა განწყობილი.“³⁸

კლარა თავის შენიშვნებში ყურადღებას არ აქცევს არც ეფექტურობისა და ხელფასის ზრდას, და არც იმ ფაქტს, რომ სოციალიზაცია არ არის მხოლოდ და მხოლოდ ფიზიკური აქტივების მოპოვება, იგი ასევე წარმოადგენს საზოგადოებაში ძალაუფლებრივი ურთიერთობების შეცვლას. ლიბერტარულ-სინდიკალისტური მოძრაობის მიზანს წარმოადგენდა ხელფასისთვის თავის სამუშაო ძალის გაყიდვას თანდაყოლილი დამქირავებლის მუშაზე დომინირების გაუქმება.

ჯანდაცვა იყო კიდევ ერთი ინდუსტრია, რომელმაც რევოლუციის დროს დიდი ცვლილება განიცადა. 1936 წლის სექტემბერში, ბარსელონის ჯანდაცვის სისტემისთვის CNT-მ შექმნა ახალი *sindicato unico*, რომელშიც შედიოდა 7 000 წევრი, მათ შორის 3200 მამაკაცი ექთანი. სხვადასხვა პროფესიები ორგანიზებულნი იყვნენ ჯანდაცვის პროფკავშირის „სექციებში“. პროფკავშირმა მოახდინა საავადმყოფოების ექსპროპრიაცია და შექმნა ახალი, სოციალიზებული ჯანდაცვის სისტემა.

ივლისამდე, სამედიცინო ოპერაციებს მართავდა უფროსი ექიმი, რომელსაც თავის ასისტენტებად დაქირავებული ჰყავდა ახალგაზრდა ექიმები. სამედიცინო მომსახურება ძირითადად ფოკუსირდებოდა მდიდარ სამეზობლოებზე. ღარიბ სოფლებს ხშირ შემთხვევაში ექიმი არც ჰყავდათ. ახალი სისტემის მიზანს წარმოადგენდა სამედიცინო რესურსების უფრო სამართლიანი განაწილების უზრუნველყოფა. თუ რაიმე სოფელს ექიმი არ ჰყავდა, პროფკავშირი მას აუცილებლად უპოვიდა ახალ ექიმს.

ჯანდაცვის პროფკავშირი ცდილობდა კერძო პრაქტიკის გაუქმებას, მაგრამ ექიმების უმეტესობა ამაზე არ დათანხმდა. ყველა ექიმს ევალუბოდა დღეში სამი საათი პროფკავშირისთვის ემუშავა, რაც მათ უტოვებდა საკმარის დროს კერძო პაციენტების სანახავად. პროფკავშირისთვის მუშაობის დროს ყველა ექიმს ერთნაირად უხდიდნენ, თუმცა მათი ხელფასი თითქმის ოთხჯერ აღემატებოდა ჩვეულებრივი მუშის ხელფასს.

მთავრობამ გამოყო გარკვეული თანხა კატალონიის ჯანდაცვის სოციალიზებული სისტემისთვის, მაგრამ იგი არ იყო საკმარისი ყველა ხარჯის დასაფარად. თუმცა, ახალი ამბულატორული კლინიკების ქსელში ვიზიტი უფასო იყო, ჯანდაცვის პროფკავშირმა დააწესა გადასახადი საოფისე ვიზიტებზე ექიმების სანახავად ან ოპერაციებისთვის. ამის შედეგად ბევრი პროფკავშირი, კოლექტივიზირებული საწარმო და სასოფლო კოლექტივი შევიდა შეთანხმებაში ჯანდაცვის პროფკავშირთან, რომლის თანახმადაც იგი უზრუნველყოფდა მათ წევრების ოჯახებს უფასო ჯანდაცვით. პროფკავშირი ასევე მართავდა სტომატოლოგიურ კლინიკებს და აკონტროლებდა წამლების დამზადებისა და გამოკვლევის პროცესებს.

40 ადგილობრივი პროფკავშირისგან შემდგარი CNT-ს 40 000 წევრიანი ჯანდაცვის ნაციონალურ-ინდუსტრიული ფედერაციის ძალისხმევით შედეგად, ჯანდაცვის სოციალიზებული სისტემა გავრცელდა მთლიან ანტიფაშისტურ ზონაში³⁹.

ბარსელონაში უმთავრეს საზოგადო ტრანსპორტის საშუალებას წარმოადგენდა ტრამვაის სისტემა, რომელიც მოიცავდა ქალაქის ცენტრში გამავალ 60 მარშრუტს. სისტემას მართავდა კომპანია „ბარსელონას ტრამვაიები“, რომელიც ეკუთვნოდა უმთავრესად ბელგიელ ინვესტორებს. ამ კომპანიაში 7000 დასაქმებული პირიდან 6500 ეკუთვნოდა CNT-ს სატრანსპორტო *sindicato unico*-ს.

20 ივლისს, CNT-ს სატრანსპორტო პროფკავშირის წევრთა შეიარაღებულმა ჯგუფმა აღმოაჩინა, რომ „ბარსელონის ტრამვაიების“ უფროსები ქვეყნიდან გაქცეულან. შემდეგ

დღესვე გამართული იქნა სატრანსპორტო კომპანიებში მომუშავეთა მასობრივი შეხვედრა, სადაც უმრავლესობის ხმით გადაწყდა სატრანსპორტო კომპანიების ექსპროპრიაცია. სამი კერძო საავტობუსე კომპანია, ორი ფუნიკულიორი, მეტრო და სატრამვაიო კომპანია მუშებმა დაიპყრეს.

ქუჩებში ბრძოლამ დიდი ზიანი მიაყენა ტრამვაის სისტემას: ლიანდაგები დაზიანდა, მავთულები ზოგ ადგილას განყვეტილი იყო, მატარებლის ელექტროენერგიით კვების ბლოკები - განადგურებულნი იყვნენ, ლიანდაგი გადაღობილი იყო ბარიკადებით. დღე და ღამ შეუჩერებელი მუშაობის შედეგად, ტრამვაის მუშებმა 5 დღეში ახლიდან აამუშავეს მთელი სისტემა. დროთა განმავლობაში ტრამვაის ვაგონები გადაღებილი იქნა დიაგნოსტიკური ხაზით გაყოფილ წითელ და შავ ფერებში. 19 ივლისამდე, ელექტროენერგიის კომპანიის ბლოკები განლაგებული იყო შუა ქუჩებში, რაც „ბარსელონის ტრამვაის“ აიძულებდა მათ შემოვლას და ლიანდაგის მიხვეულ-მოხვეულად დაგებას. პროფკავშირის მიერ კომპანიის დაპყრობის შემდეგ მუშები შეუთანხმდნენ კომუნალური მომსახურების ფედერაციას და სალიანდაგო გზის გამართვის მიზნით ელექტროენერგიის მოწყობილობები სხვაგან იქნა გადატანილი.

ყოველი სახის საზოგადო ტრანსპორტი - ავტობუსი, მეტრო, ტრამვაი - თავის სარემონტო სადგომებთან ერთად, წარმოადგენდა პროპკავშირის ცალკე „სექციას“. მათ მართავდნენ არჩეული საბჭოები, რომლებიც მუშათა ასემბლეების წინაშე აგებდნენ პასუხს. ყველა ადმინისტრაციულ კომიტეტს არჩეული ჰყავდა ინჟინერი, რომელსაც ხელი უნდა შეეწყო მუშებისა და სხვა ინჟინრების ერთმანეთთან კონსულტაციისთვის. ისეთი გადაწყვეტილებების მისაღებად, რომლებიც იმოქმედებდნენ მთლიან საზოგადო ტრანსპორტის სისტემაზე, იმართებოდა საყოველთაო საბჭოები. არ არსებობდა არანაირი ტოპ-მენეჯერი ან აღმასრულებელი დირექტორი.

„ბარსელონას ტრამვაი“-ში ექსპროპრიაციამდე მოქმედებდა მგზავრობის გადასახადის „ტერიტორიული“ სისტემა, რაც იმას ნიშნავდა, რომ გარეუბნებში მცხოვრებ ხალხს ქალაქის ცენტრამდე მგზავრობა უფრო ძვირი უჯდებოდათ. მუშათა მმართველობის დროს შემოღებულ იქნა თნაბარი გადასახადის სისტემა. მგზავრობის ფასის დაწვევის მიუხედავად, მუშათა მმართველობაში მყოფი სატრანსპორტო სისტემა მაინც მოგებაში რჩებოდა. შეძენილი იყო ამერიკული და ფრანგული ტექნიკის დიდი რაოდენობა, რათა სატრანსპორტო სისტემა უფრო თვითკმარი გამხდარიყო. CNT-ს სატრანსპორტო პროფკავშირი შეთანხმებაში შევიდა ახალ ჯანდაცვის პროფკავშირთან რათა მას ტრანსპორტის მუშები და მათი ოჯახები უფასო ჯანდაცვით უზრუნველყო.

ომის პერიოდში ავტომობილებით მგზავრობაზე შეზღუდვების გამო, მუშების მიერ მართული სატრანზიტო ქსელის არსებობის პირველ წლებში მგზავრობა რიცხვი გაიზარდა 62%-ით. ახალი ტრამვაიების წარმოება შეუძლებელი იყო. მგზავრობა რაოდენობის ზრდასთან გასამკვლავებლად, მუშებმა შეცვალეს სარემონტო დაწესებულებების განლაგება, რითაც შეამცირეს ყოველდღიური რემონტის დროს ტრამვაიების უმოქმედოდ ყოფნის პერიოდი. ასევე აღდგენილი და მუშაობაში ახლიდან ჩართული იქნა რამდენიმე გადაგდებული ტრამვაი. ორი ფუნქციონირისთვის აშენდა ახალი, მსუბუქი ვაგონები.

1936 წლის ოქტომბერში, ჟენერალიდადის მიერ კოლექტივიზაციის დეკრეტის გამოცემის შემდეგ, სატრანსპორტო ქსელი, რომელიც გამართული იყო პროფკავშირის მიერ, რეორგანიზებული იქნა როგორც „საჯარო მომსახურების გაერთიანებული კოლექტივი“, რომელიც ფორმალურად CNT-სგან განცალკევებული იყო. კოლექტივის იმ სექციებში, სადაც მოქმედებდა UGT-ს პროფკავშირი, მაგალითად, მეტროში, ადმინისტრაციულ საბჭოზე UGT-ს ჰყავდა თავისი წარმომადგენლები. 19 ივლისამდე, *Peones*-ები (მეტროს ლიანდაგზე მომუშავეები) იყვნენ ყველაზე ცუდად ანაზღაურებადი მუშები, პროფესიონალ მუშებს მათზე 50%-ით მეტი ხელფასი ჰქონდათ. ინდუსტრიის დაპყრობის შემდეგ, ყველა მუშა, პროფესიონალების გარდა ერთნაირ ხელფასს იღებდა; პროფესიონალები (მაგ. მემანქანეები) ღებულობდნენ ჩვეულებრივ მუშაზე მხოლოდ 6%-ით მეტს. კვირაობით მუშები მოხალისეებად მუშაობდნენ სატრანსპორტო პროფკავშირის მიერ გამართულ სახელოსნოებში, მშრომელთა მილიციისთვის სამხედრო მასალების დასამზადებლად⁴⁰.

სექტემბერში, ექსპროპრიებული საწარმოების მთლიან ეკონომიკაში როლის დასადგენად ბარსელონაში გამართული იყო კონფერენცია. რამდენად შორს შეეძლო CNT-ს წასულიყო საწარმოების სოციალიზაციაში? ან რა უნდა ეყო მას ექსპროპრიებული ქარხნებისთვის? ჩვეულებრივ, ექსპროპრიაციის შემდეგ საწარმოებს მართვას იწყებდა პროფკავშირი. ომის დაწყებამდე CNT არასოდეს არ მოითხოვდა ექსპროპრიებული ფირმების გარდაქმნას საბაზრო ეკონომიკის პირობებში მოქმედ კოოპერატივებად. ეს იდეა პირველად ამ კონფერენციაზე იყო შემოთავაზებული როგორც მოქმედების დროებითი გეგმა, სანამ სრული სოციალიზაციის განხორციელება შესაძლებელი არ გახებოდა. სიტყვა „კოლექტივის“ გამოყენება ამ დროებითი გეგმის ასაღწერად შემოთავაზებული იყო კატალონელი ნაციონალისტი ბულალტერის, ხოლო ფაბრეგასის მიერ, რომელიც CNT-ს 1936 წლის ივლისში შეუერთდა.

„იმ დრომდე მე არასოდეს არ მსმენია კოლექტივიზაციის, როგორც ეკონომიკური პრობლემების გადაჭრის ხერხის შესახებ - სუპერმარკეტები იმართებოდა პროფკავშირის მიერ“, იხსენებს CNT-ს კომერციული პროფკავშირის მდივანი, ხოან ფერერი. „ახალი სისტემა ნიშნავდა იმას, რომ ყველა კოლექტივიზირებული ფირმა შეინარჩუნებდა თავის ინდივიდუალურ ხასიათს, მაგრამ მათი საბოლოო მიზანი იქნებოდა წარმოების ერთი დარგის ყველა საწარმოს ერთ ფედერაციაში გაერთიანება.“⁴¹

კონფერენციაზე, უფრო ძლიერი პროფკავშირები, როგორებიც იყვნენ სატრანსპორტო, ხე-ტყის და

გართობის ინდუსტრიის პროფკავშირები, რომლებმაც უკვე მიაღწიეს სოციალიზაციის პრიველ ფაზას - წარმოების დარგების ინდუსტრიულ ფედერაციებში გაერთიანებას - მოითხოვდნენ ამ პროცესის გაგრძელებას. უფრო პატარა და სუსტ პროფკავშირებს კი უნდოდად ექსპროპრიებული საწარმოების გარდაქმნა კოოპერატივებად.

POUM-ის წევრის, ვიქტორ ალბას თანახმად, თვითმმართველი კოლექტივები წარმოადგენდნენ მუშათა კლასის ეკონომიკის მართვის უნარის მშვენიერ ილუსტრაციას: „1936 წლის კოლექტივები არა მართო არ დამარცხდნენ, მათ დიდი წარმატება მოიპოვეს. ყველა გარემოების გათვალისწინებით, მათ გვიჩვენეს, რომ მუშებს შესწევთ უნარი მართონ თავისი საწარმოები ბევრად უფრო ეფექტურად, ვიდრე ამას მათი დამქირავებლები აკეთებენ.“⁴²

CNT-ს ტექსტილის პროფკავშირის მებრძოლი, ანდრეუ კაპდევილა ამბობს, რომ კოლექტივიზაციამდე, პროფკავშირის ჩვეულებრივმა წევრებმა „არ იცოდნენ როგორ ელაპარაკათ“. მთლიანი პროფკავშირის მართვას ისინი რამდენიმე CNT-ს აქტივისტს ანდობდნენ. მაგრამ კოლექტივიზაციის შემდეგ ყველაფერი შეიცვალა: „ეს საოცარი რამ იყო. ყველა თითქოს თუთიყუშად გადაიქცა. ყველას უნდოდა იმის გამოთქმა, თუ რას ფიქრობდა ან გრძნობდა. იმ მომენტში მათ აშკარად იგრძნეს, რომ ყველაფერი მათ ხელში იყო და რომ ეხლა მათ მოიპოვეს ლაპარაკის უფლება.“⁴³

მიუხედავად ამისა, რევოლუციის დაუსრულებლობა - ბაზრისა და სახელმწიფოს არსებობა და საზოგადო დაგეგმვის სისტემის შექმნის წარუმატებლობა - გახდა პრობლემების გამომწვევი მიზეზი.

ერთ-ერთი ესეთი პრობლემა იყო კოლექტივებს შორის უთანასწორობა, რომელიც გამომწვეული იყო განსხვავებებით ტექნიკაში, ბაზრისადმი ხელმისაწვდემობით და

სხვადასხვა სიტუაციებით გამონვეულ განსხვავებებით. მაგალითად, ბარსელონის სატექსტილო ინდუსტრიაში სოციალიზაციის პირველი ფაზა თავდაპირველად განხორციელებული არ იყო. ყველა ფირმამ განაგრძო მოქმედება როგორც ცალკე კოლექტივმა. CNT -ს სატექსტილო პროფკავშირის მდივანი გარეუბან ბადალონში, იოსებ კოსტა ამბობს:

„ჩვენ არ მიგვაჩნია ბარსელონის სატექსტილო კოლექტივები მოქმედების კარგ მოდელად. ინდივიდუალური კოლექტივიზირებული ქარხნები თავიდანვე მოქმედებდნენ ისე, როგორც სრულიად ავტონომიური ერთეულები. მათ შეძლებისდაგვარად თვითონ გაჰქონდათ თავიანთი საქონელი ბაზარზე და ყურადღებას არ აქცევდნენ სიტუაციას, რომელიც იყო ქვეყანაში. ამას მოყვა საშინელი პრობლემა. ეს იყო ერთგვარი პოპულარული კაპიტალიზმი.“⁴⁴

ბადალონაში, [ბარსელონისგან განსხვავებით], ქალაქის ყველა ქარხნის კოორდინაციას ახდენდა CNT-ს პროფკავშირი.

ტექსტილის ინდუსტრია, კატალონიის სხვა მანუფაქტურული დარგების მსგავსად, საქონელს აწარმოებდა ძირითადად ესპანური ბაზრისთვის. როდესაც ქვეყნის მესამედი ნაწილი ხელში ჩაუვარდა ფაშისტების ჯარს, საწარმოებმა დაკარგეს ბაზრის დიდი ნაწილი. რის გამოც კოლექტივიზაციის პირველ წელს, კატალონიაში ინდუსტრიული პროდუქტიულობა დაეცა 30%-ით.

1937 წლის თებერვალში, კატალონიაში CNT-სა და UGT-ს მიერ გამართული იყო სატექსტილო ინდუსტრიის საერთო კონგრესი, რომელზეც შეიქმნა „ტექსტილის ინდუსტრიის საბჭო“ - ინდუსტრიული ფედერაცია, რომელიც მოახენდა საწარმოების კოორდინაციას და გააქრობდა კონკურენციას მათს შორის. კონგრესზე დადგინდა, რომ ქარხნების ინდივიდუალური კოლექტივიზაცია იყო შეცდომა და საჭირო იყო ნაბიჯების გადადგმა ეკონომიკის სრული სოციალიზაციისკენ.

კოლექტივები ბაზრის დაკარგვას ხშირ შემთხვევაში სამუშაო დღეების შემოკლებით ან უმუშევარი ხალხისთვის ხელფასის გადახდით უმკლავდებოდნენ. აბად დე-სანტილანის თანახმად, კატალონიაში 1936 წლის დეკემბერს არსებობდა 15 000 უმუშევარი ადამიანი, რომლებსაც ეძლეოდათ ხელფასი. როგორც მან შენიშნა, დაუსაქმებელი ხალხის დიდი რაოდენობით არსებობა ძალიან არაეფექტური იყო, საზოგადოება კარგავდა შრომას, რომელიც მას შეეძლო სასარგებლოდ გამოეყენებინა⁴⁵. საზოგადო დაგეგმვის სისტემა შესაძლებლელს გახდოდა სამუშაოების განაწილებას პროდუქციაზე მოთხოვნებისა და საჭიროებების თანახმად.

ის ფაქტი, რომ CNT-მ ვერ შეძლო პოლიტიკური ძალაუფლების დაპყრობა, წარმოადგენდა ეკონომიკური რევოლუციის არასრულყოფილობის ერთ-ერთ უმთავრეს მიზეზს. გენერალიტეტის მთავრობა აკონტროლებდა უცხოურ კრედიტებსა და ფინანსურ სისტემას. დროთა განმავლობაში კოლექტივიზირებული საწარმოები სახელმწიფოს უზარმაზარ ვალებში ჩავარდნენ, რამაც გამოიწვია ეკონომიკაში სახელმწიფო ძალაუფლების როლის ზრდა სამოქალაქო ომის გვიან წლებში, როდესაც კომუნისტური პარტიის გავლენამ საგრძნობლად იმატა და მან დაიწყო სვლა ეკონომიკის ნაციონალიზაციისკენ,

CNT-ს ხელფასებთან დაკავშირებულ მიზანს რევოლუციის დროს წარმოადგენდა *sueldo unico*-ს („ერთიანი ხელფასის“) შემოღება, რაც ნიშნავდა ყველა მუშისთვის ერთიანი საათობრივი განაკვეთის დაწესებას. CNT-ს სატექსტილო პროფკავშირის აქტივისტმა *sueldo unico*-ს ლოგიკა შემდეგნაირად ახსნა:

„ჩვენ, ლიბერტარიანელებს, გვაქვს შემდეგი პრინციპი: თითო ადამიანმა უნდა აწარმოოს თავისი შეძლების მიხედვით, და თითო უნდა მოიხმაროს თავისი საჭიროების მიხედვით. წარმოება საათს გავს - ყოველი მექანიზმი დამოუკიდებელია, თუმცა თუ ერთი მექანიზმი გაფუჭდა, საათი დროს ვეღარ აჩვენებს. ძალიან ძნელია იმის თქმა, თუ რომელია ამდენი სამუშაოდან ყველაზე მნიშვნელოვანი. ნახშირის მომპოვებელი მეშახტე, მუშა, რომელსაც ახდენს ნახშირის ქარხანაში ტრანსპორტირებას, თუ ცეცხლფარეში, რომელიც ამ ნახშირს ქარხნის ღუმელში ყრის. თითო მათგანის გარეშე მთელი პროცესი შეჩერდებოდა. ამიტომაც მათ უნდა ჰქონდეთ ერთიანი ხელფასი; განსხვავება ხელფასში დამოკიდებული უნდა იყოს მხოლოდ იმაზე, არის მუშა მარტოხელა თუ დაქორწინებულია და ყავს ოჯახი. უკანასკნელ შემთხვევაში, მან უნდა მიიღოს ცოტათი მეტი, რათა შეძლოს მასზე დამოკიდებული ხალხის რჩენა⁴⁶.“

Sueldo unico შემოღებული იყო რამდენიმე ინდუსტრიაში და დასახლებულ პონქტში. ერთ-ერთ ასეთ პუნქტს წარმოადგენდა ქალაქი ოსპიტალეტი, ბარსელონის სამხრეთ ნაპირას მდებარე გარეუბანი. იქ ეკონომიკის უდიდეს დარგს წარმოადგენდა ტექსტილის წარმოება, თუმცა ქალაქში ასევე მდებარეობდა რამდენიმე საბრძმედე, საამქრო და მეტალურგიული ქარხანა. ოსპიტალეტის CNT-ს პროფკავშირები შედიოდნენ ბაშ-ლობრეგატის მშრომელთა საბჭოში, რომელიც 1936 წლის ივლისში მოითხოვდა განერალიტეტის დამხობას. ოსპიტალეტში CNT-მ გააუქმა ქალაქის ძველი მთავრობა და შეცვალა იგი რევოლუციური კომიტეტით. CNT-ს რევოლუციური კომიტეტი მოსახლეობასთან კავშირის დამყარების მიზნით მართავდა სხავადასხვა სამეზობლო საბჭოებს. თუმცა ეს არ უტოლდებოდა CNT-ს

ომის წინანდელ იდეას „თავისუფალი მუნიციპალიტეტის“ შესახებ. გეოგრაფიულ საბჭოებს არ აურჩევიათ ახალი მუნიციპალური საბჭო - მას პროფკავშირები მართავდნენ.

ფინანსური მდგომარეობის ნიშნით კოლექტივებს შორის უთანასწორობის გამო ოსპიტალეტის CNT-მ გადაწყვიტა *sueldo unico*-ს შემოღება, რის შედეგად მდიდარი კოლექტივები შეძლებდნენ ღარიბი კოლექტივების სუბსიდირებას და ქალაქის ეკონომიკის სოციალიზაციის პროცესი უფრო წინ წაიწვდა.

რკინიგზის რევოლუციონარმა ფედერაციამაც თავიდანვე გაათანაბრა მუშების ხელფასები. იმ დროს ესპანეთში რკინიგზის გადასასვლელების მცველებად ხშირ შემთხვევაში ქალები მუშაობდნენ. ისინი იყვნენ ყველაზე ცუდად ანაზღაურებადი რკინიგზის მუშები. რკინიგზაზე ხელფასების გათანაბრებამ ყველაზე მეტად ამ ქალებს შეუწყო ხელი. მოგვიანებით ფედერაციას დასჭირდა რამდენიმე ინჟინერის დაქირავება და იგი იძულებული გახდა მათთვის გადაეხადა ჩვეულებრივ მუშაზე ორჯერ უფრო დიდი ხელფასი.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში, განათლებულ პროფესიონალებს შეეძლოთ პრეტენზია გამოეთქვათ უფრო მაღალ ხელფასსა და სხვა პრივილეგიებზე. ამ პრობლემის მოგვარება დროთა განმავლობაში შესაძლებელი გახდებოდა უფასო განათლების სისტემის შემოღებითა და მუშათა უნარ-ჩვევების სისტემური გაუმჯობესებით სოციალიზებული ეკონომიკის პირობებში. მაგრამ ამ ყველაფერს დრო სჭირდებოდა, იმ პერიოდში კი ეკონომიკის სრული სოციალიზაცია არც კი მომხდარა.

Mujeres Libres

ერთი პროფესიის ქალებისა და მამაკაცების შორის თანაბარი ანაზღაურება რევოლუციის პერიოდში მიღწეული იყო სპორადულად, უფრო ხშირად წარმოების იმ დარგებში, სადაც *Mujeres Libres*-ს (თავისუფალი ქალები) გამართული ჰქონდა ქალთა ჯგუფები. ნაციონალური ორგანიზაცია *Mujeres Libres* შეიქმნა 1936 წლის გაზაფხულში. კატალონიაში, „*Mujeres Libres*“ წარმოიშვა CNT-ს პროფკავშირების წევრი ქალთა ჯგუფებისგან.

1935 წელს სოლედად ესტორაკი, როგორც ორგანიზატორი, იღებდა მცირე სტიპენდიას CNT-ს მეტალურგიული პროფკავშირისაგან. ესტორაკი იყო ქარხნის მუშა და „ლიბერტარიანული ახალგაზრდობის“ აქტივისტი. მეტალურგიული *sindicato unico* შენუხებული იყო პროფკავშირში ქალი მუშების ჩართულობის ნაკლებობით. ესტორაკმა

აღმოაჩინა, რომ როდესაც ქალი შეეცდებოდა რამე ეთქვა CNT-ს პროფკავშირის შეხვედრებზე, კაცები მაშინვე მის დაცინვას იწყებდნენ. თუმცა პრობლემა არ მდგომარეობდა მხოლოდ და მხოლოდ კაცების შოვინისტურ დამოკიდებულებაში.

ესტორაკს მიაჩნდა, რომ ქალებს ესაჭიროებოდათ თავისი ავტონომიური ორგანიზაცია - უსაფრთხო ადგილი, სადაც ისინი შეძლებდნენ სოციალური პრობლემების შესწავლას, სიტყვით გამოსვლის სწავლასა და აქტივისტობისთვის მომზადებას. ქალები მხოლოდ ამის შემდეგ შეძლებდნენ პროფკავშირის შეხვედრებზე კაცებისგან თავისი თავის დაცვასა და თავის პოზიციაზე დგომას. ამ მიზნით კატალონიის CNT-ში შექმნილი იქნა ქალთა ჯგუფები. ამ ჯგუფებს გამართული ჰქონდათ ბავშვების მოვლის ცენტრები რათა ქალ აქტივისტებს შესძლებოდათ პროფკავშირების შეხვედრებზე დასწრება და დელეგატებად ყოფნა.

Mujeres Libres აცხადებდა, რომ მათი მიზანი იყო ქალების „სამმაგი“ განთავისუფლება: მათი განთავისუფლება, როგორც ქალების, როგორც მუშების და განთავისუფლება უვიცობისგან. ქალები, რომლებმაც დააარსეს *Mujeres Libres* არ ხმარობდნენ სიტყვა „ფემინიზმს“. ისინი იყვნენ ისევე კლასობრივად შეგნებულნი, როგორც მათი მამაკაცი კოლეგები. მათთვის, ფემინიზმის მიზანი მდგომარეობდა მხოლოდ და მხოლოდ ქალების დაშვებაში მაღალ წოდებებზე სამსახურებში ან მთავრობაში. *Mujeres Libres* ორიენტირებული იყო მუშათა კლასის ქალებზე. რევოლუციასა და სამოქალაქო ომის სამწლიან პერიოდში, *Mujeres Libres*-ს შეუერთდა 30 000-მდე ქალი.

CNT-ს მიმართ თავიანთი ერთგულების მიუხედავად, *Mujeres Libres*-ის დამაარსებლები თვლიდნენ, რომ ქალთა განთავისუფლება და მუშათა კლასის განთავისუფლება ერთმანეთისგან განსხვავებულ პროცესებს წარმოადგენდნენ. ამიტომაც მათ უარი თქვეს ყოფილიყვნენ CNT-სა და FAI-ს მხოლოდ და მხოლოდ დანამატნი, მათი „ქალი კოლეგები“. მათ არ სჯეროდათ, რომ კაცებს შეეძლოთ ქალების განთავისუფლება. FAI-სა და CNT-ს ლიდერები, მეორე მხრივ, ქალთა ავტონომიური მოძრაობის შექმნის იდეას უყურებდნენ როგორც „განხეთქილობის გამომწვევ პოტენციურ მიზეზს“.

ომის დროინდელ ესპანეთში სქესობრივ ურთიერთობებში ცვლილება გამოიწვია წარმოებაში ჩართულ ქალთა რაოდენობის მატებამ. როდესაც მამაკაცების უმეტესობა წავიდა ანტიფაშისტურ მილიციებში საბრძოლველად, წარმოებაში მათი ადგილი ქალებმა დაიკავეს.

„ანტიფაშისტი ქალების ასოციაცია“ (*Asociación de Mujeres Anti-fascistas — AMA*) ეწეოდა მომუშავე ქალების ორგანიზებას. AMA წარმოადგენდა კომუნისტური პარტიის დასაყრდენს და ამიტომაც მისი გავლენის ზრდასთან ერთად CNT-ს აქტივისტები შემფოთდნენ, რადგან ქალებს შეეძლოთ გადასულიყვნენ UGT-ს პროფკავშირებში, რის შედეგადაც CNT დაკარგავდა თავისი გავლენას ნაწილს. მოცემულ სიტუაციასთან გასამკლავებლად, CNT-ს ადგილობრივმა პროფკავშირებმა თავისი დარბაზების კარები გაუღეს *Mujeres Libres*-ს. პროფკავშირებმა გამოჰყვეს სივრცე ბავშვების მოვლის ცენტრებისათვის და ქალთა განათლებისა და წერა-კითხვის სწავლების ჯგუფებისთვის. კოლექტივიზირებულ საწარმოებში, პროფკავშირები აჩერებდნენ მუშაობის პროცესს, რათა *Mujeres Libres*-ს შესძლებოდა იქ თავისი პრეზენტაციების ჩატარება.

ინდუსტრია, რომელშიც *Mujeres Libres*-ს ყველაზე დიდი გავლენა ჰქონდა იყო საზოგადო ტრანსპორტი. *Mujeres Libres*-ის წევრი პურა პერეზი იყო ბარსელონაში ტრამვაის პირველი მძღოლი ქალებიდან ერთ-ერთი. პერეზის თანახმად, CNT-ს სატრანსპორტო პროფკავშირის მამაკაცები ქალებს ისე ეპყრობოდნენ როგორც მათ თანასწორ „შეგირდებს, შექანიკოსებსა და მძღოლებს. მათ გვასწავლეს ყველაფერი, რაც საჭირო იყო“. „ჩვენი კოლეგები“, იხსენებს პერეზი, „დიდ სიამოვნებას იღებდნენ მგზავრების გაოცებული სახეების დანახვისას, როდესაც ისინი აღმოაჩენდნენ, რომ ტრამვაის ქალის მითავდა.“⁴⁸

ესპანური კომუნისტური პარტიის პოლიტიკური კურსი

ესპანეთში რეალურად მიმდინარე პროლეტარული რევოლუციის მიუხედავად, ესპანეთის კომუნისტური პარტია ამტკიცებდა, რომ ქვეყნის დღის წესრიგში იდგა „ბურჟუაზიული დემოკრატიული რევოლუცია“ და სამოქალაქო ომი უნდა ყოფილიყო განხილული როგორც მხოლოდ და მხოლოდ ბრძოლა დემოკრატიული რესპუბლიკის დასაცავად.

PCE-ს პოზიცია, და კომუნისტური ინტერნაციონალის მცდელობა, თავისი პროპაგანდით სხვა ქვეყნების მოსახლეობისგან დაემალა ესპანეთში მიმდინარე მუშათა რევოლუცია, იყო მიმართული დასავლეთის კაპიტალისტური „დემოკრატიების“, განსაკუთრებით ამერიკის, ბრიტანეთისა და საფრანგეთის გულის მოსაგებად. კომუნისტები და მათი მხარდამჭერები ქადაგებდნენ, რომ ეს იყო ყველაზე კარგი გზა ფაშისტური ჯარის დამარცხებისათვის.

ისტორიულ დებატებში ესპანეთის რევოლუციაში კომუნიზმის როლის შესახებ დიდი ყურადღება ექცევა სტალინის გეოპოლიტიკურ გეგმებს. 1934 წელს ერთა ლიგაში შესვლით საბჭოთა კავშირმა დაიწყო საერთაშორისო იზოლაციიდან გამოსვლა. ბრიტანული,

ამერიკული და ფრანგული „დემოკრატების“ შიშის გაქრობის მცდელობა კომუნისტების მხრიდან წარმოადგენდა არა მხოლოდ იარაღების ხელში ჩაგდების ხერხს, იგი გამონწვეული იყო სტალინის შიშით გერმანული მილიტარიზმისადმი და მისი სურვილით დაედო სამხედრო ხელშეკრულება დასავლურ „დემოკრატებთან“ და ჩაერთო ისინი ფაშისტური ძალების წინააღმდეგ ბრძოლაში.

სამოქალაქო ომის პერიოდში PCE-მ ესპანეთში თვითონ განავითარა საკუთარი სოციალური ბაზა. მაგრამ რა საზოგადოებრივი მნიშვნელობა ჰქონდა ესპანეთისთვის ესპანურ კომუნისტურ პარტიას? ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად, ჩვენ უნდა შევხედოთ თანამედროვე კაპიტალიზმის კლასობრივ სტრუქტურას. მე-19 საუკუნეში მარქსი კაპიტალიზმში ხედავდა მხოლოდ ბიპოლარულ წინააღმდეგობას კაპიტალსა და შრომას შორის.

თუმცა, მე-19 საუკუნის დასრულებიდან, კაპიტალიზმის ახალი, სახელმწიფოს მიერ დარეგულირებული, კორპორატიული ფორმის განვითარებასთან ერთად განვითარდა ახალი სოციალური კლასიც, რომელსაც მე *კოორდინატორთა კლასს*⁴⁹ ვუწოდებ. რა წამს კაპიტალისტური წარმოებები ფართოვდებოდნენ იმდენად, რომ ერთი მესაკუთრე ვეღარ ახერხებდა მათ მართვას, კაპიტალისტები იძულებულნი ხდებოდნენ თავიანთი ძალაუფლების ნაწილი დაეთმოთ მენეჯერებისა და სპეციალისტების იერარქიისთვის კორპორაციებში ან სახელმწიფოში. კოორდინატორთა კლასის ძალაუფლება არ გამომდინარეობს საკუთრებიდან, არამედ იგი მოდის გადაწყვეტილებების მიღებისა და სხვა უფლებამოსილებით აღჭურვილი სამუშაოების მონოპოლიზაციიდან.

კოორდინატორთა კლასს გააჩნია თავისი კლასობრივი ინტერესები. მეტიც, მას ასევე გააჩნია უნარი გადაიქცეს მმართველ კლასად. რუსეთის რევოლუციაში ბოლშევიკების მიერ გამოყენებული მეთოდი მდგომარეობდა სახელმწიფოს მეშვეობით ახალი ეკონომიკური სისტემის ჩამოყალიბებაში, რომლის სათავეში იდგა კოორდინატორთა კლასი, კაპიტალისტების გარეშე.

თუ ჩვენ საზოგადო გარდაქმნას შევხედავთ მხოლოდ კლასობრივი კუთხით, აღმოვაჩინოთ, რომ არსებობს ანტიკაპიტალისტური რევოლუციის მხოლოდ ორი შესაძლებელი ვარიანტი. პროლეტარული რევოლუცია არის პროცესი, რომელიც, იმ შემთხვევაში თუ იგი იქნა წარმატებული, ჩამოშლის კაპიტალისტთა და კოორდინატორთა კლასობრივი ძალაუფლების სტრუქტურებს, რათა არსებობა შეწყვიტოს ყველა იმ კლასმა, რომელიც მუშათა კლასზე დომინირებს და მის ექსპლუატაციას ეწევა. კოორდინატორთა რევოლუცია, თავის მხროვ, არის ცვლილების ისეთი ტრაექტორია, რომელიც, წარმატების შემთხვევაში,

ამორებს კაპიტალისტებს მათი დომინანტური პოზიციებისგან და ამავედროულად ძალაუფლებას გადასცემს კოორდინატორთა კლასს, როგორც ახალ დომინანტურ ჯგუფს.

ესპანეთში PCE-ს კურსი წარმოადგენს მაგალითს იმისა, რასაც მე ვეძახი „მემარცხენე კოორდინატორიზმს“- ანტიკაპიტალისტური მემარცხენე რიტორიკით ისეთი სტრატეგიებისთვის და პროგრამებისთვის მიმართვა, რომლებიც ემსახურებიან კოორდინატორთა კლასის გაძლიერებას. მემარცხენე კოორდინატორიზმი წარმოადგენს ბოლო ხერხს, რომელსაც მიმართავს კლასობრივი სისტემა თავის გადარჩენისთვის იმ დროს, როდესაც მისი არსებობა იმყოფება მუშათა კლასის ძლიერი მოძრაობის მუქარის ქვეშ. ნათელი იყო, რომ კოორდინატორთა კლასის გაძლიერება შედიოდა PCE-ს გეგმებში: კამპანია ხელისუფლების აღდგენისთვის; იერარქიული ჯარისა და პოლიციის აღდგენისთვის; კამპანია ესპანური საზოგადოების საშუალო ფენის შემოერთებისა და მისი ინტერესების დაცვისთვის; და ომის პერიოდში კოლექტივიზირებული ინდუსტრიის ნაციონალიზაციისა და მისი სახელმწიფოს კონტროლის ქვეშ მოქცევისკენ გადადგმული ნაბიჯები.

ესპანელი კომუნისტების კონცეფციის თანახმად, ესპანეთში რევოლუცია უნდა მომხდარიყო ეტაპობრივად. იმ მომენტში რევოლუცია იმყოფებოდა „ბურჟუაზიული დემოკრატიის“ ეტაპზე. ამ „ეტაპობრიობის“ ცნება ნათლად განმარტა კომუნისტური ინტერნაციონალის მდივანმა, გიორგ დიმიტროვმა 1936 წლის 23 ივლისს გამართულ ინტერნაციონალის სხდომაზე:

„ამ ეტაპზე ჩვენ ესპანელ კომუნისტებს არ უნდა გავცეთ ესპანეთში საბჭოების შექმნისა და პროლეტარიატის დიქტატურის დამყარების ბრძანება. მაშასადამე, ჩვენ მათ უნდა ვუთხრათ: იმოქმედეთ რესპუბლიკის დამცველების ნიღბის ქვეშ; არ გადაუხვიოთ ესპანური დემოკრატიული რეჟიმის პოლიტიკისაგან ამ მომენტში... როდესაც ჩვენი პოზიციები გამყარდება, ჩვენ შევძლებთ უფრო წინ წასვლას.“⁵⁰

იმ პერიოდში ადგილი ჰქონდა გეოპოლიტიკურ დაპირისპირებას საბჭოთა კოორდინატორულ ელიტასა და კაპიტალისტური იმპერიალისტურ ძალებს შორის. კაპიტალისტური იმპერიალიზმი ისწრაფვის მსოფლიოს რაც შეიძლება უფრო დიდი ნაწილი გახადოს ხელმისაწვდომი საერთაშორისო კერძო კაპიტალის მიერ შეღწევისა და ექსპლუატაციისთვის. ყოველგვარი რევოლუცია - იქნება იგი კოორდინატორული, ნაციონალისტური თუ პროლეტარული - რომელიც გარკვეულ ტერიტორიას მიუწვდომელს გახდის იმპერიალისტური კაპიტალისტებისთვის, შეასუსტებს მსოფლიო კაპიტალიზმს, რის გამოც კაპიტალისტური იმპერიალისტური ძალები მას აუცილებლად შეენინააღმდეგებიან.

ამავე მიზეზით ყოველგვარი კოორდინატორული რეგულაცია იქნებოდა საბჭოთა კავშირის კოორდინატორული ელიტის ინტერესებში.

„ბურჟუაზიული დემოკრატიული რესპუბლიკის“ დაცვის სლოგანი ესპანელ კომუნისტებისთვის ორ რამეს ნიშნავდა. პირველი იყო ის, რომ ამ სლოგანის ქვეშ კომუნისტურ პარტიას შეეძლო საშუალო კლასის ინტერესების დაცვა და მისი გადმოობრება თავის მხარეზე.

PCE-ს მიერ ბურჟუაზიული დემოკრატიის დაცვის მეორე მნიშვნელობა იყო რესპუბლიკური სახელმწიფო აპარატის აღდგენა. კომუნისტური პარტიის გრძელვადიანი სტრატეგია იყო მეტასტაბური ტაქტიკით გაჟღერება. იერარქიული არმიისა და პოლიციის აღდგენის შემდეგ კომუნისტები იმუშავებდნენ ამ ინსტიტუციებში მაღალ პოზიციებზე კონტროლის მოპოვებისათვის. მათი მიზანი იყო ამ საშუალებების გამოყენება ესპანეთში სახელმწიფო ძალაუფლების ხელში ჩაგდებისათვის.

სექტემბრის ბოლოს სახალხო ფრონტმა დაიწყო ახალი პოლიციის შექმნა, რომელსაც დაერქვა „ნაციონალური რესპუბლიკური დაცვა“. დეკემბრამდე იგი შედგებოდა 28000 წევრისაგან. ამავე დროს, მდიდარი ოჯახიდან მომავალ სოციალ-დემოკრატისა და ფიზიოლოგიის პროფესორის, დოქტორ ხუან ნეგრინის მიერ შეიქმნა 40 000 წევრისგან შემდგარი სასაზღვრო პოლიცია. ნოემბერში სახელმწიფომ გადაწყვიტა მუშათა მილიციების ჩანაცვლება ჩვეულებრივი იერარქიული ჯარით. კომუნისტურმა პარტიამ მოახერხა კონტროლის მოპოვება ოფიცრების განვრთნისთვის შექმნილ ახალ აკადემიაზე. პარტია ასევე აკონტროლებდა ახალ „ომის კომისარიატს“, რომელიც პოლიტიკური კომისარებისგან შემდგარი ქსელის მეშვეობით მართავდა ჯარს. კომუნისტები აკონტროლებდნენ ფრონტზე განთავსებული ჯარისთვის გაზეთების მიწოდებასაც. ისინი დიდ ბეწოლას ახდენდნენ ოფიცრებზე, რათა ისინი პარტიაში შესულიყვნენ. PCE-მ თავისი სექტანტიზმით მოახდინა მთლიანი ჯარის დემორალიზაცია, იხსენებს „გაერთიანებული სოციალისტური ახალგაზრდობის“ ერთ-ერთი წევრი⁵¹.

1936 წლის ივლისში PCE-მ თავისი მოღვაწეობა დაიწყო ძალიან არახელსაყრელი პოზიციიდან. მას ჰყავდა 4000-ზე ნაკლები წევრი და არ ჰქონდა არანაირი მხარდჭერა ესპანეთის მუშათა კლასისგან. ამ სიტუაციიდან თავის დასაღწევად კომუნისტებმა მიმართეს რამდენიმე ხერხს.

თავიდან მათ დაიწყეს სოციალისტური პარტიის წევრთა გადმოხიზვით. ახალგაზრდული სოციალისტური ორგანიზაციების ლიდერთა გარკვეული რაოდენობა (სანტიაგო კარილოს ჩათვლით) წაიყვანეს ექსკურსიაზე რუსეთში, სადაც მათ კარგად ასვეს და აჭამეს. ამ საიდუმლო მოგზაურობებისას მოილაპარაკეს კომუნისტური და სოციალისტური ახალგაზრდული ორგანიზაციების შეერთებაზე. ასე შეიქმნა „გაერთიანებული სოციალისტური ახალგაზრდობა“ (*Juventud Socialista Unificada* — JSU).

მოლაპარაკებებზე ასევე გადაწყდა, რომ JSU-ს პოლიტიკა გადაწყდებოდა კონგრესზე. სოციალისტური ახალგაზრდული ორგანიზაცია უფრო დიდი იყო ვიდრე კომუნისტური და უმეტესად შედგებოდა სოციალისტური პარტიის კაბალეროზე ორიენტირებული მემარცხენე წევრებისაგან. „მემარცხენე სოციალისტების“ JSU-ზე კონტროლის მოპოვება არ ხერხდებოდა, რადგან დათქმული კონგრესი არ იმართებოდა. ამავე ხერხის გამოყენებით კატალონიელმა კომუნისტებმა შეძლეს კონტროლის დამყარება სოციალისტური პარტიის კატალონიურ სექციაზე. 1936 წლის შემოდგომაზე კომუნისტური პარტიის ლიდერებმა სცადეს ლარგო კაბალეროს დაყოლიება კომუნისტური და სოციალისტური პარტიების შერწყმაზე. იმ მომენტში კაბალერომ იცოდა თუ რა მოყვებოდა ესეთ დადანაშაულებას და ამიტომაც უარი სთქვა.

ფერმერები, მაღაზიების მეპატრონეები, პატარა და საშუალო ზომის ბიზნესების მფლობელები, მენეჯერები და ოფისში მომუშავენი წარმოადგენდნენ *Esquerra*-ს სოციალურ ბაზას კატალონიაში. საშუალო ფენას ხშირად აშინებდა ბიზნესებისა და შენობების ექსპროპრიაცია და წარმოების მართვა პროფკავშირების მიერ.

ამ რესპუბლიკელი საშუალო ფენის მხარდაჭერის მოპოვება იყო მეორე ხერხი, რომელსაც მიმართა PCE-მ. ანტიფაშისტურ ზონაში, კომუნისტებს წარმატებით გამოსდიოდათ საშუალო ფენის გადმოხიზვა, რადგან ისინი მოჩანდნენ როგორც მათი კლასობრივი ინტერესების უფრო ძლიერი და დისციპლინებული დამცველნი ვიდრე ძველი რესპუბლიკური პარტიები.

პირველი დაპირისპირება PSUC-სა და CNT-ს შორის მოხდა ბიზნესების ექსპროპრიაციის ლეგალიზაციისთვის შემოთავაზებული კანონის გამო. ეს დაპირისპირება მოხდა ოქტომბერში, CNT-ს გენერალიტატში შესვლის შემდეგ. CNT-ს ტექსტილის მუშის, ანდრეუ კაპდევილას თანახმად,

„PSUC და *Esquerra* გამწარებით იბრძოდნენ იმისთვის, რომ რაც შეიძლება შეემცირებინათ კოლექტივიზაციას დაქვემდებარებული ფირმების რიცხვი. ხოლო CNT-FAI მოითხოვდა რაც შეიძლება რადიკალური კანონის გამოცემას. მიზეზი თუ რატომ დათანხმდა CNT კოლექტივიზაციას იყო ის, რომ მის გარეშე ჩვენ ვერ შევძლებდით სოციალიზაციას, რაც ჩვენს მიზანს წარმოადგენდა. მუშებმა ხელში ჩაიგდეს ქარხნები... მაგრამ ეს გამარჯვება არ

იყო მხოლოდ CNT-სი. ჩვენ არ შეგვეძლო კონტროლი დაგვემყარებინა მთლიან ეკონომიკაზე.⁵²“

ყველაზე მეტად კომუნისტები ეწინააღმდეგებოდნენ ეკონომიკის სოციალიზაციას პროფკავშირების მიერ, როდესაც მთლიანი ეკონომიკა ერთიანად იმართებოდა სახელმწიფოსგან დამოუკიდებლად. კერძო საკუთრებაში მყოფი ბიზნესების შენარჩუნება წარმოადგენდა სოციალიზაციის შეჩერების ერთ-ერთ ხერხს. მიღებული კანონი მხოლოდ იმ ფირმების ექსპროპრიაციას უშვებდა, სადაც მუშაობდა 100 ან მეტი ადამიანი, ან 50-დან 100-მდე ადამიანი იმ შემთხვევაში, თუ მათი 75% აირჩევდა კოლექტივიზაციას. პრაქტიკაში CNT უბრალოდ ყურადღებას არ აქცევდა იმ ფაქტს, რომ ეს კანონი არ შეესაბამებოდა მცირე ბიზნესების დიდ რიცხვს, რომელთა კოლექტივიზაცია უკვე ჩატარებული იყო. PSUC-ის მცდელობა შეეჩერებინა ყოველი მოძრაობა საბაზრო ეკონომიკის ფარგლებს გარეთ, წარმოადგენდა კიდევ ერთ ტაქტიკას პროფესიონალების, მენეჯერებისა და მცირე ბიზნესმენების დაცვისთვის.

PSUC-მა ასევე შექმნა მცირე ბიზნესმენებისა და მაღაზიების მეპატრონეების პროფკავშირი, *Gremios y Entidades de Pequeños Comerciantes e Industriales* (კომერციული და ინდუსტრიული მცირე ბიზნესები -GEPCI). 1937 წლის გაბაფხულამდე UGT-ს წევრთა რიცხვი გაიზარდა 350 000-მდე (18 000 GEPCI-ს წევრის ჩათვლით) და თითქმის დაენია 400 000 წევრიან CNT-ს. ამ ზრდას საფუძვლად ედო PSUC-ის მიერ მოსახლეობის საშუალო ფენის ორგანიზება.

სამოქალაქო ომის პერიოდში კომუნისტური პარტიის ზრდის მესამე მიზეზი იყო საბჭოთა კავშირის მიერ რესპუბლიკური სახელმწიფოსთვის იარაღის მიწოდება. ასევე საერთაშორისო ბრიგადების ჩამოსვლა მადრიდში ბრძოლის დროს, 1936 წლის ოქტომბერსა და ნოემბერში. 1936 წლის სექტემბრის ბოლოს ლუის კომპანისი და ბუნეზენტურა დურუტი ეწვივნენ ლარგო კაბალეროს მადრიდში და შეეცადნენ მისგან მიეღოთ ესპანეთის ოქროს რეზერვის ნაწილი, რათა კატალონიის სამხედრო ინდუსტრია და მილიციები საჭირო რესურსებით უზრუნველყოთ. თავიდან კაბალერო ამაზე დათანხმდა, მაგრამ მოგვიანებით ხუან ნეგრინმა მას აზრი შეაცვლევინა. 13 სექტემბერს კაბალერომ ნება დართო ნეგრინს გაეგზავნა ოქროს რეზერვები ყველაგან სადაც იგი მოინდომებდა. იმ დროს ესპანეთი ფლობდა მსოფლიოში სიდიდით მეოთხე ოქროს რეზერვს, რომლის ღირებულება აღწევდა 800 მილიონ დოლარს (ვალუტის დღევანდელი კურსით 11 მილიარდს). კომუნისტებმა დაარწმუნეს ნეგრინი, რომ ქვეყნის ოქროს რეზერვების 70% რუსეთში გაეგზავნა. ესპანელებს მისცეს იმისი სიტყვიერი გარანტია, რომ მათ როგორც კი

მონდომებდნენ შეეძლოთ თავისი ოქროს დაბრუნება. თუმცა, ოქროს მოსკოვში ჩატანისთანავე სტალინმა განაცხადა, რომ „როგორც ადამიანი ვერ შეძლებს საკუთარი ყურების დანახვას სარკის გარეშე, ისევე ესპანელები ვეღარ ნახავენ საკუთარ ოქროს“

ოქროს გადაზიდვამ რუსეთში ძალიან დიდი ზიანი მიაყენა ესპანეთის ეკონომიკასა და ანტიფაშისტურ ბრძოლას. როდესაც ყველასთვის ცნობილი გახდა, რომ ესპანურ პესეტას უკან არ ედგა უზარმაზარი ოქროს რეზერვი, პესეტას ღირებულება უცხოურ ბაზრებზე მაშინვე დაეცა. სექტემბრამდე ესპანურმა ვალუტამ დაკარგა თავისი ღირებულების ნახევარი, რამაც გამოიწვია ფასების ზრდა იმპორტულ საქონელზე⁵³.

ჰიტლერი, მუსოლინი და პორტუგალიის ფაშისტური რეჟიმი, ყველანი უზრუნველყოფდნენ ესპანეთის ფაშისტურ არმიას სამხედრო მხარდაჭერით. ბრიტანული მკვლევარი, ჯერალდ ჰოუსონი წიგნში „Arms for Spain“ დანვრილებით აღწერს იარაღების მიწოდებებს სამოქალაქო ომის ორივე მხარისადმი. ჰოუსონი გვიჩვენებს, რომ ფაშისტურ სამხედროებს მიღებული ჰქონდათ გაცილებით უფრო მეტი დახმარება იარაღის სახით ვიდრე ანტიფაშისტურ მხარეს. რუსებმა გამოგზავნეს იარაღის ბევრად უფრო ნაკლები რაოდენობა ვიდრე ადრე იყო მიჩნეული. მათ გამოგზავნილი ჰქონდათ ძალიან ცოტა ახალი იარაღი. უმეტესობა იყო ძველი ან გაფუჭებული.

საფრანგეთის, ბრიტანეთისა და აშშ-ს ემბარგოს გამო, ესპანელ ანტიფაშისტებს ძალიან გაუჭირდათ ყოველგვარი ახალი იარაღის შოვნა. სამხედრო საქონლით ვაჭრობის მონიტორინგის მიზნით, მთლიანი მსოფლიოს მასშტაბით შემოღებული იქნა სერტიფიკატების მთლიანი სისტემა. როგორც ამერიკის მიერ ემბარგოში მონაწილეობის მიღების ერთ-ერთი ღონისძიება, გამოძიების ფედერალურმა ბიურომ, იარაღების საიდენტიფიკაციო ნომრების აღნუსხვის მიზნით, დაიწყო მექსიკაში მდებარე სამხედრო საწყობებში შეჭრა.

რუზველტის „ახალ კურსი“ თავდაპირველად ითვალისწინებდა ესპანელი ანტიფაშისტებისთვის იარაღის გაგზავნის დაშვებას, მაგრამ ამერიკელი კათოლიკე ეპისკოპოსების მიერ ორგანიზებულმა კამპანიამ გამოიწვია ამერიკელების მხარდაჭერა „ჩაურევლობის“ პაქტისადმი. (იმ ფაქტის მიუხედავად, რომ ბასკური კათოლიკური ეკლესია მხარს უჭერდა ანტიფაშისტებს). 1938 წლის მაისში ჯოზეფ კენედი თავში ჩაუდგა კიდევ ერთ კათოლიკურ კამპანიას, რომელმაც შეაჩერა ლიბერალი კონგრესმენები, რომლებიც ცდილობდნენ ამერიკის ემბარგოში მონაწილეობის შეწყვეტას.

ესპანური რესპუბლიკის აგენტებს ყველგან, სადაც არ წავიდოდნენ, შეიარაღების მისაღებად უწევდათ ქრთამის სახით უზარმაზარი თანხების გაღება. „ჩაურევლობის“ პაქტმა ესპანელი ანტიფაშისტები გახადა უფრო დამოკიდებულნი საბჭოთა კავშირზე.

ოქროს გადაგზავნამ რუსეთში საბჭოთა მთავრობას მოაპოვებინა კონტროლი ესპანეთისაკენ მიმართულ შეიარაღების ყველა ნაკადზე. მაგალითად, 1937 წლის დამლევს, გარსია ოლივერმა შესთავაზა ხუან ნეგრინს ანდალუზიის მთებში პარტიზანული ჯარის შექმნა. ანდალუზიის უმეტესი ნაწილი სამოქალაქო ომის დაწყებისთანავე ფაშისტებმა დაიკავეს, თუმცა ხალხს სჯეროდა, რომ მთებში ათასობით ანტიფაშისტი იმალებოდა. გარსია ოლივერს სჭირდებოდა იარაღი და აღჭურვილობა 200 ადამიანისგან შემდგარი ჯგუფის მომარაგებისთვის. ეს ჯგუფი გაიფანტებოდა მთებში და იქ შექმნიდა პარტიზანულ ჯარს, რომელიც დაიწყებდა ფაშისტური ძალების შევიწროებას მათივე ბურგს უკან. თავდაპირველად ნეგრინი ამაზე დათანხმდა, მაგრამ საბჭოთა კავშირის წარმომადგენლებმა უარი განაცხადეს აღჭურვილობის გადაცემაზე, რადგან მათ არ უნდოდათ ანარქისტების მიერ მართული პარტიზანული ჯარის არსებობა.

ოქროს რუსეთში გადაგზავნამ მხოლოდ გააადვილა სტალინისთვის ესპანელების გაძარცვა. საბჭოთა კავშირი აყალბებდა იარაღის ფასებს ახალი გაცვლითი კურსის შემოღებით, რომელიც მათ დიდ მოგებას აძლევდა. მარტო ორი თვითმფრინავის გაყიდვით რუსეთმა შეძლო ესპანეთის მოტყუება 50 მილიონი დოლარით. პოუსონი წერს: „ყველანაირი მოტყუების, ძარცვისა და ლალატს შორის, რაც რესპუბლიკელებმა იგემეს სხვადასხვა სახელმწიფოს, ოფიციალური პირებისა და იარაღით მოვაჭრეებისაგან, სტალინისა და საბჭოთა ნომენკლატურის მაღალი პირების საქციელი იყო ყველაზე უბადრუკი, ყველაზე ვერაგული და ყოვლად არასოლიდარული.“⁵⁵

„ესპანური კრონშტადტი“

1937 წლის დასაწყისში კომუნისტები თავს საკმარისად ძლიერებად გრძნობდნენ იმისთვის, რომ ქვეყანაში დაემყარებინად თავისი ჰეგემონია. მარტისთვის PCE-ს უკვე 230 000 წევრი ჰყავდა, ხოლო გაერთიანებულ სოციალისტურ ახალგაზრდობას - 250 000 წევრი. ამავე პერიოდის განმავლობაში FAI-ს წევრთა რიცხვი გაიზარდა 160 000-მდე. PCE-ს წევრთა მხოლოდ 40% მიეკუთვნებოდა მუშათა კლასს.

კომუნისტების განზრახვა ემოქმედათ მუშათა რევოლუციის წინააღმდეგ ნათლად გამოჩნდა 1936 წლის დეკემბერში, გაზეთ „პრავდაში“: „რაც შეეხება კატალონიას, ტროცკისტებისა და ანარქო-სინდიკალისტების წმენდა უკვე დაწყებულია და იგი ჩატარდება იმავე ენერჯით, რომლითაც 20-იან წლებში ჩატარდა სსრკ-ში“.

CNT-ს მინის მუშათა პროფკავშირის მდივანს, ხუან დომენეკს ევალუბოდა ჟენერალიდადის მთავრობაში საკვების მარაგის შედგენა. 7 იანვარს, ჟენერალიდადის ბრძანებით დაშლილი იქნა CNT-ს კონტროლის ქვეშ მყოფი მომარაგების ორგანიზაცია. პასუხისმგებლობა საკვების მომარაგებისთვის დომენეკიდან გადავიდა PSUC-ის ხელში. PSUC-მა კი მთლიანი ძალაუფლება თავისუფალ ბაზარსა და ადგილობრივ ბიზნესს გადასცა - ამ სვლამ საკმაოდ გააძლიერა GEPCI. ამ ყველაფრის შედეგი იყო საქონლის დაგროვებისა და დეფიციტის გამო საკვებზე ფასების აწევა. კომუნისტურმა პრესამ კი ყველაფერში კოლექტივები დაადანაშაულა.

23 იანვარს, ახლა მთლიანად კომუნისტების კონტროლის ქვეშ მყოფმა UGT-მ კატალონიაში გამართა მინათმფლობელი ფერმერების „კონგრესი“. ეს იყო მხოლოდ და მხოლოდ აგრიკულტურული კოლექტივების წინააღმდეგ ჩატარებული პროაგანდისტული აქცია. კომუნისტების აგიტაციის შედეგი გახდა ტარაგონის პროვინციაში ფერმერთა აჯანყება, რომელიც დამთავრდა საშინელი შეტაკებებით *asaltos*-სა და „საკონტროლო პატრულთან“ (1936 წლის 19 ივლისის შემდეგ შექმნილი პოლიცია). კონფლიქტი გამწვავდა მას შერე, რაც პოლიციის ახალმა პრო-კომუნისტმა შეფმა, როდრიგეს სალასმა, დაიყო ნაბიჯების გადადგმა ბარსელონის მცხოვრებთა განიარაღებისაკენ, რაც წარმოადგენდა პირდაპირ დარტყმას CNT სამეზობლო თავდაცვის ჯგუფებზე. ამ კონფლიქტებმა გამოიწვიეს ჟენერალიდადის მიერ „საკონტროლო პარტულის“ გაუქმება 4 მარტს.

1936 წლის ნოემბერში, როდესაც CNT შეუერთდა სახალხო ფრონტს, გარსია ოლივერი დაინიშნა სამართლის მინისტრად. ამით მან მოიპოვა კონტროლი სასჯელალსრულების სისტემაზე. წინა თვეს, ოქტომბერში მეციხოვნეებმა მადრიდის ციხეებში მყოფი ათასობით მემარჯვენე პატიმარი გაიყვანეს ქალაქგარეთ და სიკვდილით დასაჯეს. ამგვარი ინციდენტების თავიდან ასაცილებლად გარსია ოლივერმა მადრიდის ციხეების მეთვალყურედ დანიშნა ანარქისტი, მელქორ როდრიგესი. ამავდროულად კომუნისტებმა შეძლეს კონტროლი მოეპოვებინათ მადრიდის რევოლუციურ მთავრობაზე. 1937 წლის 20 აპრილს როდრიგესმა გამოაცხადა, რომ მადრიდში აღმოჩენილი იყო კომუნისტების საიდუმლო ციხე. ამ ციხეში გამოკეტილი იყო PSOE-ს ერთ-ერთი ოფიციალური პირის

ძმისშვილი, ასევე მანდვე ნაწამები იყო რამდენიმე სოციალისტი. ამ სკანდალმა გამოიწვია კაბალეროს სახელმწიფოს მიერ მადრიდის მთავრობის დაშლა. არც ისე დიდი ხნის შემდეგ PCE-ს დამოკიდებულება კაბალეროს მიმართ ძალიან შეიცვალა. 1996 წლის დასაწყისში კომუნისტურ პრესაში კაბალეროს მოიხსენიებდნენ როგორც „ესპანურ ლენინს“. ხოლო 1937 წლის გაბაფხულისთვის მას უკვე სულელ მოხუცს ეძახდნენ.

25 აპრილს, PSUC-ს ერთ-ერთი აქტივისტი და ყოფილი *treintista*, როლდან კორტადა მოკლული იქნა ბაშ-ლობრეგატში, რომელიც წარმოადგენდა ანარქისტების ციხე-სიმაგრეს. მკვლელობა დაებრალა ბაშ-ლობრეგატის ერთ-ერთ წამყვან ანარქისტ აქტივისტს, თუმცა ამის არანაირი მტკიცებულება არ მოიპოვებოდა. კორტადას დაკრძალვა წარმოადგენდა მშვენიერ საბაბს ქუჩაში მასიური მსვლელობის ჩატარებისთვის, ეს იყო კომუნისტების მიერ ძალის დემონსტრაცია.

კომუნისტებსა და CNT-ს შორის დაძაბულობამ თავის პიკს მიაღწია 3 მაისს, როდესაც კომუნისტების კოტროლ ქვეშ მყოფი პოლიცია თავს დაესხა ბარსელონის სატელეფონო მომსახურების შენობას. ესეთი თავდასხმები სატელეფონო შენობებზე განხორციელებულ იქნა სხვა ქალაქებშიც. ესპანეთის სატელეფონო სისტემას მართავდა CNT-ს მუშათა ფედერაცია. CNT-ს მუშები აყურადებდნენ სახელმწიფო წარმომადგენლების სატელეფონო საუბრებს, რათა თვალყური ედევნებინათ მათ ქმედებებისადმი. კომუნისტებმა ეს ფაქტი საბაბად გამოიყენეს სატელეფონო სისტემის დაპყრობისთვის. თუმცა PSUC-ი არ იყო სატელეფონო საუბრების მიყურადების პრაქტიკის წინააღმდეგი. როგორც PSUC-ის ლიდერის, ხუან კამორერას ერთ-ერთი ახლო ნაცნობი იხსენებს: „რათქმუნდა, თუ PSUC-ი აღმოჩნდებოდა პოზიციაში, რომელშიც მას მიეცემოდა სხვების სატელეფონო საუბრებისთვის ყურის დაგდების საშუალება, იგი ამას აუცილებლად გააკეთებდა. პარტიას ყოველთვის უნდოდა კარგად ინფორმირებული ყოფილიყო.“ ეს თავდასხმა იყო ძალაუფლების საკითხი.

სატელეფონო შენობაზე თავდასხმის ამბავი ჩქარა გავრცელდა. რამდენიმე საათში CNT-ს თავდაცვის კომიტეტებმა დაიწყეს კომუნისტური პოლიციის წინააღმდეგ მობილიზება და ბარიკადების აღმართვა. მათ ასევე შეუერთდნენ POUM-ი და „ლიბერტარული ახალგაზრდობა“ და ცოტა ხანში მთელი ქალაქი თავის გარეუბნებთან ერთად შეიარაღებულ მუშათა ჯგუფების ხელში აღმოჩნდა. საჯარო გაფიცვა გავრცელდა მთელს ბარსელონაში. სახელმწიფომ თავისი ხელისუფლების შენარჩუნება შეძლო მხოლოდ ქალაქის ცენტრის პატარა ნაწილში.

მთელი ეს ბრძოლა წარმოადგენდა მუშათა კლასის სპონტანურ რეაქციას კომუნისტების აგრესიულ მოქმედებებზე. CNT-ს რეგიონული და ნაციონალური კომიტეტები ცდილობდნენ კონფლიქტის დიპლომატიურად მოგვარებას და ამიტომაც თავის სამხედრო ერთეულებს ბრძოლაში ჩართვა აუკრძალეს. 4 მაისს, CNT-მ საპროფკავშირო რადიოთი მიმართა ხალხს, რომ შეეწყვიტათ ბრძოლა და თავიანთ სამუშაო ადგილებზე დაბრუნებულიყვნენ. ნაციონალურ მთავრობის მინისტრები, ფედერაცია მონცენი და გარსია ოლივერი ითხოვდნენ ბრძოლის დაუყოვნებლივ შეწყვეტას. POUM-ის ერთ-ერთი წევრი შემდეგნაირად აღწერს მონცენის რადიო მიმართვის შემდეგ ბარიკადებზე განვითარებულ სიტუაციას: “CNT-ს მებრძოლები იმდენად განრისხდნენ, რომ ამოიღეს თავიანთი იარაღები და რადიოს დაუწყეს სროლა. შეიძლება ეს ყველაფერი დაუჯერებლად ჟღერს, მაგრამ ეს ჩემს თვალ წინ მოხდა: ისინი სრულიად გააფრთხილებულნი იყვნენ, მაგრამ ამის მიუხედავად ბრძანებას მაინც დაემორჩილნენ. ისინი შეიძლება ანარქისტები იყვნენ, მაგრამ როდესაც საქმე მათ საკუთარ ორგანიზაციაზე მიდგებოდა, ეს ხალხი უზარმაზარ დისციპლინას იჩენდა.”⁵⁸

6 მაისს, მუშებმა დაიწყეს ბარიკადების დაშლა. PSUC-მა დრო იხელთა და მაშინვე თავის ხელში ჩაიგდო სატელეფონო კომპანია. CNT-ს ლიდერებს, ალბათ, სჯეროდათ, რომ ახლა, როდესაც „ჩვენმა წევრებმა თავისი ძალა გამოაჩინეს“, დაბრუნდებოდა ის სიტუაცია, რომელიც კონფლიქტის დაწყებამდე სუფევდა. სამწუხაროდ, ეს არ მომხდარა.

სახელმწიფოს ავტორიტეტის აღსადგენად ბარსელონაში გაგზავნილი იყო მძიმედ შეიარაღებული პარამილიტარული პოლიციის უზარმაზარი ჯგუფი. CNT-ს ჩამოერთვა იარაღით სავსე რამდენიმე უზარმაზარი კონტეინერი. 11 მაისს, თორმეტი ახალგაზრდა ანარქისტის დასახიჩრებული ცხედარი დატოვეს რიპოლეთთან ახლოს მდებარე სასაფლაოზე. 5 მაისს, იტალიელი ანარქისტი კამილო ბერნერი- ფილოსოფიის პროფესორი, რომელიც იტალიიდან ფაშისტებს გამოექცა, მოკლული იქნა კომუნისტების მიერ კიდევ ერთ იტალიელ ანარქისტთან ერთად.

15 მაისს გამართულ სახალხო ფრონის საკაბინეტო სხდომაზე კომუნისტებმა წინ წამოსწიეს CNT-სა და POUM-ის აკრძალვის იდეა. კაბალერომ მათ უპასუხა, რომ ლეგალურად ამის გაკეთება შეუძლებელი იყო და სანამ იგი მთავრობის ხელმძღვანელის პოზიციაზე რჩებოდა, ესეთ რამეს არ დაუშვებდა. ესეთი პასუხის მიღების შემდეგ ორმა კომუნისტმა მინისტრმა შეხვედრა დატოვა. როდესაც კაბალერომ გამოაცხადა, რომ სამინისტროს საბჭო გრძელდებოდა, სოციალ-დემოკრატებმა, რესპუბლიკელებმა და ბასკმა

ნაციონალისტებმა კომუნისტების მხარდაჭერის ნიშნით კაბინეტი დატოვეს. კაბალეროს მხარი დაუჭირა მხოლოდ სამმა სოციალისტმა და ოთხმა CNT-ს მინისტრმა.

მაისის კონფლიქტში მთავარი გამარჯვებულები იყვნენ ცენტრალური მთავრობა და PCE. CNT კი გამოძევებული იქნა როგორც ნაციონალური სახელმწიფოდან, ასევე ჟენერალიდადიდანაც.

ცენტრალურმა მთავრობამ მალევე ჩამოართვა გენერალიტატს მის ადგილობრივ პოლიციაზე კონტროლი, რითაც საბოლოოდ გააუქმა კატალონიის ავტონომია. კომპანისი და *Esquerra* გახდნენ სრულიად მარგინალიზებუნი. კაბალერო შეცვლილი იქნა ხუან ნეგრინით - სოციალ-დემოკრატით, რომელიც ამჟღავნებდა კომუნისტებისადმი სიმპათიას. კომუნისტებმა დაიწყეს სვლა სოციალისტების წინააღმდეგ. პოლიციის დახმარებით მათ ხელში ჩაიგდეს PSOE-ს კაბალეროს ფრაქციის მთავარი საგაზეთო გამომცემლობები.

ნეგრინმა მხარი დაუჭირა POUM-ის წინააღმდეგ რეპრესიების ჩატარებას, რაზეც კაბალერომ მტკიცე უარი განაცხადა. ცოტა ხანში POUM-ის ლიდერი, ანდრეუს ნინი დაკავებული, ნაწამები და მოკლული იქნა კომუნისტი ჯაშუშების მიერ. 15 აგვისტოს გამოიცა „სამხედრო გამოძიების სერვისის (*Servicio Inteligencia Militar — SIM*)“ შექმნის დეკრეტი. SIM იყო საიდუმლო პოლიტიკური პოლიცია, რომელიც სავსე იყო საბჭოთა გპუ-ს აგენტებით. მხოლოდ მადრიდში განთავსებული იყო SIM-ის ექვსი ათასი აგენტი.

ბილ ჰერიკი იყო ამერიკული კომუნისტური პარტიის წევრი ნიუ-იორკიდან, რომელიც მსახურობდა აბრაჰამ ლინკოლნის ბატალიონში, ესპანეთში. თავის მემუარებში ჰერიკი აღწერს, თუ როგორი გაბრაზებით შეჰყურებდნენ მას გამვლელები, როდესაც მას საერთაშორისო ბრიგადების ფორმაში გამოწყობილს ბარსელონის ქუჩებში ხედავდნენ... ზოგი მას ზედ აფურთხებდა კიდევ. იგი წერს, რომ პარტიის უფროსის დავალებით იგი SIM-ის ციხეში ახალგაზრდა რევოლუციონერების დახვრეტას უნდა დასწრებოდა. იგი აღწერს ერთი გოგოს სიკვდილით დასჯას, რომელმაც, სანამ SIM-ის წევრი მას ეროდა, დაიყვირა „*Viva la revolucion!*“. იმ გოგოს მკვლელობის მოგონება მთელი სიცოცხლის განმავლობაში ჰერიკს თან დაჰყვებოდა, ნიუ-იორკში დაბრუნებისთანავე მან დატოვა კომუნისტური პარტია⁵⁹.

სახალხო ფრონტის მთელი სტრატეგია მდგომარეობდა კაპიტალისტების იმპერიალისტური ძალებისაგან შეიარაღების მიღების მცდელობაში. ეს სტრატეგია არ იყო ძალიან რეალისტური. ბრიტანული ელიტის მთავარ შიშს წარმოადგენდა ბოლშევიზმი და არა

ფაშიზში. ამიტომაც ბრიტანული სახელმწიფო 30-იანი წლების განმავლობაში უამრავ დათმობაზე წასულა ჰიტლერის წინაშე.

პოპულარული ფრონტი სამოქალაქო ომს აღიქვამდა როგორც ჩვეულებრივ ომს, მაგრამ ტრადიციული მილიტარისტული გადმოსახედიდან ფაშისტებს აშკარა უპირატესობა ჰქონდათ. მათ ჰყავდათ განვრთნილი ჯარი და ჰიტლერისა და მუსოლინის წყალობით ხელი მიუწვდებოდათ მეტი შეიარაღებისკენ. ფაშისტური ფრონტის უკან პარტიზანული ბრძოლის ორგანიზებაზე უარის თქმა მომდინარეობდა სამოქალაქო ომის ჩვეულებრივი სახის ომად აღქმიდან. პარტიზანული ბრძოლა კი გამოიყენებდა ანტიფაშისტების მთავარ უპირატესობას - მოსახლეობის მხადრაჭერას.

ამასთან ერთად, არ იყო გაკეთებული არანაირი მიმართვა სხვა ქვეყნების მუშებისათვის. სახალხო ფრონტის მიერ გამოყენებული ტაქტიკა არ წარმოაჩენდა სამოქალაქო ომს ისე, როგორც მუშათა კლასის ბრძოლას. როგორც ჯორჯ ორუელი წერს:

„მას შემდეგ, რაც მედიის მიერ ეს ომი მოქცეული იქნა „დემოკრატიისთვის ბრძოლის“ ვიწრო ჩარჩოებში, უცხოური მუშათა კლასისგან დახმარების მიღება შეუძლებელი გახდა... დემოკრატიული ქვეყნების მუშათა კლასს შეეძლო ინდუსტრიული მოქმედებების - გაფიცვებისა და ბოიკოტების მოწყობის გზით თავისი ესპანელი ამხანაგებისთვის დიდი დახმარების განწევა. მაგრამ არაფერი ამგვარი არ მომხდარა.“⁶⁰

ანტიფაშისტების მთავარ უპირატესობას წარმოადგენდა ხალხის მასების რევოლუციური ენთუზიაზმი. ჯარზე თავისი კონტროლის დამყარებისა და ეკონომიკაში მუშათა თვითმმართველობის განადგურებისკენ კომუნისტების მიერ გადადგმულმა ნაბიჯებმა უზარმაზარი წვლილი შეიტანეს ხალხის დემორალიზაციაში.

იძულებითი კოლექტივიზაცია?

1937 წლის აგვისტოს, ნეგრინის მთავრობამ გამოსცა დეკრეტი CNT-ს მიერ მართული არაგონოს თავდაცვის საბჭოს გაუქმების შესახებ. კომუნისტი გენერალი ენრიკე ლისტერის მეთაურობის ქვეშ მყოფმა სამხედროებმა დაარბიეს კოლექტივები, დაუბრუნეს მიწები მინათმფლობელებს, და დააპატიმრეს ექვსასი CNT-ს წევრი (ზოგი მათგანი მოკლეს). კომუნისტებმა არაგონში თავისი მოქმედებების გამართლების მიზნით ანარქისტები იძულებით კოლექტივიზაციაში დაადანაშაულეს. ისინი აცხადებდნენ, რომ მათი მიზანი იყო *campesinos*-ების (გლეხების) განთავისუფლება. ანარქისტები, თავის მხრივ, არაგონის აგრარული სექტორის კოლექტივიზაციას აფასებდნენ როგორც ადგილობრივი

მოსახლეობის ინიციატივის შედეგს, დამქირავებლებისგან და მინათმფლობელებისგან განთავისუფლების მცდელობას.

CNT-ს არაგონის რეგიონული საბჭოს წევრის, გლეხი მაკარო როიოს თანახმად, რევოლუციის დროს იძულების რაღაც ელემენტების გამოყენება აუცილებელი იყო; დომინანტი კლასები აუცილებლად წინ აღუდგებიან მუშათა კლასის განთავისუფლებას. მაგრამ რამდენად შორს უნდა წავიდეს ეს იძულება? კომუნისტების აგრიკულტურული პოლიტიკა იწვევდა კონფლიქტს როგორც CNT-სთან, ასევე UGT-ს სამინათმოქმედო მუშათა ფედერაციასთანაც (FNTT).

დისპუტის მთავარ საკითხს წარმოადგენდნენ მსხვილი და საშუალო მინათმფლობელები, რომლებიც სამხედრო გადატრიალების დროს არსად არ გაქცეულან. ამ ხალხს გააჩნდა საკმარისი მიწა მუშების დაქირავებისთვის. ისინი წარმოადგენდნენ რუსეთის რევოლუციის დროს არსებული „კულაკების“ ეკვივალენტს. ანტიფაშისტური ზონის უდიდეს ნაწილში CNT-სა და FNTT-ს პოზიცია იყო ის, რომ მინათმფლობელი *campesinos*-ის მიწის ზომა არ უნდა აღემატებოდეს იმას, რისი მოვლაც მის ოჯახს ძალუძს. CNT-სა და FNTT-ს მთავარ მიღწევას წარმოადგენდა სოფლებში დაქირავებული შრომის გაუქმება.

PCE იყო ქვეყანაში დარჩენილი მემამულეების ექსპროპრიაციის მოწინააღმდეგე. თუმცაღა, ყველაზე მდიდარი მინათმფლობელი ფერმერები იყვნენ მემარჯვენეები, ზოგი მათგანი ადრე სოფლის მემარჯვენე „*cacique*“-ც (პოლიტიკური მეთაურიც) კი ყოფილა. კომუნისტების მიერ გატარებული პოლიტიკა ხშირ შემთხვევაში მათ იცავდა, ხანდახან კოლექტივიზირებული მიწების დაბრუნებაშიც კი ეხმარებოდნენ, რითაც აძლიერებდნენ სოფლად არსებულ მემარჯვენე ელემენტებს.

CNT-ს სასოფლო კოლექტივიზაციის პრაქტიკა განსხვავდებოდა რეგიონიდან რეგიონამდე. მაგალითად, ანდალუსიაში, CNT-ს ჰქონდა იმავე სახის პოლიტიკა, რაც PCE-ს. აქ CNT-ს არ მოუხდენია არც ერთი ნაკვეთის ექსპროპრიაცია. მან დააარსა თავისი კოლექტივები გაქცეული ფერმერების მიწებსა და *campesinos*-ების მიერ ნებაყოფლობით გაცემულ პატარა მიწის ნაკვეთებზე⁶¹.

დისპუტი არაგონის შესახებ ასევე შეეხო პატარა ნაკვეთების მფლობელ *campesinos*-ებს, რომლებიც არ იყენებდნენ დაქირავებულ შრომას და რომლებსაც ამის მიუხედავად მაინც აიძულებდნენ თავიანთი ნაკვეთების კოლექტივებში გაერთიანებას. ამგვარი ღონისძიებები

ენინააღმდეგებოდა კროპოტკინის მიერ წიგნში „პური და თავისუფლება“ მოცემულ რჩევებს და ანტიფაშისტური ზონის სხვა ნაწილებში CNT მათ არც მიმართავდა.

სატურნინო კაროდი იყო უმინანყოფიერ ფერმერის შვილი და CNT-ს ერთ-ერთი კოლონის ლიდერი. კაროდმა მშვენივრად იცოდა, თუ როგორ დამოკიდებულებაში იყვნენ *campesinos*-ები თავიანთ პატარა ნაკვეთებთან. „ეს მინა მათი ყოფის ნაწილია. მისთვის ამ მინის წართმევა იგივეა რაც მის სხეულიდან გულის ამოგლეჯა. გლეხი არ უნდა იყოს იძულებული დათმოს თავისი ნაკვეთი, რათა კოლექტივს შეუერთდეს,“ ამბობდა კაროდი⁶². მაგრამ კაროდის რჩევებს არაგონში ყურს ხშირად არავინ უგდებდა.

სოფელი ანგუესი არის კარგი მაგალითი. „*Blood of Spain*“-ში რონალდ ფრეისერი ციტირებს ანგუესში მცხოვრებ ერთ-ერთ ცოლ-ქმარს. ორივე იყო CNT-ს ერთგული მხარდამჭერი: კაცი ამბობდა, რომ CNT-ს დასაცავად სიცოცხლესაც განწირავდა. როდესაც კოლექტივი დაარსდა, მათ დიდი სიხარულით დააღწიეს თავი მსხვილი მინათმფლობელის ბატონობას, რომელიც მათ ბოლო კაპიკს ხელიდან აცლიდა.

სოფლის ახალ მმართველობას ისინი აღწერენ როგორც 20 შეიარაღებული კაცისგან შემდგარ საბჭოს, რომლებიც არ მუშაობდნენ. არც ერთი მინის მფლობელ *campesino*-ს არ ჰქონდა კოლექტივის გარეთ დარჩენის უფლება. რადგან ფული გაუქმებული იყო და ყველა რესურსს კოლექტივი განაგებდა, ის ფერმერები, რომლებიც კოლექტივს დატოვებდნენ, ვეღარ შეძლებდნენ სასუქის ან ნათესების ყიდვას. სოფლის მმართველი საბჭოს წევრები თავის ჯიბეების ამოვსებაზეც ზრუნავდნენ. ყველაზე კარგი საჭმელი ყოველთვის მათ სახლებში აღმოჩნდებოდა.

საბჭოს წევრები სოფელში მდიდარი ოჯახებისგან ექსპროპრირებული მანქანებით მოძრაობდნენ. სოფლის სხვა ქალებისგან განსხვავებით, მათი ცოლები სამუშაოსგან განთავისუფლებულნი იყვნენ. სასოფლო ასამბლეები იშვიათად ტარდებოდა და საბჭოს წევრთა დათხოვა არ ხდებოდა. წყვილის თქმით, სოფელში დიდი უკმაყოფილება სუფევდა. ხალხს მიაჩნდა, რომ საჭირო იყო კიდევ ერთი რევოლუცია ამ ახლად ჩამოყალიბებული ელიტის თავიდან მოსაშორებლად⁶².

კომუნისტური პროპაგანდის თანახმად მთელ არაგონში ისეთი სიტუაცია სუფევდა, როგორიც სოფელ ანგუესში. სინამდვილეში კი არსებობდა მრავალი სოფელი, სადაც სიტუაცია სრულიად განსხვავდებოდა.

მას-დე-ლას-მატასი იყო არაგონში მდებარე წვრილი მიწათმფლობელების დაბა 2500 მცხოვრებლით. ომის წინ ადგილობრივ CNT-ს პროფკავშირს ჰყავდა 200 წევრი. ანარქისტებმა ქალაქის კოლექტივიზაცია დაიწყეს მცხოვრებთა ასამბლეის გამართვით. ასამბლეაზე შექმნილი იყო ანტიფაშისტური კომიტეტი, რომელშიც წევრთა ერთი ნახევარი მხარს უჭერდა CNT-ს, ხოლო მეორე ნახევარი - მემარცხენე რესპუბლიკურ პარტიას. ასამბლეა და კომიტეტი გადაიქცნენ ქალაქის ახალ მმართველ ორგანოდ და ეკონომიკის სოციალიზაციის საშუალებად. ეს წარმოადგენდა იმის მაგალითს, რასაც ესპანელი ანარქისტები „თავისუფალ მუნიციპალიტეტს“ უწოდებდნენ. ეს დაბა იყო ერთ-ერთი იმ ადგილთაგანი, სადაც ანარქისტებმა რევოლუციის დროს მართლაც შეძლეს ესეთი ტიპის ტერიტორიული, საბჭოებზე დაფუძნებული მმართველობის სტრუქტურის ჩამოყალიბება.

მრავალმა ფერმერმა თავისი პატარა ნაკვეთი კოლექტივს შეუერთა და დათანხმდა მიწების კოლექტიურ დამუშავებაზე. ამის უპირატესობა იყო ის, რომ შესაძლებელი გახდა იმ ტექნიკის გამოყენება, რომელიც ქალაქმა სამიწათმოქმედო ოპერაციებისთვის შეიძლინა. კოლექტივის მდივანი იყო 26 წლის თვითდასაქმებული დურგალი. მან თავისი ხელსაწყოები კოლექტივს დაუთმო. კოლექტივი აკონტროლებდა ყველა სახის მომსახურებას. პოლიტიკური ძალაუფლება, რომელსაც ქალაქის კოლექტივი ფლობდა, კარგად ჩანს იმ ფაქტში, რომ ქალაქში აიკრძალა დაქირავებული შრომა. ასევე აკრძალული იქნა აზარტული თამაშები და ალკოჰოლით ვაჭრობაც⁶⁴.

50 ფერმერის ოჯახმა უარი თქვა კოლექტივში შესვლაზე. შემუშავებული იქნა ხელშეკრულება, რომლის თანახმად კოლექტივი შეისყიდოდა, როგორც მათ ანარქისტები ეძახდნენ, „ინდივიდუალისტების“ პროდუქტებს და სანაცვლოდ უზრუნველყოფდა მათ თავისი საქონლითა და სხვადასხვა მომსახურებით. თუ იარსებებდნენ წვრილი ფერმერები, რომლებიც აირჩევდნენ საკუთარი მიწის თავად დამუშავებას, ესეთი სახის ხელშეკრულების არსებობა აუცილებელი იყო, რადგან კოლექტივი აკონტროლებდა ყოველი სახის მომსახურებას, ხოლო მას-დე-ლა-მატასა და სხვა სოფლებში ფული გაუქმებული იყო. ამასთან ერთად, მოგვიანებით არაგონის კოლექტივთა ფედერაციამ მთლიანი რეგიონის ტერიტორიაზე გამართა საკვების მიწოდების ერთიანი სისტემა. როგორც ჩანს, სოფელ ანგუესში დამოუკიდებელი ფერმერების დასაშვებად არავითარი ამგვარი ხელშეკრულება არ იყო დადებული.

ფელიქს კარასქუერი, მასწავლებელი და FAI-ს წევრი, იხსენებს, რომ არაგონში თავისი ვიზიტების დროს მან სცადა დალაპარაკებოდა რამდენიმე „ფანატიკოსს“, რომლებიც ყოველი მიწის კოლექტივიზაციის დაძალებას ცდილობდნენ. „თქვენ უნდა დაუტოვოთ

ხალხს არჩევნის თავისუფლება“, ახსენებდა მათ კარასქუერი. იგი ამბობდა, რომ მცირე ფერმერებისთვის კოლექტივში შესვლის დაძალება ხდებოდა ძალიან იშვიათად, არსებობდა მხოლოდ რამდენიმე სოფელი, სადაც „კოლექტივიზაცია იყო საყოველთაო“⁶⁵. მას-დე-ლას-მატასში და არაგონის სხვა სოფლების უმეტესობაში, „ინდივიდუალისტი“ ფერმერების არსებობა, რომლებიც თავიანთ მიწებს თვითონ ამუშავებდნენ, უარყოფს კომუნისტების ბრალდებას, რომ თითქოს არაგონში ყველა მცირე მიწათმფლობელს აიძულებდნენ კოლექტივებში განევრიანებას.

1937 წლის აგვისტოს, როდესაც ლისტერის ჯარი არაგონში შეიჭრა, მას-დე-ლას-მატასში გაიმართა მცხოვრებთა ასამბლეა, სადაც, პოლიციის თანდასწრებით ყველას, ვინც მოისურვებდა კოლექტივის დატოვებას, მიეცა ამის ნება. კოლექტივის წევრთა რიცხვი დაეცა 1500-მდე. ამდენად, კომუნისტი სამხედროების მუქარით სავსე თანდასწრების მიუხედავად, მოსახლეობის 60%-მა მაინც თავისი ნებით მხარი დაუჭირა კოლექტივს. ასე გადაურჩა არაგონის აგრიკულტურულ კოლექტივთა 70% კომუნისტების პუტჩს.

არაგონის კოლექტივიზაციას ჰქონდა ორმაგი მნიშვნელობა. გარკვეულ დონეზე იგი წარმოადგენდა ადგილობრივ ინიციატივას, რომელიც მოტივირებული იყო საზოგადოების თვითმმართველობისა და თანასწორობის მიღწევით. მაგრამ, ამასთან ერთად, სოფლებიდან მხოლოდ რამდენიმე კილომეტრის დაშორებით განთავსებული არაგონის მშრომელთა მილიციის მინოდების ხაზი, რომელიც მოდიოდა კატალონიიდან და ვალენსიიდან, არ იყო ძალიან სანდო. არაგონის სოფლებმა დიდი როლი ითამაშეს მშრომელთა მილიციის საკვებით მომარაგებაში.

ხშირ შემთხვევაში, სოფლებში ფულს აუქმებდნენ და მის მაგივრად საქონლის მინოდების სისტემებს მართავდნენ. ადგილობრივი მოსახლეობის მოხმარების გაკონტროლების გზით შესაძლებელი გახდა ზედმეტი პროდუქტის დაგროვება, რომლითაც მარაგდებოდა რევოლუციური არმია. ანტიფაშისტური მილიციისთვის უფასო მუშაობა იწვევდა სიამაყეს მემარცხენეებში და უკმაყოფილობას სოფელში მცხოვრებ მემარჯვენეებს შორის.

თუმცა, ფულის გაუქმება წარმოადგენდა *campesinos*-ის უკმაყოფილობის კიდევ ერთ წყაროს. სოფელ ალკორისაში CNT-ს კოლექტივის პრეზიდენტის თანახმად, *campesinos*-ებს არ მოსწონდათ საერთო მაღაზიიდან ნივთების უფასოდ აღების იდეა, რადგან მათ ეს მათხოვრობად მიაჩნდათ⁶⁶. მათ სჯეროდათ, რომ მათ თავიანთი სამუშაოთი უნდა დაემსახურათ მოხმარების საშუალებათა რაღაც რაოდენობა.

მას-დე-ლას-მატასის კოლექტივის ანარქისტი მდივანი ამბობდა, რომ ფულის გაუქმება „აღმოჩნდა ერთ-ერთი ჩვენი უდიდესი შეცდომა“. მას მიაჩნდა, რომ ხალხისთვის ხელფასის გადახდა და ოჯახების მოთხოვნილებების მიხედვით დამატებითი თანხების გაღება უკეთესი იქნებოდა.

თუ შრომისუნარიანი, ზრდასრული ადამიანი თავის უფლებას მოხმარების საშუალებებზე თავისი სამუშაოს შესაბამისად მოიპოვებდა, ეს ყოველ ინდივიდს მისცემდა თავისთვის საჭირო ნივთების მოთხოვნის შესაძლებლობას. ამის გარეშე კი არსებობდა მხოლოდ რიგი ნივთებისა, რომელსაც კოლექტივი ყველას სთავაზობდა. ფულის არარსებობამ გამოიწვია ის, რომ ხალხი ხშირად ყრიდა პურს, რადგან იგი უფასო იყო.

სატურნინო კაროდს მიაჩნდა, რომ ფულის გაუქმება გამოწვეული იყო ფულისა და კაპიტალის მცნებების ერთმანეთში აღრევით. იგი ამტკიცებდა, რომ საჭირო იყო social accounting-ის სისტემის შემოღება⁶⁷. ეს კი მოითხოვდა რაიმე ფულადი ერთეულის არსებობას, რომელითაც გამოისახებოდა საქონლის წარმოებისთვის საჭირო რესურსების ღირებულება. კაპიტალი არის საზოგადოებრივი ურთიერთობა დომინაციისა, რომელიც ხორციელდება მოგების მიზნით ბაზარზე წარმოების საშუალებათა ყიდვისა და მუშების დაქირავების გზით. ფულის არსებობა არ უნდა გულისხმობდეს კაპიტალისტური ურთიერთობების არსებობის გაგრძელებას.

ზოგ ადგილას აგრიკულტურული კოლექტივების შექმნა ხდებოდა კომუნისტების დახმარებით. მათ ნამდვილ მიზანს წარმოადგენდა არა კოლექტივების განადგურება, არამედ CNT-ს ძალაუფლების განადგურება. როდესაც არაგონში კომუნისტები თავს დაესხნენ CNT-ს, CNT-ს ლიდერებმა არ მისცეს არაგონში განთავსებულ თავიანთ სამხედრო ერთეულებს კონფლიქტში ჩარევის უფლება, რამაც შედეგად გამოიწვია მოსახლეობის ენთუზიზმის დაცემა და რამდენიმე თვის შემდეგ, ხელი შეუწყო ფაშისტების მიერ არაგონის დაპყრობას.

დურუტის მეგობრები

მაისის დღეებში ბარსელონაში მომხდარი კომუნისტური პოლიციისა და მუშების შორის ბრძოლების პერიოდში, FAI-ს ახალმა ჯგუფმა, სახელად „დურუტის მეგობრები“ (*Los Amigos de Durutti*), წამოაყენა CNT-ს სახალხო ფრონტთან კოლაბორაციის ალტერნატივა. ბრძოლების დროს „მეგობრები“ ავრცელებდნენ ბროშურებს, რომლებშიც ისინი მოუწოდებდნენ CNT-ს ჟენერალიდადის დამხობისკენ და მის მაგივრად პროფკავშირების

მიერ მართული რევოლუციური საბჭოს შექმნისკენ. ბროშურა ასევე მოიცავდა ეკონომიკის სრულ სოციალიზაციისა და პოლიციის განიარაღების მოთხოვნას.

ჯგუფი „დურუტის მეგობრები“ შეიქმნა 1937 წლის მარტში, CNT-ს მილიციის იმ წევრთა ინიციატივით, რომლებიც ახალი რესპუბლიკური ჯარის შექმნის მოწინააღმდეგეები იყვნენ. ჯგუფს დაერქვა დურუტის სახელი 1936 წლის ოქტომბერს CNT-ში მომხდარი კონფლიქტის გამო. ჰორაცო პიენო, რომელსაც სურდა დურუტის პოპულარობის გამოყენებას, ცდილობდა მის დათანხმებას სახალხო ფრონტის მთავრობაში CNT-ს ერთ-ერთი მინისტრად გახდომაზე. დურუტიმ მას უარი განუცხადა. „როდესაც მუშებმა მოახდინეს ბურჟუაზიის ექსპროპრიაცია, როდესაც ისინი თავს ესხმიან უცხოურ კაპიტალს, როდესაც საზოგადოებრივი წესრიგი მუშების ხელშია, როდესაც მილიციებს პროფკავშირები აკონტროლებენ, როდესაც ქვემოდან-ზემოთ ორგანიზებული რევოლუციის პროცესი უკვე დაწყებულია“, მოახსენა მას დურუტიმ, „ ამ გარემოებაში რესპუბლიკური სახელმწიფო სტრუქტურის შენარჩუნებას არანაირი აზრი აღარ აქვს“⁶⁸.

„მეგობრები“ იყვნენ ლიბერტარული სინდიკალისტები, რომლებიც ცდილობდნენ CNT-ს მიერ 1936 წლის სექტემბერ-ოქტომბერში შემუშავებული თავდაცვის საბჭოების პროგრამის აღდგენას. „მეგობრების“ წამყვან აქტივისტების შორის იყვნენ ლიბერტო კალაპასი და ჯეიმი ბალიუსი. 1936 წლის შემოდგომაში, როდესაც მიმდინარეობდა კამპანია თავდაცვის საბჭოებისთვის, კალაპასი და ბალიუსი იყვნენ *Solidaridad Obrera*-ს რედაქციის წევრები.

1937 წლის მაისის მოვლენების დროს, „მეგობრებს“ არ ჰქონდათ CNT-ში საკმარისი გავლენა იმისთვის, რათა მის სტრატეგიაში ცვლილება გამოეწვიათ. „მეგობრებს“ ჰქონდათ გარკვეული გავლენა CNT-ს მილიციების და სამეზობლო თავდაცვით ჯგუფებს შორის. მაგრამ კატალონიურ CNT-ში ყურადღება უმთავრესად ენიჭებოდა ადგილობრივ საპროფკავშირო მებრძოლებს და ადგილობრივი მშრომელთა საბჭოების დელეგატებს კოლექტივიზირებულ ინდუსტრიებში. თუ „მეგობრების“ თვალსაზრისი მოიპოვებდა პოპულარობას მშრომელთა საბჭოებს შორის, ისინი შეძლებდნენ რეგიონულ საბჭოზე კონტროლის მოპოვებას და სახალხო ფრონტის მხარდამჭერი კომიტეტების გამოძევებას.

როდესაც ადამიანი მიყვება გარკვეული მოქმედების კურსს, მან უნდა იგრძნოს, რომ მისი ქმედებები გამართლებულია. ხალხში არსებობს საკუთარი მოქმედებებისთვის გამართლების მოძებნის ტენდენცია. 1937 წლის მაისისთვის, უკვე მრავალი წამყვანი ანარქო-სინდიკალისტი რაღაც დროის განმავლობაში მიყვებოდა სახალხო ფრონტის სტრატეგიას და იკავებდა ავტორიტეტულ პოზიციებს სახელმწიფოსა და ჯარში. ამას

აუცილებლად უნდა შეეცვალა მათი მსოფლმხედველობა. ამის კარგ მაგალითს წარმოადგენს ხუან გარსია ოლივერი. 1936 წლის ივლისსა და აგვისტოში იგი ქადაგებდა CNT-ს მიერ ჟენერალიდადის დამხობას და მთლიანი ძალაუფლების თავის ხელში აღებას. 1937 წლის მარტისათვის კი მისი აზრი სრულიად შეიცვალა; იგი გახდა პოპულარულ ფრონტთან კოალიციის დამცველი. მსოფლმხედველობის ეს ცვლილება კარგად ჩანს მის საქციელში მაისის მოვლენების დროს, როდესაც იგი წინ ეღობებოდა ბრძოლის მასშტაბების გაფართოებისა და პროფკავშირების მიერ ძალაუფლების აღების ყოველ მცდელობას. თავის მთავარ ბროშურაში, „მეგობრები“ აკრიტიკებდნენ CNT-ს მიერ უარის თქმას 1936 წლის ივლისში პოლიტიკური ძალაუფლების აღებაზე:

„რაც მოსახდენი იყო, მოხდა. CNT-ს არ ჰქონდა მყარი პროგრამა. ჩვენ აზრადაც არ მოგვდიოდა თუ საითკენ მივემართებოდით... როდესაც ორგანიზაცია მთელი თავისი არსებობის მანძილზე ქადაგებს რევოლუციას, იგი ვალდებულია იმოქმედოს მაშინვე, როგორც კი ამისთვის ხელსაყრელი გარემოება გამოუჩნდება. ივლისში ზუსტად ასეთი გარემოება გამოჩნდა. CNT-ს უნდა დაეკავა ქვეყნის პოლიტიკის წარმმართველის ადგილი... ამით ჩვენ მოვიგებდით ომს და გადავარჩინდით რევოლუციას. მაგრამ CNT-ს ამის სრულიად საწინააღმდეგო რამ გააკეთა. მან დაიწყო ბურჟუაზიულ მთავრობასთან თანამშრომლობა იმ მომენტში, როდესაც სახელმწიფო განადგურების პირას იმყოფებოდა⁶⁹.“

პროფკავშირების მიერ მართული ნაციონალური და რეგიონული თავდაცვის საბჭოების შექმნასთან ერთად, „მეგობრები“ ქადაგებდნენ „თავისუფალი მუნიციპალიტეტების“, ქალაქების და სოფლების მცხოვრებთა ასამბლეებზე დაფუძნებული მმართველობის სტრუქტურის ჩამოყალიბებას - რაც CNT-ს მიღებული ჰქონდა 1936 წლის მაისში გამართულ სარაგოსას კონგრესის პროგრამაში. ბალიუსი თავისუფალ მუნიციპალიტეტებს უწოდებდა „ავთენტურ რევოლუციურ მმართველობას“. „მეგობრები“ ასევე მხარს უჭერდნენ პროფკავშირების მეშვეობით ეკონომიკის ქვემოდან სოციალიზაციის სინდიკალისტურ პროგრამას.

ბალიუსის თანახმად, მაისის მოვლენების დროს, ბარსელონაში მუშათა ინიციატივამ გამოაჩინა „პროლეტარიატის შეურყეველი მიზანდასახულობა შეიარაღებული ბრძოლის, ეკონომიკისა და მთელი ქვეყნის არსებობისა მუშათა ხელმძღვანელობის ქვეშ მოქცევისადმი. რაც (ყველა ანარქისტისთვის, ვისაც სიტყვების არ ეშინია) ნიშნავს იმას, რომ პროლეტარიტი იბრძოდა ძალაუფლებისთვის, რომელიც დაისადგურებდა ძველი,

ბურჟუაზიული ინსტრუმენტების განადგურებისა და მათ ადგილას ახალი, საბჭოებზე დაფუძნებული სტრუქტურების აშენების შემდგომ⁷⁰.”

სოციალური ანარქიზმის გადმოსახედიდან, თავდაცვის საბჭოების შექმნის შემოთავაზებაში საკვანძო საკითხს წარმოადგენდა მათი ანგარიშვალდებულება მცხოვრებთა ასამბლეების წინაშე. „მეგობრების“ შემოთავაზების თანახმად, თავდაცვის საბჭოების არჩევა მოხდებოდა საპროფკავშირო კრებებზე. მაგრამ როგორ მოხდებოდა გადანყვეტილებების მიღება? აქ შესაძლებელი გამოსავალი შეიძლება ყოფილიყო თავდაცვის საბჭოებისთვის ბრძანებების მიცემა პირდაპირ რეგიონული და ნაციონალური კონგრესების მიერ, რომლებიც შემუშავებული იყო CNT-ს სარაგოსის პროგრამაში. ისინი იქნებოდნენ მცხოვრებთა ასამბლეების მიერ არჩეული დელეგატებისგან შემდგარი სათათბირო ორგანოები, რომლებიც მნიშვნელოვანი საკითხების გადანყვეტისას, გადანყვეტილების მისაღებად მცხოვრებთა ასამბლეებს მიმართავდნენ. CNT-მ არაგონში რეალურად შექმნა ამნაირი რეგიონული კონგრესი, რომელიც ამ რეგიონში შექმნილ თავდაცვის საბჭოს წინაშე წარმოადგენდა ყველა კოლექტივიზირებულ სოფელს მათ CNT-სა და UGT-ს პროფკავშირებთან ერთად.

CNT-ს შემოთავაზების თანახმად, თავდაცვის საბჭოებს აეკრძალებოდათ ეკონომიკის მმართველობაში ყველანაირი ჩარევა. ეკონომიკა იქნებოდა მუშების მიერ მართულ ინდუსტრიულ ფედერაციებისა და საზოგადოებრივი დაგეგმვის სისტემების ხელში.

ამგვარად, როგორც მე ვხედავ, სინდიკალისტების მიერ შემოთავაზებული თავდაცვის საბჭოების და პროფკავშირების მიერ მართული სახალხო მილიციის შექმნა იყო ტაქტიკა, რომელიც სულ ცოტა პოტენციურად მაინც შეესაბამებოდა სოციალურ ანარქიზმს.

როგორ განსხვავდება CNT-ს შემოთავაზება თავდაცვის საბჭოების შესახებ „ძალაუფლების დაპყრობის“ ლენინისტური კონცეფციისგან? ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად უნდა შევხედოთ 1921 წელს რუსულ კომუნისტურ პარტიაში მომხდარ დებატებს. იმ დროს, ნიკოლაი ბუხარინმა, ალექსანდრა კოლონტაიმ და რამდენიმე სხვა ბოლშევიკმა წამოაყენეს შემოთავაზება რუსეთის ეკონომიკის სამართავად პროფკავშირების მიერ არჩეული management board-ების სისტემის შემოღების შესახებ. ლენინმა ეს შემოთავაზება დაგმო როგორც „ანარქო-სინდიკალისტური გადახრა“, რადგან იგი ეკონომიკურ ძალაუფლებას მიანიჭებდა „არაპარტიულ მასებს“, რომლებიც შეადგენდნენ პროფკავშირების წევრების 90%-ს. თუ მივყვებით ლენინის პოზიციის ლოგიკას, აღმოვაჩინოთ, რომ იგი ასევე იძულებული იქნებოდა დაეგმო CNT-ს შემოთავაზება

თავდაცვის საბჭოების შესახებ, რადგან ის პროფკავშირების „არაპარტიულ მასებს“ მინიჭებდა ეკონომიკურ, პოლიტიკურ და შეიარაღებულ ძალაუფლებებს.

ხოსე პეირატის თქმით „ანარქო-სინდიკალისტების ძალაუფლება“ 1936 წლის 19 ივლისის შემდეგ გავრცელებული იყო მთელ ანტიფაშისტურ ზონაში, იგი დეცენტრალიზებული იყო უამრავ ლოკალურ და რეგიონულ კომიტეტებად⁷¹. პეირატსი, რომელიც იყო „ლიბერტარული ახალგაზრდობის“ აქტიური წევრი, ეწინააღმდეგებოდა CNT-ს შესვლას სახალხო ფრონტის მთავრობაში, მაგრამ ამავდროულად ის იყო ცენტრალური რესპუბლიკური სახელმწიფოს CNT-UGT-ს ნაციონალური თავდაცვის საბჭოთი ჩანაცვლების მოწინააღმდეგეც. წიგნში „ანარქისტები ესპანეთის რევოლუციაში“, პეირატსი ამბობს, რომ თავდაცვის საბჭოს იდეა იყო „იგივე სახელმწიფო, მაგრამ სხვა სახელით“. მაგრამ ნუთუ არ შეიძლება იმავს თქმა ყველანაირ ორგანიზაციაზე, რომელიც მოახდენდა ქვეყნის კოორდინაციას? პეირატსი იყო კატალონიაში ერთი-ერთი ჟურნალის რედაქტორი. ჟურნალს ერქვა „*Acracia*“, რაც ითარგმნება როგორც „არანაირი ძალაუფლება“. ალბათ, პეირატსის ანარქიზმი ეწინააღმდეგებოდა ესპანეთისთვის ყოველგვარი მმართველი, საკოორდინაციო სტრუქტურის ჩამოყალიბებასაც კი.

მაგრამ ეს უბრალოდ შეუძლებელი იყო. ფაშისტურ სამხედროებთან შეიარაღებული ბრძოლისთვის აუცილებელი იყო ერთიანი მეთაურობის არსებობა. CNT-სა და UGT-ს მუშები მოითხოვდნენ ერთობის შენარჩუნებას. ამის მიღწევა კი მხოლოდ ორი გზით იყო შესაძლებელი. ან CNT გამოაჩენდა კატალონიისა და ნაციონალური მთავრობების ჩანაცვლების ინიციატივას, რითიც შეძლებდა CNT-სა და UGT-ს მუშების გაერთიანებას მუშათა კლასის მიერ მართულ საკოორდინაციო ორგანოში, ანდა კომუნისტური პარტია წარმატებას მიაღწევდა სახელმწიფო აპარატისა და იერარქიული არმიის აღდგენის მეშვეობით მოსახლეობის გაერთიანებაში. ეს იყო ფუნდამენტალური დილემა, რომლის წინაშეც აღმოჩნდა CNT 1936 წლის 19 ივლისს.

თუ CNT დაამხოდა გენერალიტატს და მოახდენდა UGT-სა და FOUS-ის პროფკავშირების ინტეგრაციას მუშათა რეგიონულ კონგრესში, რომელიც აირჩევდა კატალონიის მშრომელთა რეგიონულ მმართველ საბჭოს, ეს გარემოება ლარგო კაბალეროსა და UGT ხელმძღვანელებს მოაქცევდა უზარმაზარი წნეხის ქვეშ, რაც მათ იძილებულს გახდიდა დათანხმებოდნენ ამგვარი პოლიტიკის გატარებას მთელი ქვეყნის მასშტაბით. იმ შემთხვევაში, თუ CNT-UGT-ს ნაციონალური და რეგიონულ სამმართველო საბჭოებისა და პროფკავშირების მიერ მართული გაერთიანებული სახალხო მილიციის სტრუქტურები მართლაც ჩამოყალიბდებოდა, CNT-ს ადვილად შეეძლებოდა დაეგმო კომუნისტების

შემოთავაზებები იერარქიული ჯარის შექმნისა და ოქროს რუსეთში გაგზავნისთვის შესახებ. CNT ასევე შეძლებდა PCE-ს მიერ სახელმწიფო ძალაუფლების მოპოვების პროცესის შეჩერებას. ამ მიმართულებით წასვლაზე უარის თქმით, CNT-მ სახალხო ფრონტის სტრატეგია გარდაუვალი გახადა, და ამგვარად, ხელი შეუწყო კომუნისტების ძალაუფლების ზრდას. შეიარაღებაში ფაშისტების უპირატესობის გათვალისწინებით, მუშათა კლასის მიერ მართული პოლიტიკური სტრუქტურის შექმნა მაინც არ იქნებოდა გამარჯვების გარანტი. მაგრამ იგი ბევრად გაზრდიდა წარმატების შანსს.

ბალიუსი და „მეგობრები“ ხედავდნენ, რომ მუშათა კლასის განთავისუფლებისთვის აუცილებელი არის სახელმწიფოს ჩანაცვლება მუშათა კონტროლის ქვეშ მყოფი ორგანიზაციით - პოლიტიკური თვითმართველობის სტრუქტურით.

ტრადიციული ანარქიზმი ყოველთვის ორაზროვნად ან შეუსაბამოდ პასუხობდა კითხვას, თუ რა შეცვლის სახელმწიფოს. არსებობდა ინფორმაციის ნაკლებობა ახალი სახის პოლიტიკური ორგანიზაციის საჭიროების შესახებ, რომელიც შეასრულებდა საჭირო პოლიტიკურ ფუნქციებს - შეადგენდა ბაზისურ წესებს, განიხილავდა ბრალდებებს და ადამიანების შორის კონფლიქტებს, და დაიცავდა სოციალურ მოწყობას შინაგანი ან გარეგანი თავდასხმებისგან. საზოგადოების პოლიტიკური ფუნქციების გაუქმება ისეთივე შეუძლებელია, როგორც საზოგადოებრივი წარმოების. თუმცა პოლიტიკური ფუნქციების განხორციელება შესაძლებელია თვითმმართველობის სტრუქტურით, რომელიც დაფუძნებული იქნება საზოგადოებებში და სამუშაო ადგილებზე გამართული საბჭოების პირდაპირ დემოკრატიაზე.

- ტომ უეტბელი

შენიშვნები

1. Abel Paz, *Durruti: The People Armed*, p. 181.
2. Alberto Balcells, *Cataluña contemporánea II*
3. Colin M. Winston, *Workers and the Right in Spain, 1900-1936*.
4. Information on the Barcelona rent strike of 1931 is from Nick Rider, "The Practice of Direct Action: The Barcelona Rent Strike of 1931" in *For Anarchism: History, Theory, and Practice*, David Goodway, ed.
5. Antony Beevor, *The Spanish Civil War*, p. 29.
6. Jerome Mintz, *The Anarchists of Casas Viejas*, p. 268.
7. Quoted in Ronald Fraser, *Blood of Spain: An Oral History of the Spanish Civil War*, p. 544.
8. Victor Alba and Stephen Schwartz, *Spanish Marxism versus Soviet Communism: A History of the POUM*.
9. Diego Abad de Santillan, *El organismo económico de la revolución* (translated into English under the title *After the Revolution*).
10. The idea of *participatory planning* was first developed in the 1970s by a number of radical economists. The most well-known version is the "participatory economics" model developed by Michael Albert and Robin Hahnel. An early version was "Participatory Planning" in *Socialist Visions*, Steve Rosskamm Shalom, ed.
11. Excerpts from the Zaragoza congress vision document are translated into English in Robert Alexander, *The Anarchists in the Spanish Civil War, Volume One*, pp. 48-67.
12. Peter Kropotkin, "Modern Science and Anarchism" in *Kropotkin's Revolutionary Pamphlets: A Collection of Writings by Peter Kropotkin*, Roger N. Baldwin, ed., pp. 183-184.
13. In the words of Cesar M. Lorenzo, *Los anarquistas y el poder*, p. 92.

14. Dionisius Ridruejo, interviewed in the early 1970s, Fraser, op cit, p. 320.
15. Fraser, op cit, p. 71.
16. Fraser, op cit, p. 110.
17. Abel Paz, op cit, p. 213.
18. According to Ricardo Sanz, interview in the 1970s, quoted in Fraser, op cit, p. 110.
19. This debate is described in Fraser, op cit, p. 112.
20. This account of the debate is from Juan Garcia Oliver, "Wrong Steps: Errors in the Spanish Revolution," Mick Parker, translator. (This pamphlet is an English translation of excerpts from Garcia Oliver's memoir, *Eco de los pasos*.)
21. On the composition of the Anti-fascist Militia Committee, Cesar M. Lorenzo, op cit, p. 86.
22. José Peirats, *Anarchists in the Spanish Revolution*, p. 161. (This is a translation of *Los anarquistas en la crisis española*.)
23. Cesar M. Lorenzo, op cit, p. 98
24. Cesar M. Lorenzo, ibid, p. 180.
25. Cesar M. Lorenzo, op cit, pp. 180-181.
26. Ronald Radosh, Mary R. Habeck, and Grigory Sevostianov, eds., *Spain Betrayed: The Soviet Union in the Spanish Civil War*, p. 48.
27. Interview with Eduardo de Guzmán, early 1970s, in Fraser, op cit, p. 186 and pp. 335-336.
28. José Peirats, op cit, pp. 185-186.
29. Agustin Guillamón, *The Friends of Durruti Group: 1937-1939*, p. 24.

30. Burnett Bolloten, *The Grand Camouflage: The Communist Conspiracy in the Spanish Civil War*, pp. 43-44.
31. Diego Abad de Santillan, statement from December, 1936, appended to the 1937 addition of *After the Revolution*, p. 121.
32. Interview in the early '70s, Fraser, op cit, p. 220.
33. Gaston Leval, *Collectives in the Spanish Revolution*, pp. 253-264.
34. Gaston Leval, *ibid*, pp. 240-245.
35. Quoted in Fraser, op cit, 221.
36. Fraser, op cit, p. 223.
37. Augustin Souchy, *Nacht über Spanien*, excerpt translated in Sam Dolgoff, ed., *The Anarchist Collectives: Workers' Self-Management in the Spanish Revolution 1936-1939*, pp. 93-94.
38. Fraser, op cit, p. 233.
39. Gaston Leval, op cit, pp. 264-278.
40. Gaston Leval, *ibid*, pp. 245-253.
41. Fraser, op cit, p. 212.
42. Quoted in Robert Alexander, *The Anarchists in the Spanish Civil War, Volume One*, p. 487
43. Quoted in Fraser, op cit, pp. 214-215.
44. Quoted in Fraser, *ibid*, p. 229.
45. Diego Abad de Santillan, statement from December, 1936, appended to the 1937 addition of *After the Revolution*, p. 121.
46. Quoted in Fraser, op cit, p. 218.
47. Gaston Leval, op cit, pp. 289-295.

48. Information about *Mujeres Libres* is from Martha A. Ackelsberg, *Free Women of Spain: Anarchism and the Struggle for the Emancipation of Women*.
49. Michael Albert and Robin Hahnel, "A Ticket to Ride: More Locations on the Class Map" in *Between Labor and Capital*, Pat Walker, ed.
50. Ronald Radosh, Mary R. Habeck, and Grigory Sevostianov, op cit, p. 11.
51. Sócrates Gómez, quoted in Fraser, op cit, p. 333.
52. Quoted in Fraser, op cit, p. 215.
53. Antony Beevor, op cit, p. 124.
54. Antony Beevor, ibid, p. 174.
55. Gerald Howson, *Arms for Spain: The Untold Story of the Spanish Civil War*, p. 151.
56. Report by André Marty to Soviet authorities, March 1937, translated in Ronald Radosh, Mary R. Habeck, and Grigory Sevostianov, op cit, p. 145.
57. Quoted in Fraser, op cit, pp. 377-378.
58. Juan Andrade, quoted in Fraser, op cit, p. 382.
59. Bill Herrick, *Jumping the Line*.
60. George Orwell, *Homage to Catalonia*, p. 69.
61. Fraser, op cit, p. 371.
62. Quoted in Fraser, ibid, p. 364.
63. Fraser, op cit, pp. 367-369.
64. Gaston Leval, op cit, pp. 136-143.
65. Quoted in Fraser, op cit, p. 366.
66. CNT village committee president, quoted in Fraser, op cit, p. 362.
67. Saturnino Carod, quoted in Fraser, op cit, p. 363.

68. Quote from Durruti in *The Spanish Civil War: Anarchism in Action*, Chap 4 (http://flag.blackened.net/revolt/spain/pam_ch4.html).
69. The Friends of Durruti Group, *Towards a Fresh Revolution* (translation of *Hacia una revolución nueva*) (http://fraternitelibertaire.free.fr/reserve/towards_a_fresh_revolution.pdf)
70. Jaime Balius, quoted in Agustín Guillamón, op cit, p. 92.
71. José Peirats, op cit, p. 183.